

სააღდგომო ეპისტოლე

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხეუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ისა

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთა-
ვარნო, ლირსნო მოძღვარნო, დიაკონნო,
ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართ-
ველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესი-
ის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და
ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებ-
ნო თანამემამულენო,

ქრისტე აღდგა!

„მოდით და ნახეთ გოლგოთა, სადაც ეშ-
მაკი სასიკვდილოდ დაიჭრა და სიკვდილი
განქარდა, მოდით და ნახეთ აკლდამა, სადაც
დადგინდა ჩვენი აღდგომის წესი; ადგილი,
რომელიც უხრწნელების დასაბამად იქცა და
სიხარულით აღმოთქვით: „სადა არს, სიკვდი-
ლო, საწერტელი შენი; სადა არს, ჯოჯოხეთო,
ძლევაი შენი?!”.

ქრისტე აღდგა!

„დასჯილი ევა განღმრთობილია, გაძევე-
ბული ადამი, — მოწოდებული, წყევლა გაუ-
ქმებული, სიკვდილი, — დაძლეული, ეშმაკი
— განგმირული, მისი მსახურნი კი, — სირცე-
ვილეულნი და ძლეულნი“ (წმ.იოანე ოქროპი-
რი).

იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომით
ყველა ადამიანში დაძლია სიკვდილი, რაც ორ
ეტაპად განხორციელდა:

განკაცებისას მან ცოდვის არმქონე
სრული ადამიანური ბუნება მიიღო, გაამდი-
დრა იგი საღმრთო ღირსებებით (კაცობრივი
ბუნების თვისებების სრული დაცულობით)
და ამ გზით განღმრთობის საშუალება მისცა
ყველა ადამიანს.

მეორე საფეხურზე კი აღდგომილმა მაცხ-
ოვარმა მოკვდავი სხეულის ნაცვლად ახალი,
უხრწნელი, არსობრივად შეცვლილი, დაცე-
მამდელი ადამის მსგავსი, სულიერი სხეული
შეიმოსა; მისმა ადამიანურმა ბუნებამ სხვა

თვისებები შეიძინა და გახდა დასაბამი კაცო-
ბრიობის მკვდრეთით აღდგომისა; იგია პირმ-
შო შესვენებულთა, რადგან მიიღო ის სახე,
რომელიც ექნებათ მართალთ მეორედ მოსვ-
ლის შემდეგ, როცა სიკვდილი უკვე აღარ იარ-
სებებს და იქნება ახალი ცა და ახალი ქვეყანა.

— რა ვიცით ცათა შინა მყოფ მართალთა
შესახებ, როგორი სახით არიან ისინი ზეცად?

— მართალი არიან უკვდავნი, უხრწნელ-
ნი, უვნებელნი და ჩვენთვის მიუწვდომელ
სხვა მრავალ სიკეთეთა მქონენი, ოღონდ ნე-
ტარების ხარისხით განსხვავებულნი; თუმცა
შევნიშნავთ იმასაც, რომ დიდი წმინდახებიც
ჯერ არ არიან სრულ ნეტარებაში, რადგან
მათ სულებს, მაცხოვრის აღდგომილი სხეუ-
ლის მსგავსი, თავისი უკვდავი და უხრწნელი
სხეული არ შეუმოსავთ. „ღმერთმა ჩვენთვის
უმჯობესი წინასწარ გაითვალისწინა, რათა
ისინი (მართალნი) უჩვენოდ არ გამხდარი-
ყვნენ სრულებულნი (ებრ. 11, 40)”, — წერს
პავლე მოციქული.

— რატომ არის სულით და ხორცით გან-
ღმრთობა აუცილებელი?

— ასეთად შევიქმნით! მაგალითად, ანგე-
ლოზები მხოლოდ სულნი არიან. ადამიანი კი
თავის თავში აერთიანებს სულსა და ხორცს,
ანუ ხილულ და უხილავ სამყაროს. სხეუ-
ლით იგი მატერიას (წივთიერ, მცენარეულ
და ცხოველურ სამყაროს) მოიცავს, სულით
კი, — ანგელოზთა თანაზიარია. ბუნებითად
ყოვლისშემომკრები, ყოვლისმომცველი მხ-
ოლოდ უფალია. მან ინება, რომ ჩვენც მსგავ-
სი პატივი გვქონდა და ამიტომაცაა ადამია-
ნის დანიშნულება განსაკუთრებული.

— როგორ აღდგება, მაგალითად, ათასი
წლის წინ გარდაცვლილის სხეული, როდესაც
მისი ძვლებიც კი შეიძლება აღარ არსებო-
დეს?

— მიწაში დაფლული ხრნნადი სხეული სტიქიონებად იშლება, მაგრამ ღმერთი მას კვლავ შემოკრებს და განსხვავებული სახით აღადგენს; როგორც მაგნიტი ქვიშის გორაში გაბნეულ რკინის ნამცეცებს ადვილად გამოარჩევს, ასევე ჩვენი სულიც, უფლის ყოვლის-შემძლეობით, თავის უხრნნელ სხეულს შეიმოსავს, როცა ეს უამი დადგება.

— როდის მოხდება ეს?

წმინდა ეკლესიის სწავლებით, ეს მოხდება მაშინ, როდესაც ადამიანთა შორის უკიდურესი სიმძაფრით გამოვლინდება ცოდვა და მათი უდიდესი ნაწილისათვის არავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება სიწმინდეს, ჭეშმარიტ სარწმუნოებას, ღვთის სათნო წესჩვეულებებს.., როდესაც ღვთისა და მოყვასის წმინდა სიყვარულს შეენაცვლება ვნებებისადმი თავაშვებული ლტოლვა და ადამიანები იქნებიან გამორჩეულად ამპარტავანნი, თავისმოყვარენი, ამასთან მგმობელი, მშობლების ურჩინი, ერთმანეთის მოძულენი, ცილისმნამებელი, შეურიგებელი, სასტიკი, თავხედნი, კეთილის მოძულენი (2 ტიმ. 3, 2-4).

თუმცა ქრისტეს წმინდა ეკლესიას ჯოჯოხეთის ბჭენი ვერ მოერევიან. დიდი განსაცდელების მიუხედავად, იგი ბოლომდე უბინოდ და შეურყვნელად დაიცავს მაცხოვრის მცნებებს, წმინდა გარდამოცემას, წმინდა მამების სწავლებას, შვიდი მსოფლიო კრებისა და ათი ადგილობრივი კრების განჩინებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანს კვლავაც ექნება შესაძლებლობა განწმენდისა და გადარჩენისა; ანუ იმედი არასოდეს ჩაქრება, რასაც თავისი უდიდესი ბრნყინვალებით აღდგომის დღესასწაული გვიცხადება.

რაც შეეხება ქვეყნიერების აღსასრულის ზუსტ დროს, იგი დაფარულია თვით ანგელოზთათვისაც, თუმცა ცალკეული წინასწარი ნიშნები ამ დღის დადგომისა განკაცებულმა უფალმა გვაუწყა.

ბოლო უამის შესახებ საგულისხმოა აგრეთვე წმინდა წერილში გადმოცემული ისტორიაც სოდომისა და გომორის შესახებ, სადაც გაბატონებულმა უკიდურესმა გარყვნილებამ და ზნედაცემულობამ ღმერთი იმდენად განარისხა, რომ მათი განადგურება გადაწყვიტა. აბრაამ მამათმთავარი უფალს

ევედრებოდა, რომ ამ ქალაქებში თუ ორმოცდაათი, ან თუნდაც უფრო მცირე რაოდენობით იქნებოდნენ მართალნი, არ აღეგავა ისინი პირისაგან მიწისა. უფალმა დაუთმო და ბოლოს ათზე დათანხმდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ლოთის ოჯახის გარდა, მართალი არავინ იყო.

ასე რომ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ ვცხოვრობთ, როგორი იქნება ჩვენი რწმენა და სიყვარული; ეს განსაზღვრავს არა მარტო პირადად ჩვენს მომავალს, არამედ, — ქვეყნის და მსოფლიოს ხვედრსაც.

— რა მოხდება მეორედ მოსვლის შემდეგ?

— მეორედ მოსვლისას საპოლოოდ განისჯებიან ყოველნი, — ცოდვილნიც და მართალნიც, რათა არცერთ ადამიანს თავისი სიკეთის ამქვეყნად გამოვლენილი მისხალიც არ დაეკარგოს, მის სახელზე ახლობელთა და სხვათაგან აღსრულებული ქველი საქმენი მიეთვალის და უკანასკნელი მსჯავრი უკეთესი მიეგოს.

ნეტარების ღირსნი ხდებიან როგორც მართალნი, ასევე ის ქრისტიანები, რომლებიც სინანულით აღსრულნენ, მაგრამ სიცოცხლეში ვერ მოასწრეს ეჩვენებინათ ამის სათანადო წაყოფი. ისინი, ღვთის გულმოწყალებითა და ეკლესიის შუამდგომლობით, მიიღებენ ცოდვათა შენდობას.

ხოლო შემდეგ, უხრნნელი სხეულით შემოსილნი, ხატნი და მსგავსნი უფლისა, კვლავ გააგრძელებენ ღვთისკენ დაუსრულებელ სწრაფვას, რა თქმა უნდა, სხვა სახით და სხვა მდგომარეობით, დანარჩენნი კი მარადიულ სატანჯველს დაიმკვიდრებენ.

სწავლების მიხედვით, თავის გარდაქმნილ, უკვდავ და უხრნნელი თვისებების მქონე სხეულებს, მართალთა მსგავსად, ღვთისა-გან განდგომილი ცოდვილნიც შეიმოსავენ, მაგრამ მოუნანიებელ დანაშაულთა და ვნებათა სიმძიმე მათ დაუსრულებელ ტანჯვას განაპირობებს, როგორც მათი ნებაყოფლობითი არასწორი არჩევანისა და მოქმედების შედეგს.

ეკლესიაში მაცხოვრისა და მისი მოწაფეებისაგან დადგენილი ნათლობის წესის

აღსრულებით ადამიანს ყველა ცოდვა მიეტევება და სულიწმინდის ნიჭის თანაზიარი ამ ქვეყნად ყველა მართლმორწმუნე ხდება; ამასთან ადამზე აღმატებულის, რადგან ეს მადლი ჩვენს პირველმშობლებს საჩუქრად, დამსახურების გარეშე, ჰქონდათ დედამინაზე, ედემში; ქრისტიანებს კი იგი ეძლევათ მაცხოვრის უდიდესი გამომსყიდვები მსხვერპლისა და პირადი სულიერი ღვაწლის შედეგად და ამასთან, მარადიული ნეტარების დასამკვიდრებლად; მაგრამ მის შენარჩუნებას ბოროტის მიერ დაგებული ათასგვარი განსაცდელის გამო, მცირედნი თუ აღწევენ.

ამიტომაც ნათლობა არ არის საკმარისი ჩვენს გადასარჩენად და შემოქმედთან აღდგენილი კავშირის შესანარჩუნებლად. მითუმეტეს დღეს, როდესაც განსაკუთრებით დამძიმდა დრო და ჩვენი ცოდვებიც, აუცილებელია მაცხოვრის მიერ ბოძებული ასევე უდიდესი საიდუმლოც სინაულისა, რომლის მადლითაც უფალი შეინირავს რა ჩვენს გულწრფელ აღსარებას, ღირსგვყოფს დაუსჯელად მივიღოთ წმინდა ზიარება და ცოდვებიც აღგვეხოცოს.

სამწუხაროდ, ყოველთვის იყვნენ და ახლა, მითუმეტეს, მრავლად არიან კადნიერნი, რომელნიც უარყოფენ ღვთის არსებობას, ან შემოქმედს სამართალს უწუნებენ და მიაჩნიათ, რომ თვითონ უნდა შექმნან ახალი რეალობა, ახალი სამყარო.

ათეისტური სულისკვეთების მქონენი ეყრდნობიან თავის გონებას და იმ მონაცემებს, რისი შეცნობის საშუალებასაც ჩვენი გრძნობის ხუთი ორგანო იძლევა; მათ არ იციან და არც სურთიცოდნენ რაიმეადამიანის ბუნების საუკეთესო და ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილზე, — სულიერ ცხოვრებაზე. მათთვის სიტყვა „ცოდვა“, „განწმენდა-კათარზისი“, ისეთივე გაუგებარია, როგორც „თავმდაბლობა“ ან „სინაულის განცდა“. ასეთთა შორის, როგორც წესი, სხეული და მიწა ბატონობს და არა ზეცა და სული.

ჯერ კიდევ ბრძენი სოკრატე ამგვარ კითხვას სვამდა ურნმუნოთა მიმართ: „თუ გონება და გრძნობა ტვინის თვისებად მიგაჩნიათ, მაშრატომ აღარ მოქმედებს ეს უნარი სიკვდილის შემდეგ, ტვინი ხომ ისევ ადგილზე აქვს გარდაცვლილს“? და დასძენდა: „როგორც სულ ვერ ვხედავთ და არსებობს, ასევე ღმერთს

ვერ ვხედავთ და არსებობს. როგორც უსულოდ არ არსებობს სხეულის სიცოცხლე, ასევე ულმერთოდ, — საერთოდ ცხოვრება.“

რა თქმა უნდა, შეიძლება იცხოვრო ქრისტეს გარეშე, მისი სწავლების გარეშე, აქციო შენი თავი ვნებების სათარეშოდ, მაგრამ სიკვდილს ვერ დაემალები და ვერც საშინელ სამსჯავროს გადურჩები.

გარდაცვალება წერტილს უსვამს ჩვენს ყველა მიწიერ ოცნებასა და წარმავალ სურვილს; სიკვდილით აზრს კარგავს ყველაფერი, რაც ასე გვიყვარდა და შევნატროდით, ან რაც გვძულდა და სასიკვდილოდაც გვემეტებოდა. სამარესთან ამსოფლურ საცდურთა ნიღბები ცვივა და მწარე რეალობა დგება.

დღეს, როდესაც მსოფლიოში ათეისტური ტალღა გაძლიერდა და მისი გავლენა ჩვენს ქვეყანაშიც იგრძნობა, თვალნათელი გახდა, როგორ დეგრადირდება ადამიანი უფლის გარეშე, როგორ ადვილად გადაგვარებადია იგი, როგორი უგუნური და თვითგანადგურებისაკენ მიღრეკილი ხდება ის.

ბოროტი ძალა, შეფარვით თუ აშკარად, ყოველთვის ებრძოდა ჭეშმარიტებას, მაგრამ XX საუკუნიდან ამან განსაკუთრებული სახე მიიღო: ჯერ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის სახით გაბატონდა ათეიზმი, რომელიც კატეგორიულად და ძალმომრეობითად უარყოფდა ღმერთს და, ამასთან, სიცრუეზე დაყრდნობით, ქმნიდა თავისთვის სასურველი „სანიმუშო, ზნებრივი ადამიანების“ სახეებს; მათი საშუალებით კი გარკვეულ ორიენტირს უსახავდა ცალკეულ პიროვნებებსაც და საზოგადოებასაც.

ახლა კი, შეიძლება ითქვას, გამოცხადებულია სრული თავისუფლება როგორც მორწმუნეთა, ისე ურნმუნოთა მიმართ, მაგრამ ამ სივრცეში მკვეთრად იგრძნობა ღვთის უარყოფელთა სითამამე; ისინი სრული თავაშვებულების პროპაგანდას აქტიურად ეწევიან ყველა საშუალებით და ცდილობენ, ეს ქმედება სიმართლისა და სიკეთის სახელს დაუკავშირონ, რათა თავისი გაუკულმართებული შემოთავაზებანი ხალხისთვის მისაღები გახადონ.

საერთოდ, ცოდვა როგორც მადლი, გადამდებია და ამის ნაყოფს უკვე ვიმკით საზოგადოების ყველა ფენაში.

თუმცა სიმართლეს სიცრუის მანქანა რე-ალურად ვერასდროს გაუსწორებს თვალს, მოტყუებით კი, — მრავალთ აცდუნებს. ამი-ტომაც აუცილებელია საღვთო ჭეშმარიტების ცოდნა, თანაც ღრმა ცოდნა, რადგან ბოროტი ძალა ამ მხრივაც ფრიად მანიპულირებს.

დღეს მორწმუნე ადამიანს დიდი მოთმინება მართებს, რომ ამდენ ტყუილს, ცილისწამებასა და ღვარძლს გაუძლოს და თვითონაც არ გადაგვარდეს. ჩვენი შესაძლებლობებით ეს მიუღწეველია, ღვთის დახმარებით კი, — შესაძლებელი. აუცილებელია, უფალთან სულიერი, ლოცვითი ურთიერთობა, ბიბლიისა და წმინდა მამების დარიგებების კითხვა, რომ განვმტკიცდეთ და შენევნაც ღვთისა მივიღოთ.

აღდგომა გამაერთიანებელია კაცობრიობის წარსულის, აწმყოსი და მომავლისა. ჩვენს წინაშე ძველი აღთქმა წარმოჩნდება, როგორც დაფარული ახალი აღთქმა, ახალი აღთქმა კი, — როგორც განცხადებული, აღსრულებული ძველი აღთქმა.

ბიბლია იწერებოდა დაახლოებით 1400 წლის მანძილზე სხვადასხვა ავტორისაგან: ნასწავლთა და უსწავლელთა, მეფეთა და მიწათმოქმედთა, სახელმწიფო მოხელეთა, მწყემსთა და მეთევზეთა მიერ. იგი შედგება ისტორიის, წინასწარმტყველებების, ეპისტოლების, კანონებისა და რელიგიურ-ზნეობრივი დარიგებებისაგან. მაგრამ თავიდან ბოლომდე ამ შეუდარებელ წიგნს გასდევს ერთი და იგივე ღვთივგანბრძნობილი სულიერი სწავლება, ერთი და იგივე აზრი და დანიშნულება.

ნათქვამის ნათელსაყოფად მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიტანთ:

წმინდა ილია, ისაია და დანიელი, იონა, დავით მეფსალმუნე და სხვა წინასწარმტყველი პირდაპირ წერდნენ მაცხოვარზე, ახალ სჯულზე და მის მეუფებაზე.

ჯერ კიდევ ძველი აღთქმის დასაწყისში ნაუწყებია ერთარსება სამპიროვანი ღმერთის შესახებ, რომელიც ახალ აღთქმაშია განცხადებული.

იესო ქრისტე იწოდება ძედ დავითისა და აბრაამისა, რითაც საღვთო საკვრელით იკვრება ეს წმინდა წიგნი.

ამასთან, როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში ერთი და იგივე მცნებებია უმთავრესად მიჩნეული: „შეიყვარე უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა, ყოვლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა. ეს არის პირველი მცნება. მეორეა: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი.“ (მარკ. 12, 30-31; შდრ. II სჯ. 6,5. ლევიტ. 19,18). შევნიშნავთ, რომ ქრისტიანისთვის მოყვასი არის ყველა ადამიანი, მათ შორის პირადი მტერიც.

სიყვარული ეს არის ყველაზე ამაღლებული გრძნობა, სხვისადმი ერთგულად მსახურების თავისუფალი არჩევანი. თუ ჩვენს ქმედებაში ადგილი აქვს შიშს, ან სხვა რაიმე ზენოლას, ანგარებას, პირფერობას ან ეგო-ისტურ გამოვლინებებს, ეს სიყვარული აღარ იქნება ღვთისსათნო, გულწრფელი, მართალი და თავისუფალი. მაგალითად: ვერასოდეს ვერ ვუწოდებთ სიყვარულს იმ ურთიერთობას, სადაც ადგილი აქვს ამპარტავნებას, შურს, ავხორციობას, ხელმრუდობას, ლოთობას, წარკომანიას, ამ და სხვა მავნე მიდრეკილებით გაერთიანებულ ადამიანთა კავშირს, რადგან სინამდვილეში ეს ყოველივე არის ვნებების მონობა და ჭაობივით ჩამთრევი მანკიერებების ტყვეობა.

სიყვარული და თავისუფლება აუცილებელი პირობაა შენში ღმერთის სისავსის გამოვლენისთვის.

გვიყვარდეს ღმერთი ნიშნავს, მთელი არსებით, გაცნობიერებულად და გულწრფელად გვიყვარდეს ყველაფერი მის მიერ ქმნილიც; ეს კი აუცილებელ პირობად, ასევე, გულისხმობს ჩვენი „მეს“ ბატონობისაგან გათავისუფლებას, საკუთარ თავზე ორიენტირებულობის რადიკალურად შეცვლას და ამაში სიხარულისა და ბედნიერების პოვნას.

ეგოიზმისაგან თავის დაღწევა ადვილი არ არის. ბრძენი ადამიანები გვირჩევენ, რომ ჯერ უნდა შევიყვაროთ ზოგადი ღირებულებები და ვიღვანოთ ცხოვრებაში მათი დამკვიდრებისთვის; მაგალითად, როგორცაა: სიმართლე, თავისუფლება, მშვიდობა, სოციალური სამართლიანობისთვის ზრუნვა, სამშობლოს კეთილდღეობა და ა.შ.

ავილოთ თუნდაც თაობათა შორის ურთ-

იერთობა; იგი ყოველთვის გარკვეულ სირთულეებს შეიცავდა, რადგან უფროსებს ჰგონიათ, რომ მათ აქვთ ცხოვრებისეული გამოცდილება და უკეთესად იციან, რა უნდა აკეთონ შვილებმა. შვილებს მიაჩნიათ, რომ მათ თვითონ უნდა განსაზღვრონ თავისი ყოფა და პირიქით, ბევრ რამეს უწუნებენ მშობლებს.

თაობათა ურთიერთობა მანამდე იქნება პრობლემური, ვიდრე ორივე მხარე ერთმანეთში არ დაინახავს იმ უმნიშვნელოვანესს, რაც პირადად მათ აკლიათ და რაც შეიძლება და აუცილებელიცა, ისწავლონ ერთმანეთისაგან. ის, რომ მშობლებს და ასაკოვან ადამიანებს ბევრი რამ უნახავთ და ადამიანური ურთიერთობების მხრივ მეტი ცოდნა აქვთ, ბუნებრვია, მაგრამ ახალგაზრდები, რომ უფრო გაძედულნი, ზოგჯერ რადიკალურნიც არიან, ამასთან, აქვთ ახალი იდეები, ახალი ხედვა, ახალი მისწრაფებები, – ესეც ფაქტია. უფროსების ვალია, მათი შემოთავაზებებიდან სწორი არჩევანი გააკეთონ, დაინახონ მათში რეალური სასიკეთო შედეგები და მომავალ თაობას დაეხმარონ გზის გაკაფვაში. თანამშრომლობა და ურთიერთშევსების საჭიროება უნდა იგრძნოს ორივე მხარემ. ეს ნებისმიერი ქვეყნის ნორმალური განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა.

შემდეგ ეტაპზე კი უფრო ადვილია შევიყვაროთ სხვა პიროვნება; ეს კი ნიშნავს დავინახოთ მასში განუმეორებელი, განსაკუთრებული ღირებულებები და ეს დავაფასოთ. ადვილი არ არის შური, თავდაჯერებულობა, სხვისი დამცირებით თავის უპირატესად წარმოჩენის სურვილი, ამპარტავნება, და სხვა ამგვარი თვისებანი დამაბრკოლებელ გარემოებად არ გვექცეს; ამიტომაც სიკეთის ქმნასთან ერთად, აუცილებლად, უნდა ვიმუშაოთ ჩვენს თავზეც.

ეგოიზმის დაძლევის და სწორი სულიერი განვითარების მაჩვენებელია ისიც, თუ როგორია სამშობლოსადმი ჩვენი დამოკიდებულება.

დღევანდელი რეალობა გვიჩვენებს, რომ ამ მიმართულებით რამდენიმე სახის შეტევა ხორციელდება: ერთი, გარეშე ძალებისაგან ხელშეწყობილი, აღვივებენ სეპარატისტულ სულს და ქვეყნის დანაწილების თეორიებს ქმნიან; მეორენი პატრიოტიზმის სახელით

არასწორ მიმართულებებს ანვითარებენ და ამ გრძნობას დამახინჯებულ სახეს აძლევენ; სხვანი კი ზოგადადამიანური ღირებულებებით გვესაუბრებიან და პატრიოტიზმს ჩამორჩენილობად თვლიან.

არ არსებობს აწმყო წარსულის გარეშე. ნებისმიერი ღირსეული პიროვნებისთვის სამშობლოს ისტორიის ცოდნა აუცილებელი პირობაა; სახელმწიფოსთვის კი, — სიძლიერის ერთ-ერთი მთავარი გარანტი, რადგან ეს ცოდნა, სწორ აზროვნებასთან შეერთებული, აღძრავს ისეთ გრძნობებს, როგორიცაა იდეისთვის უანგარო მსახურება, ერთგულება, ვაჟუაცობა, გონიერება, თავდადება..., რაც ბოროტის მცდელობას, თავისთავად, წარუმატებელს ხდის; ამასთან, საზოგადოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ „ვისაც თავისი ქვეყანა არ უყვარს, მას არავისი სიყვარული არ ძალუდს“ (ჯ. ბაირონი), „სამშობლოს ნამდვილი სიყვარულის გარეშე კი კაცობრიობის ნამდვილი სიყვარული არ არსებობს“ (ა. ფრანსი).

ცხონების გზა ვიწროა და ძნელად სავალი, მაგრამ მეტად საინტერესო და მიმზიდველი. ეს არის მუდმივი გამოცდა და ბრძოლა ბოროტი ძალის სხვადასხვა გამოვლინებასთან: იგი შენს შესაძლებლობებს სულ სხვა კუთხით დაგანახებს და, სწორად მოქმედების შემთხვევაში, ღვთის მადლი იმდენად აღგავსებს, რომ მას ვეღარ განეშორები. ამასთან ისე შეიცვლები, რომ ყოველგვარი გაჭირვება შეიშით კი არა, სულიერი სიმშვიდითა და სიძლიერით განგმსჭვალავს და ვეღარაფერი დაგამარცხებს. მაშინ შენი ღვანლი, მაცხოვრის მაცხოვნებელ მადლს შეერთებული, ღვთის ნეტარებას დედამიწაზევე გაგრძნობინებს და შენს უდიდეს მიზანსაც აღგასრულებინებს.

— და რაში მდოგმარეობს იგი?

— განმღრთობაში, ძალისამებრ ჩვენისა, ღვთის მიბაძვაში!

ეს არის ნებისმიერი ადამიანის მთავარი დანიშნულება, ეს არის მოწოდება, რომლის ნინაშე ყველა სხვა მინიერი ზრუნვა, სურვილი და განსაცდელი უნდა გაუფერულდეს.

ღმერთი სრულყოფილია, ჩვენც გვმართებს, მუდამ ვისწრაფვოდეთ სრულყოფილებისაკენ და ვცდილობდეთ იმ ნი-

ჭის სრულად გამოვლენას, რაც უფლისაგან მოგვეცა; იქნება ეს: მიწათმოქმედება, სხვა ფიზიკური შრომის უნარი, სწავლა, მეცნი-ერული აზროვნება, ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მუშაკობა, პედაგოგობა, ექიმობა, მშენებლობა, ქვეყნის მსახურება, ღვთის მსახურება მოციქული ამიტომაც გვარიგებს: ყველაფერი რასაც გააკეთებთ, გააკეთეთ როგორც ღვთისთვის, მთელი სულითა და გულით (კოლ. 3,23).

რაოდენ მადლიერნი უნდა ვიყოთ უფლი-სა, რომელმაც საოცარი, ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი, წყალობა მოგვცა, — თავისი უნაპირო სიყვარულის გამო ჩვენთვის დაით-მინა ტანჯვა, წამება, შეურაცხყოფა, დამცი-რება, ჯვარცმით სიკვდილი და აღდგომითა და ამაღლებით მოგვანიჭა სრულქმნის შესა-ძლებლობა. და რაოდენ უგუნურნი და უმად-ურნი ვიქენებით, თუ ეს ვერ გავაცნობიერეთ და ამაოებაში დავინთქით?!

პასექამდე, სვიმონ კეთროვნის სახლში ყოფნისას, იესო ქრისტეს ერთი ცოდვილი ქალი მორიდებით მიუახლოვდა, ცრემლით დაალტო მისი ფერხნი, დაასხა ძვირფასი ნელსაცხებელი და თავისი თმით დაუწყო შემშრალება.

ამის მხილველმა მოციქულებმა გუ-ლისწყრომაგამოხატეს, რადგანფიქრობდნენ, უმჯობესი იყო ეს სურნელოვანი ზეთი გაეყ-იდათ და საფასური გლახაკთათვის დაერიგე-ბინათ.

ქალის გულწრფელი ქმედება კი მაცხ-ოვარმა ასე შეაფასა: „მთელ ქვეყანაზე, სა-დაც იქადაგება ეს სახარება, ყველგან ითქ-ვას..., რაც მან გააკეთა, მის მოსახსენიებლად“ (მათე 26,13).

ინებოს ღმერთმა, ცოდვაში მყოფმა ყვე-ლა ადამიანმაც, ამ ქალის მსგავსად, ადრე თუ გვიან, შეიცნოს ღმერთი, თავისი ნელსაცხე-ბელი მიართვას მას და, მამასთან დაბრუნებული უძლები შვილივით, შეიმოსოს სამოსელი პირველი.

ქართველნო, აფხაზნო, ოსნო, ბერძენნო, უკრაინელნო, რუსნო, სომეხნო, ებრაელ-ნო, აზერბაიჯანელნო, უდინნო, იეზიდნო, ქურთნო, ინგუშნო, ქისტნო, ჩერქეზნო, ჩე-ჩენნო, ლეკნო, — ყოველნო მკვიდრნო საქა-რთველოისა და ჩვენს საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენნო, ადიდეთ და „უგალობეთ ღმერთს თქვენს გულებში მადლიერებით.“ (კოლას. 3,16); და სასოე-ბით „ჰმადლობდეთ მამას, რომელმაც გვიხ-სნა პნელის ხელმწიფებისგან და შეგვიყვანა თავისი სიყვარულის სამეფოში, რომელშიც გვაქვს გამოსყიდვა და ცოდვების მიტევება“ (კოლას. 1, 12-14).

მაშ, „შევიმოსოთ რწმენისა და სიყვარუ-ლის აბჯარი და ხსნის იმედის მუზარადი.“ (თესალ. 1,58), რადგან

ქრისტე აღდგა!

გიხაროდეთ!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი
ილია //

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
თბილისი
2019 წელი

საგვარეულო მოძრაობა საქართველოს აღორძინების საფუძვლი

ვაჟა ნადირაშვილი

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის”
გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული მშენებელი

ქართველთა ამქვეყნიური სამებაა მამული, ენა, სარწმუნოება, რომელსაც სახლიშვილობა, გვარიშვილობა და მამულიშვილობა ასაზრდოებს.

ივანე ჯავახიშვილის გამოკვლევით სიტყვა „გვარი” XI-ე საუკუნემდე ქართული სამწერლო ენაში არა ჩანს. საქართველოში მხოლოდ ორი სიტყვა იყო ადამიანების ურთიერთშემაკავშირებელი, ეს სიტყვებია „ნათესავი” და „სახლი”. ხოლო ერთი და იგივე საგვარეულოს წევრს და ერთიდამიავე გვარის მქონებელ ადამიანს ქართულად „სახლიკაცი” ან „სახლიშვილი” ეწოდებოდა და ახლაც ეწოდება. აქედან ჩანს, რომ გვარს უძველეს დროს „სახლი” ჰქონდებოდა. საგვარეულოს იმ უხუცეს წევრს, რომელსაც გვარის საერთო ქონების მართვა-გამგეობა ჰქონდა ჩაბარებული „მამასახლისი” ჰქინიდა.

შემდგომ უმაღლეს ხელისუფალს, განუსაზღვრელი უფლებებით ქართველი ხალხი „ხელმწიფეს” უწოდებდა. გვარს ისტორიულ საქართველოში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საგვარეულო წყობილება მაშინდელი ცხოვრების დედა-ბოძი იყო.

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, საქართველოში ბევრი სოფელი ყოფილა, რომელიც მხოლოდ ერთ საგვარეულოს ეკუთვნოდა.

განსაკუთრებით ეს შეიმჩნევა მთიან მხარეებში. შემდეგ პერიოდში ოჯახების გაყოფამ, ცალ-ცალკე განსახლებამ, ერთი ადგილიდან მეორეში გადაადგილებამ, განმასხვავებელი სახელების მინიჭების-საჭიროება წარმოშვა. აღნერის დავთრებში დაიწყო მამაშვილობის სახელების ჩაწერა. უმეტესი გვარები ზედმეტი სახელების ან ძირითადი სახელების მიხედვით მიენიჭათ.

ასევე გაჩნდა ბიზნესის — ინდივიდუალური მეწარმეობის საწყისები. საყოფაცხოვრებო ნივთების, შრომისა და საბრძოლო იარაღის წარმოებაში დახელოვნებამ წარმოშვა პროფესიონალური ხელოსნების ფენა, ბევრს სწორედ ამ ხელობიდან წარმოეშვათ გვარები: მაგალითად მჭედლიშვილები და მჭედლიძები, მეჭურჭლიშვილები, მექვ-

აბიშვილები, მეცხვარიშვილები, ტომარაძები და სხვები.

ზოგიერთმა გვარმა შემდეგ ეტაპზეც განაგრძო ტრადიციული საქმიანობა წინაპართა მიხედვით, განსაკუთრებით სამკურნალო მედიკამენტების წარმოებაში მაგ: პაჭკორიები, თურმანიძეები და სხვები.

აქვე მინდა ავლნიშნო ბიზნესწარმოების საწყისი ეტაპები ვიდრე საქართველოში კაპიტალიზმის ელემენტები ჩაისახებოდა.

იმდროინდელი სამეწარმეო და ბიზნეს საქმიანობა ძალიან ჰგავს დღევანდელ კოპერატივს — ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმითა და პრინციპებით.

მაშინ მას „შეყრილობა” ეწოდებოდა. დოკუმენტების კრებულის სამართლებრივ საბუთებს ეწოდებოდა „შეყრილობის წიგნები”.

1717 წლის საბუთში ნათევამია თუ როგორ გაერთიანდნენ ერთ დროს გაყრილი ბიძაშვილობა საერთო საქმის საწარმოებლად „ყველა გაგვიერთიანებია, რაც ერთობაში შევიტანოთ, საერთო იყოს, რაც დაგვეკარგოს ისიც საერთო იყოს..... თქვენდა უკითხავად არც მამული გავცე..... თუ პური ღვინო გადაურჩეს, საერთოთ მოვიხმაროთ, ან მამული ვიტორია ან ვიყიდოთ ყველა საერთო იყოს”-ო.

მეორე შეყრის წიგნში სწერია: „რაც გვაბადია და მომავალშიც გვექნება ჩვენ თანასწორად უნდა გვეკუთნოდეს და ყველაფერი უნდა საერთო შეთანხმებით გავაკეთოთ და გადავწყვიტოთ ხოლმე, რასაც შევიძენთ, საერთო უნდა იყოს”-ო.

1798 წლის საბუთში წერია: „საერთო კეთილდღეობის გულისათვის ერთ ოჯახად შევიყარენით. ჩვენ უნდა ერთი ერთმანეთს ვუშველოთ, ვიმუშაოთ და ვაჭრობა ვაწარმოვოთ და ყველაფერი გავაკეთოთ, რაც ჩვენი სახლისათვის სასარგებლო იქნება და ჩვენ შორის სიტყვები „ჩემია” ან „შენია” არ უნდა იყოს, არამედ ყველაფერი რაცა გვაქვს

და რაც გვექნება, ყველას თანასწორ წილად უნდა გვეკუთვნოდეს".

აქედან ჩანს, რომ ადრე გაყრილ-დაშორებულები საერთო გასაჭირის დასაძლევად შეერთება-შეკავშირებაზე ზრუნვდნენ. საგვარეულო კვლავ ერთიანდება, მამულს აერთებს და საერთო მეურნეობის წარმოებას იწყებს. ეს ხდება არამარტო სოფლის გლეხების დონეზე, არამედ მაღალი წრის წოდებაშიც.

საგვარეულოები მთელ მსოფლიოში წამყვან პოზიციებს იკავებდნენ და დღესაც იკავებენ. როგორც ფრინც სფრინგმაირი თავის წიგნში „ილუმინატური საგვარეულოები“ მოგვითხრობს, ანტიკურ ხანაში ოჯახები წარმოადგენდნენ სანათესაო გაერთიანებებს. მოგვიანებით ასეთი ოჯახები ახლო აღმოსავლეთიდან ვენეციაში, შვეიცარიაში, რუსეთში, ლონდონსა და ამსტერდამში დამკვიდრნენ.

საგვარეულოებად კი ისინი მე-16 საუკუნეში ჩამოყალიბდნენ. საბანკო საქმიანობითა და ვაჭრობით დაკავებულმა ოჯახებმა ძლევამოსილ საგვარეულოებს ჩაუყარეს საფუძველი. დიდი საგვარეულოებები მთელ მსოფლიოს მოედვნენ. ჩადგნენ ქვეყნების სათავეებში, შექმნეს საიდუნლო ილუმინატორული ორგანიზაციები და ამის საშუალებით მართავდნენ მსოფლიოს. ამერიკის შეერთებული შტატების ოცდახუთი პრეზიდენტი ერთმანეთის წარმომავლენი არიან. ამერიკის შეერთებული შტატების თორმეტი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონით დაწყებული, რუზველტებით და მამა-შვილი ბუშებით დამთავრებული ინგლისის მეფის ედუარდ I-ის პირდაპირი შთამომავლები არიან. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ილუმინატორი საგვარეულოები ქმნიდნენ დინასტიებს. „მსოფლიო სცენაა, ჩვენ კი მსახიობები ვართ,“ — ეს სიტყვები ილუმინატების ერთ-ერთ დიდ მაგისტრს ეკუთვნის. ძლიერი ამა ქვეყნისანი სამყაროს ასე აღიქვამენ. მსოფლიოს ძლევამოსილი საგვარეულოები დიდი გავლენითა და პატივისცემით სარგებლობენ. დიდ ქვეყნებშიც კი ილუმინატორი საგვარეულოები არად დაგიდევენ კონსტიტუციას, ისინი მთავარ და მეობარისხოვან პოლიტიკურ პარტიებს, სამთავრობო გადაწყვეტილებებს, ფულის ბეჭდვის პროცესს და ქრისტიანულ სამყაროსაც აკონტროლებენ.

აქედან ჩანს, რომ ყველა პარტიაზე ძლიერი საგვარეულო გაერთიანებებია. სწორედ,

რომ საგვარეულო მოძრაობა გადაარჩენს საქართველოს და ის იქნება ქართველი ხალხის სულიერი ზრდის, ეროვნულ-პატრიოტული იდეებისა და ქართული ტრადიციების აღორძინების წარმართველი ძალა.

საქართველოში საგვარეულო მოძრაობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დაიწყო. ინიციატორი იყო გაზეთი „რაოე“ და მის ირგვლივ მყოფი მეცნიერ-შემოქმედთა ჯგუფი. იდეის მხარდამჭერი და თანამდგომი გახლდათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უნინიდესი და უნეტარესი ილია II.

2003 წელს დაფუძნდა საქართველოს საგვარეულოთა კავშირი „გვარი და გვარიშვილობა“.

დამფუძნებლები იყვნენ ბატონები: ლევან ფრუიძე, ბონდო გაგნიძე, თენგიზ მაისურაძე, გრამიტონ კვარაცხელია და ზურაბ ჭავჭავაძე.

სწორედ ისინი იყვნენ პირველი გამგეობის წევრებიც-გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი ლევან ფრუიძე. კავშირის საქმიანობის მიზანი იყო: საგვარეულოთა კავშირების ჩამოყალიბება, გვარების ისტორიის შესწავლა და საგვარეულო მატიანების შექმნა, ქართული ტრადიციების შენარჩუნება და პროპაგანდა, ეროვნულ-ქრისტიანული სიწმინდეების დაცვა და მოვლა, გვარების წარდგენა პატრიარქთან დასალოცად. პირველად მაისურაძეების გვარი დაილოცა.

2009 წელს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ იურიდიულ მისამართად თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარი განისაზღვრა. საქმიანობა გაიშალა სამების ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში. გამგეობა შეივსო ახალი წევრებით. გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბატონი ავთანდილ არაბული. გაიზარდა დაფუძნებული საგვარეულო კავშირების რიცხვი.

გვარებმა გააქტიურეს მუშაობა: ეკლესია-მონასტრების აღდგენის და მოვლა-პატრიონობის, საკუთარი ფუძე-ადგილების მოძიების, სოფლების აღორძინების, გვარების ისტორიის შესწავლის და სხვა. მათი დამსახურების გამო გვარები წარდგენილ იქნენ საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის წინაშე დასალოცად.

გამოვიდა გაზეთი „გვარიშვილობა”, რომელიც შემდეგ უურნალად გადაკეთდა. მოგვიანებით გამოვიდა ახალი გაზეთი „გვარი და ტრადიცია”. გაზეთებში და უურნალებში იბეჭდებოდა ინფორმაციები საგვარეულო მოძრაობის, საგვარეულო კავშირების საქმიანობისა და გვარების ისტორიების შესახებ.

2015 წლის ნოემბრიდან საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებამ“ შუადღის პროგრამაში დაიწყო 20 წუთიანი გადაცემა საგვარეულო მოძრაობის შესახებ.

გვარებმა შექმნეს თავიანთი სიმბოლოები (დროშა, გერბი, ლოგო) დააწერინეს მფარველი ხატები. ამუშავდა სამეცნიერო საბჭო.

როდესაც გაიზარდა შექმნილი საგვარეულოთა კავშირების რაოდენობა შვიდასამდე, გვარების წინამდოლოთა ურთიერთდაახლოებისა და შეკავშირებისათვის გადაწყდა შექმნილიყო გვარების წინამდლოლთა დარბაზი.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ ხელმძღვანელობით 2011 წლის 3 ივნისს თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში, გვარების წინამდლოლთა შეკრებაზე გვეწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი. ამ შეკრებაზე დაფუძნდა გვარების წინამდლოლთა დარბაზი.

დარბაზის საპატიო თავმჯდომარედ არჩეული იყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. შეიქმნა დარბაზის საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბატონი ლევან ფრუიძე.

დარბაზის სხდომებზე განხილული იყო შემდეგი საკითხები: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების მდგომარეობა და მისი გასხვისების პრობლემები — მომხსენებელი გახლდათ პროფესორი პატა კოლუაშვილი, ჰიდროელექტროსადგურების მმენებლობის პრობლემები — მომხსენებელი პროფესორი მირონ ფიცხელანი, ასევე მოსმენილ იქნა დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებანი ელექტრო-ენერგეტიკის სახელმწიფო პლიტიკის ცვლილებათა აუცილებლობის შესახებ — მომხსენებელი ვახტანგ ზარქუა, ქართველი ერის დემოგრაფიული კოლაფსი და მცირე გვარების სავალალო ბედი — მომხსენებელი პროფესორი ალექსანდრე თოთაძე, საქართველოს გარეთ დარჩენილი და დევნილი გვარებთან ურთ-

იერთობის პრობლემა — მომხსენებელი პროფესორი ლევან ფრუიძე. დარბაზის სხდომაზე გვეწვივნენ სამაჩაბლოდან დევნილი მოქალაქეები. მათ დააყენეს ხალხური დიპლომატიის გამოყენების საკითხი. გამოითქვა აზრი ერთობლივი კომისიების მუშაობის შესახებ. შეიქმნა გვარების წინამდღვრებისაგან 5 კაციანი კომისია ბატონ მამია ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით.

განვიხილეთ ეკომიგრანტთა მდგომარეობა — მომხსენებელი საქართველოს ეკომიგრანტთა საზოგადოების თავმჯდომარე სიმონ შარაძე. ასევე იხილებოდა გვარების წინამდლოლთა ანგარიშები მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

გვარები აქტიურად მონაწილეობენ ეკლესია მონასტრის აღდგენასა და მშენებლობაში: მაისურაძეებმა მრავალ ეკლესიას მოუარეს, შეაკეთეს და შესწირეს ხატები. აღადგინეს სოფელ ილოზის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, ლეკვეიშვილების გვარმა სოფელ იანეთში ააშენა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, ტყემალაძეების გვარმა საჩხერის რაიონში, სოფელ ბაჯითის წმინდა სამების სახელობის ეკლესია, ასევე ტყემალაძეების და ხაჩიძეების გვარების ერთობლივი ძალისხმევით ხარაგოულის რაიონის სოფელ წაქაში აღადგინეს კვირაცხოვლობის სახელობის ეკლესია. უფლის შეწევნით წინაპრების სახელზე ვაჟა ნადირაშვილი აშენებს მთავარანგელოზ მიქალის სახელობის ეკლესიას. ამდაგვარი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ასევე მრავალი გვარი ეწევა ქველმოქმედებას. მაისურაძეების გვარს ტრადიცია აქვთ, რომ ყოველ დღესასწაულზე, რომელიმე შეჭირვებულ ოჯახს დაეხმარონ საყოფაცხოვრებო ტექნიკით და სხვა ნივთებით. ასევე კვირკველიების გვარმა 58 ოჯახს ახალი წელი მიულოცა და გადასცა საჩუქრები.

ბალდავაძეებმა დააწესეს ორდენი, რომლითაც ჯილდოვდებიან გვარში აქტიური და ღვანწლმოსილი პიროვნებები.

მრავალმა გვარმა გამოიკვლია თავიანთი გვარისა და წინაპრების ისტორია, ასევე შექმნეს ფილმები თავიანთი მოღვაწეობის შესახებ.

საგვარეულო კავშირების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია საქართველოში არსებული მძიმე დემოგრაფიული ვითარება: მოსახლეობის რაოდენობისა და შობადობის შემცირება. იზრდება ნასოფლარები განსა-

კუთრებით — მთაში. არსებული დემოგრაფიული სურათის გასაცნობიერებლად მნიშვნელოვანია გვარების შესწავლა.

საქართველოში დღეს ათასობით გვარია, მათ შორის — დიდი წარსულის მქონე, რომელთაც გადაშენების საფრთხე ემუქრება; ბევრ გვარში — რამდენიმე ათეული, ზოგჯერ კი — თითო-ოროლა ადამიანია შემორჩენილი, რაზეც ამ გვარების წარმომადგენლებს და საზოგადოებასაც ხშირად ინფორმაცია არა აქვთ.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირმა „გვარი და გვარიშვილობამ“ გამოსცა წიგნი „გვარსახელები საქართველოში“. წიგნი ეყრდნობა სამოქალაქო რეესტრის მონაცემებს. აქ წარმოდგენილია საქართველოში მცხოვრები 96915 გვარი. წიგნში შესულია ქორწინების შედეგად ან სხვა ვითარებაში მიღებული შერწყმული გვარები, არაქართული მოსახლეობის ქალისა და მამაკაცის განმასხვავებელი დაბოლოვებულიანი გვარები, გვარები, რომლებიც მხოლოდ ერთ ან ორ პიროვნებას ითვლის.

საგვარეულო მოძრაობის მიმდინარეობა მუდმივად იყო საქართველოს პატრიარქის ყურადღების ქვეშ.

2013 წლის 1 ივლისს წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ახალგაზრდული ცენტრის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა გვარების წინამდლოლთა შეკრება. შეკრებაზე მობრძანდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი..

განხილული იყო ერთი ძირითადი საკითხი: საქართველოს სამინათომოქმედო ტრადიციული კულტურების გადარჩენის შესახებ. მოხსენება გააკეთა ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორმა ინებზე მაისა-იამ. შეკრებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარეები ბატონები ზურაბ ტყემალაძე და დავით ონიფრიშვილი, ქართველ ეპრაელთა მსოფლიო კონგრესის თანათავმჯდომარე ჯამლეტ ხუხაშვილი, პატრიარქის ფონდის ხელმძღვანელი ლაშა ქვანია, მეცნიერები, ამ დარგის სპეციალისტები, სასულიერო პირები. შეკრების მუშაობა შეაჯამა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, მან დადებითი შეფასება მისცა ზემოთ აღნიშნული თემის წამოწევას.

ამავე წლის 21 ნოემბერს ლევან ფრუიძე, საველ მარსაგიშვილი და ვაჟა ნადირაშვილი სალამოს ლოცვის შემდეგ საპატრიარქოში, ზამთრის ბაღში შეხვდნენ კათოლიკოს პა-

ტრიარქს.

განიხილეს საგვარეულო კავშირების შექმნისა და გვარების დალოცვის ორგანიზების, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და მიტოვებული სოფლების აღორძინების, ტრადიციული კულტურების გაშენების და მისი განვითარების, გორის მუზეუმთან სტალინის ფენომენის მეცნიერული შესწავლის ცენტრის შექმნის საკითხები.

საყოველთაოდ ცნობილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ღვაწლი საგვარეულო მოძრაობის დაწყებასა და შემდგომ განვითარებაში.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობას“ გადაწყვეტილებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II დაჯილდოვდა საქართველოს საგვარეულოთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობას“ უმაღლესი ჯილდოთი: სახელობითი მოოქროვილი მედლით, საგვარეულო მოძრაობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.

2016 წლის 4 იანვარს (პატრიარქის დაბადების დღეს) კავშირის წევრთა ერთი ჯგუფი, გამგეობის თავმჯდომარის ლევან ფრუიძის ხელმძღვანელობით თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის საკურთხეველში ეწვია პატრიარქს, მიულოცეს დაბადების დღე, გადასცეს მედალი და აგრეთვე ხის ბუდეში ჩასმული ეტრატი, რომელზედაც იყო მიღოცვის ტექსტი 1200 გვარის ხელმოწერით.

ქ. თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის ეზოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის უბუალო წინამდლოლობით სამმა დიდმა გვარმა: ბერიძეებმა, გელაშვილებმა და მაისურაძეებმა დარგეს სამი მუხის ხე, ვითარცა სიმბოლო საქართველოს ძლიერებისა. ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და დღესაც აქვს. განზრახულია ამ მუხებთან პატრიარქის წინაშე დადონ ფიცი ძველმა ფიცის კაცებმა და გვარების წინამდლოლებმა ერის, მამულისა და ქართული ეკლესის უანგარო თავდადებისა და მსახურებისათვის.

მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო გვარიშვილთა თვითშემოქმედებითი საღამო, რომელიც ჩატარდა 2017 წლის 21 აპრილს ტელევიზია ერთსულოვნების დარბაზში. აღნიშნული ღონისძიება მიეძღვნა საქართველოს მართმადიდებლური ეკლესის ავტოკეფალიის აღდგენის 100 და სრულიად

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ს აღსაყდრების 40 წლისთავს.

საღამოში მონაწილეობა მიიღეს საოჯახო ანსამბლებმა. თბილისიდან ადამაშვილების, დუშეთიდან გორელიშვილების, ახალციხიდან თელიაშვილების ოჯახებმა, გ. ცაბაძის სახელობის ხალხურ საკრავთა ორკესტრმა, საჩხერის ვაჟთა გუნდმა, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა ანი კეკუამ, ნინო ნადირაშვილმა და სხვებმა.

კომპოზიტორმა ჯემალ ადამაშვილმა ვაჟა ნადირაშვილის ტექსტზე შექმნა ჰიმნი, რომელიც ააუდერა ვაჟთა გუნდმა „მძლეველმა“. ყველა მონაწილეს გადაეცა მონაწილის დიპლომები და სუვენირები.

საქართველოს საგვარეულოთა კავშირს „გვარი და გვარიშვილობას“ მუდმივი კონტაქტი აქვს აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირთან, მის თავმჯდომარესთან ბატონ ნიაზ ბოლქვაძესთან. მათ შექმნეს მემორიალის მაკეტი, რომლის დადგმაც განსაზღვრულია ბათუმში, აჭარის ოსლო-მალთა იმპერიის ბატონობიდან განთავისუფლების აღსანიშნავად. ყოველი წლის 25 აგვისტოს აღინიშნება ამ მოვლენისადმი მიძღვნილი საზეიმო შეკრება. კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ დელეგაცია არაერთხელ ყოფილა ბათუმში და მიუღია მონაწილეობა მათ მიერ ჩატარებულ ღონისძიებებში.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ფუნდმა „გაამნვანე საქართველო“ გამოგვიყო მახათას მთაზე მამათა მონასტრის მიმდეპარედ ნახევარი ჰექტარი მიწის ნაკვეთი. ამ ნაკვეთზე გვარიშვილებმა დარგეს 350 ძირი ზეთისხილის ნერგი, თითოეულ ნერგს გაუკეთდა ფირნიში, იმ გვარის აღნიშვნით ვინც იგი დარგო. ამით შეიქმნა გვარიშვილთა ხეივანი.

ამავე მახათას მთაზე ფერისცვალების მონასტრის წინამდებრის იოანე მაისურა-

ძის ინიციატივით მონასტერთან შეიქმნა ბერების განსასვენებელი. გვარებმა ამ საძვალის მოწყობაში მიიღეს აქტიური მონაწილეობა, როგორც ფიზიკურად ისე ფინანსურად.

გვარები ასევე მონაწილეობდნენ მასობრივ ღონისძიებებში: სამასი არაგველების, 100000 მოწამის ხსენების, ოჯახის სინმინდის და სხვა ღირშესანიშნავი დღეების აღნიშვნაში.

2019 წლის 11 თებერვალს სამების საკათედრო ტაძარში ჩატარდა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ 15 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. მოხსენება გააკეთა კავშირის „გვარი და გვარიშვილობის“ გამგეობის თავმჯდომარემ ვაჟა ნადირაშვილმა. სიტყვით გამოვიდნენ: გვარების წინამძღოლები ვაჟა ბერიძე, ოთარ კერვალიშვილი, მირიან ფიცხელანი, თენგიზ მაისურაძე, საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე მალხაზ ამაშუკელი, საქართველოს სამეფო სახლის კანცლერი კახა ქორიძე და სხვები.

გვარიშვილთა ჰიმნი

ქართველნო თქვენს გენს ლოცვა—
კურთხევა,
ფუძის სიმტკიცე, გვარის მრავლობა,
რომ წინაპართა კვალს მიჰყვებოდეს
თქვენი ამაყი შთამომავლობა.

დავდგეთ იქ სადაც გვარიშვილობა
აღორძინდება მთიდან ბარამდე
და საქართველო კვლავაც გვეხილოს
ნიკოფილიდან დარუბანდამდე.

მრავალუამიერ გვარიშვილობას,
გვარის მრავლობას

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ივანე ჯავახიშვილი, ტომი მე-6 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1982 წლის გამოცემა, გვ.136-144.
2. ფრიც სფრინგმაიერი, წიგნი I — 2017 წლის გამოცემა, გვ. 13-16.
3. ლევან ფრუბაძე, წიგნი „გვარი და გვარიშვილობა“, 2011 წლის გამოცემა.

რეზიუმე

ოდითგან გვაროვნული წყობილება სახელმწიფო ბრიობის მოწყობის საფუძველი იყო. დღეს მსოფლიოს ბევრ ქვეყანას დინასტიები მართავენ. საქართველოში საგვარეულო მოძრაობა საწინდარია ეროვნულ-პატრიოტული გრძნობების გაღვივების. გვარები დედა ფუძე-ადგილების მოძიების, სალოცავი ეკლესია-მონასტრების აღდგენა-აშენების, სოფლების აღორძინებისა და მოსახლეობის ამ საშვილიშვილო საქმეში ჩაბმის, ჯანსაღი ეროვნული ტრადიციების დამკვიდრების, თითოეული პიროვნების სულიერი და მატერიალური დონის ამაღლების იდეით არიან გამსჭვალულები. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიძლიერის საფუძველი.

SUMMARY

Since ancient times, the family/patrimonial order has been the basis for arrangement of the state. To the date, many countries of the world are ruled by the distances. In Georgia, the family/patrimonial movement is the precondition for reviving of national patriotic feelings. The families/patrimonies are willing to search for the places of origin, to restore and to construct churches and monasteries, to revive villages and to involve the population in the important activities with the idea of introduction and raising of healthy national traditions. That will be the basis for economic and political strength of our country.

დაგროვებითი საპენსიო პროგრამა

მაია კაპანაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

მარიამ ლირსიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: საპენსიო პროგრამა. დადგენილგშენატანიანი პროგრამა და დადგენილგადასახდელიანი პროგრამა.

ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საზოგადოების კეთილდღეობა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ დონესთან. საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ეკონომიკური გაძლიერება. ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური კავშირები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმაზე თუ რა სამთავრობო ზომები ხორცილდება ეკონომიკური განვითარებისათვის. ზოგადად სახელმწიფოს პოლიტიკა იმგვარად უნდა იყოს შემუშავებული, რომ ორიენტირებული იყოს საზოგადოების მომავალ კეთილდღეობაზე. მთავრობა ზოგჯერ იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც გლობალურად მიღებულია როგორც კეთილდღეობის უზრუნველსაყოფი ქმედება, თუმცა არ ითვალისწინებს იმ რისკ-ფაქტორებს რომლებიც განსხვავებულია ყველა ქვეყნისათვის.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს ქვეყნის საპენსიო სისტემა. იმისათვის რომ მოქალაქეთა სოციალური მდგომარების გაუმჯობესების პროცესი წარიმართოს სწორად, საჭიროა ეფექტიანი საპენსიო სისტემის დანერგვა. მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება კი პირდაპირ პროპორციულად განავითარებს ქვეყნის ეკონომიკას. მსოფლიოში არსებობს საპენსიო პროგრამისორი ტიპი: დადგენილშენატანიანი პროგრამა და დადგენილგადასახდელიანი პროგრამა.

დადგენილ შენატანიანი პროგრამის შემთხვევაში პენსიაში გასვლის შემდეგ გადახდილი პენსია დამოკიდებულია იმ შენატანების ოდენობაზე, რომელიც დამქირავებელმა და დაქირავებულმა მომუშავემ შეიტანეს პროგრამაში. დამქირავებლის შენატანი, როგორც წესი, არის დაქირავებული თანამშორმლის ხელფასის ფიქსირებული პროცენტი. ამ თანხის გადახდის შემდეგ დამქირავებელს ვალდებულებები არ გააჩნია.

შესაბამისად დამქირავებლის ყოველწლიური დანახარჯი სავსებით პროგნოზირებადია და აქედან გამომდინარე დადგენილშენატანიანი პროგრამა ბუღალტრული აღრიცხვის თვალსაზრისით ნაკლებ სირთულეს წარმოადგენს.

დადგენილგადასახდელიანი პროგრამის შემთხვევაში პენსიაში გასვლის შემდეგ პენსიის სახით გადახდილი თანხა დამოკიდებულია დაქირავებული მომუშავის ხელფასის საბოლოო ან კარიერის განმავლობაში არსებულ საშუალო რაოდენობაზე. საქართველოს მთავრობამ მხარი დაუჭირა დადგენილშენატანიან საპენსიო პროგრამას, რომლის მიზანსაც წარმოადგენს ხანდაზმული პირების უზრუნველყოფა ღირსეული ცხოვრებისათვის აუცილებელი ოდენობის პენსიით. აღნიშნული რეფორმის აუცილებლობა გამოწვეულ იქნა ბიუჯეტზე იმ წესის არსებობით, რომელიც 1990 იანი წლებიდან აწევს სახელმწიფოს პენსიის სახით. ვინაიდან ქვეყანაში მკვეთრად იზრდება დაბერების პროცესი, უფრო და უფრო გაუჭირდებოდა სახელმწიფოს საზოგადოების პენსიით უზრუნველყოფა.

საპენსიო ასაკის მქონე პირები მძიმე სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან პენსიების ოდენობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქვეყნაში საშუალო ხელფასს, აღნიშნული კი გამოწვეულია იმით, რომ დასაქმებული იხდის გადასახადებს პენსიონერის სოციალური უზრუნველყოფისათვის. ვინაიდან მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა ხორცილდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ქვეყნის ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება საპენსიო ასაკს მიღწეულ ადამიანებზე, თუმცა სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათ სრულფასოვან სოციალურ მდგომარეობას. ყველა განვითარებულ ქვეყანაში ადამიანის საპენსიო თანხა განისაზღვრება შრომითი საქმიანობის განმავლობაში გადახდილი გადასახადის ოდენობითა და შრომითი სტაჟით. ვფიქრობ ეს ძალიან სამართლიანია, ვინაიდან საჭიროა მოხდეს საზოგადოების დიფერენცირება შრომისა და დამსახურების მიხედვით. არ არის სამართლიანი როდესაც ადამიანს, რო-

მელიც მთელი თავის ცხოვრება მუშაობდა და ემსახურებოდა მის ქვეყანას, აქეს დამსახურებები, სამეცნიერო ნაშრომები, დიდი წვლილი მიუძღვის ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის დახვენასა და ეკონომიკის განვითარებაში და ა.შ. ჰქონდეს ისეთივე პენსია, როგორც ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში სხვა ადამიანის შრომაზე იყო დამოკიდებული. რა თქმა უნდა აქ არ იგულისხმება შრომისუუნარო ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. აღნიშნული საპენსიო სისტემის მიზანი კი სწორედ ხანდაზმულებში სიღარიბის დონის შემცირებაა, რასაც საარსებო მინიმუმთან მისი თანაფარდობაც ადასტურებს.

სწორედ ამ არგუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქავთ, რომ დადგენილგადასახდელიანი საპენსიო პროგრამა არის ყველაზე სამართლიანი გზა იმისა, რომ ადამიანს დაუფასდეს შრომა და ჰქონდეს ცხოვრების მანძილზე შესაბამისი პენსია.

ახალ რეფორმასთან დაკავშირებით, განსხვავებული აზრი გაჩნდა საზოგადოებაში. უარყოფითად მიიღო ახალი რეფორმა. რაც გამოიწვია იმ დეტალებმა, რომელთა გათვალისწინება აუცილებელი იყო რეფორმის განხორციელებამდე. დაგროვებითი საპენსიო სისტემის რეფორმა ბევრ ქვეყანაში განხორციელდა სხვადასხვა შედეგებით. შეგვიძლია განვიხილოთ პოლონეთის მაგალითი, რათა უფრო ნათელი გახდეს რა რისკებთან გვაქვს საქმე, როდესაც საქმე ეხება დაგროვებით საპენსიო პროგრამის რეფორმას, რომლის განხორციელებაც ევალება სახელმწიფოს „ქუდის ქვეშ“ მიერ შექმნილ საპენსიო ფონდს.

როდესაც პოლონეთში დაგროვებითი საპენსიო სისტემა ამოქმედდა, ამოქმედებიდან 3 წელში ამ სისტემაში ჩართული იყო 10 მლნ-მდე ადამიანი, რაც დასაქმებულთა 60% ს შეადგენდა, ხოლო 5 წელში ქვეყანაში უკვე არსებობდა 16 საპენსიო ფონდი, რომელთაც განსაკარგავად მიღებული ჰქონდათ 46 მლრდ ზლოტის ღირებულების კაპიტალი. ხოლო ამ თანხის 50% სახელმწიფო ობლიგაციებში იყო დაბანდებული. როდესაც 2008-2009 წლებში გლობალური ფინანსური კრიზისი წარმოიშვა პოლონეთის საპენსიო ფონდებში განთავსებული თანხები მიემართა ბიუჯეტის დეფიციტის დასაფინანსებლად. შესაბამისად განხორციელდა ფონდების აქტივების 50% ის კონფისკაცია.

რაც შეეხება საქართველოში საპენსიო

რეფორმას, აქ საქმე გვაქვს სხვადასხვა რისკებთან, როგორებიცაა საგადასახადო წენების ზრდა, მყიფე ეკონომიკური გარემო, მიმდინარე სავალუტო კრიზისი, საქართველოს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის განუვითარებლობა და საპენსიო აქტივების კვალიფიციური მართვა-ინვესტირების ინსტრუმენტები, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს ნდობის ფაქტორი წარმოადგენს. განვიხილოთ თოთოეული რისკ-ფაქტორი.

ჩვენი აზრით, ვფიქრობ ეკონომისტთა უწმრავლესობა დაგვეთანხება, რომ საქმე გვაქვს გადასახადების წენების ზრდასთან. ვინაიდან დასაქმებული ვალდებულია გადაიხადოს ყოველთვიურად დარიცხული შემოსავლის 2%, ხოლო დამსაქმებელი ვალდებულია გადაიხადოს გაცემული ხელფასის 2% ყოველთვიურად საპენსიო ფონდში, ჯამში გამოდის რომ საგადასახადო წენები იზრდება 4%-ით. აღნიშნულ აზრს ამყარებს ის ფაქტიც, რომ საპენსიო სისტემაში ჩართვა არის სავალდებულო და არა ნებაყოფობითი, რაც იმის ნიშანია, რომ თითოეულ მოქალაქეს გადასახადი მინიმუმ 2%—ით გაეზარდა. რეფორმის თანახმად, სავალდებულო წესით, დამსაქმებელს ეზრდება გადასახადი დასაქმებულის ხელფასის 2%-ის ოდენობით, რაც ისედაც მძიმე მდგომარეობაში არსებული ეკონომიკისათვის კოლაფსის ტოლფასი შეიძლება აღმოჩნდეს. არსებობს რისკი იმისა, რომ დამსაქმებლები შეეცდებიან თავი აარიდონ საპენსიო ფონდში თანხის გადარიცხვას, რაც საპოლოო ჯამში, კვლავ დასაქმებულის ინტერესისა და უფლების შეზღუდვის ხარჯზე მოხდება. რეფორმა დიდი ალბათობით ვერ იქნება წარმატებული, ქვეყანაში ფაქტობრივად არარსებული კერძო დანაზოგების, შიდა ინვესტიციებისა და სავალუტო კრიზისის ფონზე.

იმ ქვეყნებში, სადაც ეკონომიკა მზარდია და ფინანსური ბაზრები განვითარებული, კერძო დაგროვებითი საპენსიო მოდელი ამართლებს, რადგან დაბანდებული პენსია მაღალ სარგებელს იძლევა. თუმცა, საქართველოს ეკონომიკისთვის, სადაც ინფლაცია და რისკები დიდია, დაგროვილი რესურსი შეიძლება გაუფასურდეს. საპენსიო რეფორმის განხორციელებისთანავე პირველივე კვარტალში დაგროვებით საპენსიო ანგარიშებზე აკუმულირდება ასობით მილიონი ლარი, რომელთა განთავსება საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შეუძლებელი

იქნება. შესაძლოა მოხდეს აქტივების განვითარებული ქვეყნების ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განთავსება, თუმცა ამ შემთხვევაში, მკაცრად უნდა განისაზღვროს საპენსიო აქტივების ნაწილის პირდაპირი ინვესტირება ქართულ ეკონომიკაში, რათა თავიდან იქნას აცილებული ქვეყნის ფარგლებს გარეთ საინვესტიციო რესურსის გადინება. აუცილებელია, ასევე გაირკვეს და ნათლად ჩამოყალიბდეს აქტივების მმართველი კომპანიების როლი სისტემაში, რასაც რეფორმის კონცეფციაში სათანადო ყურადღება არ ეთმობა.

საპენსიო რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყანაში არსებობდეს საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს კერძო საინვესტიციო კომპანიების და ზოგადად ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას, ამისათვის

კი სახელმწიფომ იმგვარი ზედამხედველობა უნდა გაუწიოს საპენსიო აქტივებს, რომ არ შეექმნას დაბრკოლება კერძო-საინვესტიციო კომპანიებს. სახელმწიფო ვალდებულია შეექმნას სექტორებისა და პროექტების ნუსხა და განსაზღვროს ინვესტორების ინსტრუმენტები, სადაც საპენსიო ფონდებს შეეძლებათ ინვესტირება ქვეყნის ეკონომიკაში.

რისკ-ფაქტორს წარმოადგენს ასევე მოსახლეობის უნდობლობა, როგორც სახელმწიფოს ასევე კერძო საინვესტიციო კომპანიების მიმართ. რეფორმის განხორციელების პროცესში კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, რომ მოსახლეობის უმეტესობას აქვს დანაზოგების მიმართ დაბალი დონის დისციპლინა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კაპიტალის ბაზრის განვითარების და საპენსიო რეფორმების დეპარტამენტი საქართველოს საპენსიო რეფორმის ანგარიში, 2016 წლის მარტი;
2. პოლიტიკური კოლიცია „ქართული ოცნება“, 2012 წლის წინასაარჩევნო კამპანია;
3. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 ივნისის 400 დადგენილება;
4. საქართველოს მთავრობა, 2014;
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2016;
6. საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ 21/07/2018
7. United Nations, 2015;
8. Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), 2011
9. ACCA - P2 Corporate Reporting- FTC Kaplan Limited, 2008

რეზიუმე

დაგროვებითი საპენსიო პროგრამის განხორციელება ყველაზე მნიშვნელოვანი წამოწყებაა და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში. დღესდღეობით პრობლემურ საკითხს წარმოადგენს დაგროვებითი საპენსიო პროგრამის ფარგლებში აკუმულირებული თანხების ინვესტიციების გზები და რისკის შეფასების მეთოდები, რომელზე დაყრდნობითაც მოხდება აღნიშნული თანხების ინვესტირება, მომავალში სარგებლის მიღების მიზნით. პროგრამის წარმატებულად განხორცილებისთვის საჭიროა კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებული გუნდი, რომლის წევრებსაც პრაქტიკული გამოცდილება ექნებათ საფონდო ბირჟებთან ურთიერთობაში. ვინაიდან საქართველოში საფონდო ბირჟის პლატფორმა არ არსებობს სათუამ აღნიშნულ სფეროში კვალიფიციური და გამოცდილი კადრების მოძიება.

SUMMARY

ACCUMULATIVE PENSION PROGRAM

Kapanadze Maia
Academian Doctor of Economics.
Associated Professor

Mariam Gharsiashvili
Doctoral Student of Georgian Technical University

KEYWORDS: Pension program. Defined contribution plans and Defined benefit plans

The implementation of the accumulated pension program is the most important initiative and its plays a key role in the socio-economic policy. This is not a controversial issue. But nowadays problematic is the way to invest in the money accumulated by the pension program. Risk assessment methods are also important, because Investment of accumulated amounts will be determined based on risk assessment methods. Which will benefit us in the future. For successful implementation of the program, it's necessary to have a qualified staff, whose members will have practical experience in dealing with stock exchanges. There is no stock market platform in Georgia, that's why it is difficult to find qualified and experienced personnel in this field.

მაღალი რანგის სახელმწიფო მოხალეთა პროფესიული განვითარების სისტემის საზღვარგარეთის ქვეყნის

ლია ზაზაშვილი
სტუ ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი

სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს მაღალი მმართველობითი რანგის მოხელეებთან და კავშირებული სისტემების თვალსაზრისით. მათ მიეკუთვნება უმაღლესი დონის მოხელეთა შერჩევის და დანიშვნის ფორმები თუ მეთოდები, მათი პროფესიული ზრდის და მობილობის ორგანიზების სახები, პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ თანამშრომლებს შორის დამოკიდებულება, სახელმწიფო მოხელეებისადმი პოლიტიკური კონტროლის ხასიათი, კონსტიტუციური და ადმინისტრაციული სისტემების თავისებურებები. ამ სფეროებიდან, სხვადასხვა ქვენებს შორის, სამი მთავარი განმასხვავებელი მომენტი გამოიყოფა: 1. პოლიტიკურ და კარიერულ მოხელეებს შორის თანაფარდობა, რაც აშშ-ში შეადგენს 1 : 5, ინგლისა და საფრანგეთში – 1 : 40. 2. საჯარო სამსახურის მოდელის ხასიათი, რომელიც განსაზღვრავს მაღალი რანგის მოხელეთა პროფესიული კარიერის და მობილობის ტიპს - კონტიტუციური ევროპის ქვეყნებში ჩამოყალიბებულია მოხელის ინსტიტუტი, რომელიც საჯარო სამსახურის შესახებ კანონს ეფუძნება, ანგლოსაქსურ ქვეყნებში, კი საჯარო სამსახური ჩვეულებრივ შრომის კანონმდებლობას ეფუძნება და ხასიათდება მეტი ლიაობით. 3. პროფესიონალიზმის ტრადიციები - აშშ-ში აქცენტი კეთდება ვიწრო პროფილის სპეციალისტებზე, ხოლო დიდ ბრიტანეთში - ზოგადი ხასიათის ცოდნასა და უნარებზე, ე. წ. „ჯენერალისტებზე“. [3]

აშშ-ში უმაღლეს ხელმძღვანელთა სამსახური (შენიორ ხეცუტივე შერვიცე) 1979 წლიდან, სახელმწიფო მართვის რეფორმის მიმდინარეობის შედეგად ჩამოყალიბდა, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს ცალკე სისტემას წარმოადგენს. ხელმძღვანელ თანამდე-

ბობებზე დანიშვნა ეფუძნება კონკურენციის და ლიაობის პრინციპს. სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად საჭიროა საკონკურსო გამოცდების გავლა და ლია კონკურენციის გზით სხვა კანდიდატებთან შედარებით უპირატესობის მოპოვება. არსებობს ალტერნატიული გზაც - სპეციალურ სასწავლო პროგრამაში მონაწილეობის მიღება. ცალკეულ ფედერალურ უწყებებში შექმნილია ე. წ. რესურსების მართვის საბჭო, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელ თანამდებობებზე კანდიდატების შერჩევის და დაქირავების პროცედურებს. კანდიდატთა გადარჩევა კომისიის მიერ ხდება რამდენიმე კრიტერიუმით: მმართველობითი გამოცდილება; სპეციალური და უნიკალური თვისებების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოს წარმატებულ შესრულებას; ხელმძღვანელებისთვის განკუთვნილი სპეციალური სასწავლო პროგრამების წარმატებული გავლა. ყველა კანდიდატის შეფასება ხდება მმართველობითი კომპეტენტურობის მოდელის მიხედვით, მოდელი მოიცავს მმართველობითი კვალიფიკაციის კომპეტენციათა ხუთ ძირითად სფეროს, რომლებიც, თავის მხრივ, აერთიანებენ სხვადასხვა მმართველობით თვისებებს. მათ მიეკუთვნება: 1. ცვლილებების მართვა - მმართველის ხედვა, გარემოს გაცნობიერება, შემოქმედებითობა, ინოვაცია, სტრატეგიული აზროვნება, უწყვეტი სწავლა, მოქნილობა, მოტივაცია. 2. პერსონალის მართვა - კონფლიქტების მართვა, კულტურული ფაქტორების გაგება, გუნდის ფორმირება, პატიოსნება; 3. რესურსების მართვა - ფინანსების მართვა, ადამიანური რესურსების მართვა, ტექნოლოგიების მართვა; 4. შედეგების მიღწევა - პასუხისმგებლივიანობა, პრობლემის გადაჭრის უნარი, წინდახედულობა, სიმტკიცე,

მომხმარებელზე ორიენტაცია, ადმინისტრაციული ჩვევები; 5. კომუნიკაცია და კოალიციის ფორმირება - მეტყველებითი კომუნიკაცია, წერითი კომუნიკაცია, მოლაპარაკებების წარმოება, კავშირების შექმნა და პარტნიორობა, პოლიტიკური ფაქტორების გაება, პიროვნებათშორისი ურთიერთობების ჩვევები. ეს მოდელი სახელმწიფო მართვის ყველა დონისათვის ზოგადია და წარმოადგენს მეთოდურ საფუძველს პოტენციური ლიდერების გამოსავლენად, სასწავლო პროგრამების შესამუშავებლად და უმაღლესი ხელმძღვანელობის პროფესიული განვითარების გეგმების შესადგენად. [1]

აშშ-ში შექმნილია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელთა მომზადების ერთიანი ნაციონალური ცენტრი - ფედერალური ადმინისტრაციული ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს პერსონალის მართვის სამსახურის სტრუქტურას, მისი ხელმძღვანელი ექვემდებარება უმუალოდ სამსახურის დირექტორს. დღეისათვის ფედერალური ადმინისტრაციული ინსტიტუტი უმაღლესი რანგის სახელმწიფო მოხელეებს ორი ტიპის პროგრამას სთავაზობს: „ლიდერობა დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და „მმართველობითი უნარების განვითარება“. სწავლების პროგრამების შინაარსი სცდება უწყობრივ პრობლემებს და ამოცანებს და ორიენტირებულია ისეთ დისციპლინებზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ ინოვაციური და ლიდერული თვისებების ფორმირებას, მმართველობითი ამოცანებისადმი შემოქმედებით მიდგომას. განსაკუთრებული როლი ექცევა უმაღლესი რანგის მოხელეთა სწავლებას და პროგრამების შემუშავებას, რომელიც მიმართულია ხელმძღვანელთა კომპეტენციების ცალკეული სფეროების განვითარებაზე. მათ მიეკუთვნება ხუთი სასწავლო პროგრამა: „პერსონალის მართვა“ (1 კვირა), „მართვა შედეგებისთვის“ (1 კვირა), „რესურსების მართვა“ (3 დღე), „მოლაპარაკებები ინტერესების საფუძველზე“ (2 დღე), „ცვლილების მართვა და კოალიციის ფორმირება“ (2 კვირა). მმართველობითი თვისებების გაუმ-

ჯობესების ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს ლიდერობის ეფექტურობის გაზომვის სპეციალური მეთოდიკა, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელის კომპეტენტურობის დონეს, ცალკეული მოსამსახურის და მთლიანად ორგანიზაციის პერსონალის განვითარების მოთხოვნილებას. დადგენილია უმაღლესი მოხელეების თანამდებობრივი მოვალეობების შესრულების ყოველწლიური შეფასება (ქულობრივი სისტემით) და მათი ატესტაცია 3 წელიწადში ერთხელ. [4]

ფინეთში ხელმძღვანელ პირთა საქმიანობის ეფექტურობის შესაფასებლად გამოიყენება ოთხი ძირითადი კრიტერიუმი: 1. საქმიანობის შედეგი და პასუხისმგებლობის განცდა, მასში შედის შესრულებული სამუშაოს ხარისხი და რაოდენობა; შეთანხმებული ამოცანების შესრულება. 2. პროფესიული კვალიფიკაცია, რომელიც მოიცავს სამუშაოს შინაარსის ცოდნას, ინიციატივიანობას და დამოუკიდებლობას, მრავალმხრივი უნარების ფლობას. 3. თანამშრომლობის და ურთიერთობების უნარები; 4. განვითარების პოტენციალი, რომელშიც იგულისხმება ახალი ამოცანებისადმი დამოკიდებულება, თვითსრულყოფაზე ზრუნვა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესების ორგანიზებაში მონაწილეობა. მოცემული კრიტერიუმები შემდეგი ნიშნების მიხედვით ფასდება: საქმიანობის შედეგი და პასუხისმგებლობის განცდა - 35%; პროფესიული კვალიფიკაცია - 35%; თანამშრომლობის და ურთიერთობების უნარები - 15%; განვითარების პოტენციალი - 15%. აღნიშნული შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხდება ხელმძღვანელთა მატერიალური თუ არამატერიალური სტიმულირება.

ჰოლანდიაში მაღალი რანგის მოხელეთა სპეციალური სამსახური (ე ლეგენდე ესტურსდიენსტ) შეიქმნა 1995 წელს. აღნიშნული სამსახურის შექმნის მიზანს წარმოადგენდა ხელმძღვანელ პირთა მობილობის გაზრდა, მათი პროფესიული განვითარება და საქმიანობის კოორდინაცია, რაც ზოგადად, სახელმ

წიფო მართვის სისტემის მოქნილობის, პასუხისმგებლიანობის და ინოვაციური პოლიტიკის ზრდის ხელშემწყობა პირობას წარმოადგენს.

მოხელეთა კარიერული ზრდის ხელშეწყობის მიზნით ცალკე ორგანიზებულ იქნა პროფესიული განვითარების განყოფილება, რამაც მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებთან მუშაობისადმი შემდეგი მიდგომები გამოავლინა: 1. მოხელეთა მობილობის მექანიზმის სრულყოფა, რომელიც გულისხმობს მათი პორიზონტალური და ვერტიკალური გადაადგილებების შესაძლებლობას, პროფესიული მიზნების მიღწევას და შრომითი ანაზღაურების ზრდას. მუდმივი როტაცია, ასევე პერსონალის შემადგენლობის ცვლილების შესაძლებლობას იძლევა, რაც უზრუნველყოფს ხარისხიან სამუშაოს შესრულებას ორგანიზაციის „სასიცოცხლო ციკლის“ და ამოცანების შესაბამისად. 2. ხელმძღვანელი თანამდებობებისთვის სპეციალური მმართველობითი უნარების მქონე კარიერულ მოხელეთა შერჩევა. ამ შემთხვევაში დიდ როლს ასრულებს „მმართველობითი პროფილის“ (მანაგერენტ პროფილეს) მოდელის გამოყენება, რომელიც საშუალებას იძლევა კონკრეტული ვაკანსიისთვის შეირჩეს შესაბამისი კანდიდატი. „მმართველობითი პროფილის“ მოდელი მოიცავს კომპეტენციათა შვიდ სფეროს, რომელთაც მიეკუთვნება: 1. სისტემური მართვა (მომავლის ხედვა, მიზნების მართვა, კავშირების ფორმირება, ლიდერობა); 2. პრობლემის გადაჭრა (ინფორმაციის ანალიზი, ალტერნატივების ფორმირება, კონცეპტუალური მოქნილობა, გადაწყვეტილების მიღება); 3. პიროვნებათშორისი ურთიერთობები (მოსმენის უნარი, ირგვლივმყოფთა რეაქციების გაგების უნარი, მოქნილობა ქცევაში, დაქვემდებარებულთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა); 4. ოპერატიული ეფექტურობა (ინიციატივურობა, ოპერატიული კონტროლი, უფლებამოსილებების დელეგირება, კონცენტრირების უნარი); 5. ადამიანებზე გავლენის მოხდენა (მეტყველებითი პრეზენტაცია, საკუთარ

თავში დარწმუნებულობა, მოქმედების გეგმის შემუშავება, დარწმუნების უნარი); 6. პიროვნული თვისებები (ენერგიულობა, სტრესგამძლეობა, ხარისხიანი საქმიანობის მოტივაცია, სწავლის უნარი); 7. გარემოს გათვალისწინებით მართვა (გარემოს გაცნობიერება, პოლიტიკური ფაქტორების გაგების უნარი). მთავარი ყურადღება ეთმობა ხელმძღვანელ პირთა პროფესიულ განვითარებას. მათ მოეთხოვებათ გაცნობიერებული ქონდეთ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეები, მოახდინონ თვითშეფასება კომპეტენტურობის მოდელის მიხედვით. [2]

სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს მაღალი რანგის მოხელეებთან მუშაობის თვალსაზრისით, წარმოადგენს: 1. მობილობის სისტემის განვითარება (განსაკუთრებით უწყებათაშორისი); 2. უმაღლესი რანგის მოხელეების საჭირო უნარების განვითარება და ცოდნის ღონის ამაღლება; 3. კარიერული ზრდის ხელშეყობა პოტენციური შესაძლებობების და შესრულებული სამუშაოს შეფასების საფუძველზე; 4. სახელმწიფო სამსახურის და ადმინისტრირების სფეროში სამეცნიერო კვლევების წარმოება; 5. ინფრასტრუქტურის განვითარება უმაღლესი რანგის მოხელეთა საქმიანობის ხელშეწყობის და პროფესიული სტანდარტების მიღწევის მიზნით.

ანალოგიური სისტემა არსებობს ავსტრიაში, ახალ ზენლანდიასა და ზოგიერთ სკანდინავიურ ქვეყნებში.

მდენად, საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მაღალი რაგის მოხელეთა პროფესიულ განვითარებას, რაზეც მეტყველებს, ამ მიზნით, მათთვის ცალკე შექმნილი სპეციალური სამსახურები. ევროპული და ამერიკული მოდელებიდან საქართველოში შეიძლება გაზიარებული იქნას სახელმწიფო დაწესებულებებში მაღალი რანგის მოხელეთა მართვის ეფექტურობის ასამაღლებელი ღონისძიებები. მათ შორის მნიშვნელოვანი ცალკე სტრუქტურის ორგანიზება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მაღალი რანგის მოხელეებთან მუშაობაზე და მაღალი რან-

გის მოხელეების აქტიური როტაციის ხელშეწყობა სამინისტროებსა და უწყებებს შორის; არანაკლებ მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარების სისტემების დანერგვა ცალკეულ სამინისტროსა თუ უწყებაში; მაღალი რანგის მოხელეების სწავლის, პროფესიული განვითარების და მობილობის მიზნით სპეციალური პროგრამების შემუშავება და მმართველობითი კომპეტენციების მეცნიერუ-

ლად დასაბუთებული მოდელის შექმნა. ასევე, ხელმძღვანელთა კომპეტენციების ცალკეული სფეროს განვითარებაზე მიმართული პროგრამების სისტემის ჩამოყალიბება. გასათვალისწინებელია სწავლების პროგრამების შემუშავებისას ყურადღების პრაქტიკაზე, ინოვაციურ და ლიდერულ თვისებებზე გამახვილება;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ЗАРУБЕЖНЫЙ ОПЫТ ПРОФЕССИОНАЛЬНОЙ ПОДГОТОВКИ ГОСУДАРСТВЕННЫХ СЛУЖАЩИХ. Правдин А.А. ВЕСТНИК ЭКСПЕРТНОГО СОВЕТА. НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ № 2 (5), июнь 2016.
2. Лобанов В.В. Работа с высшим административным персоналом в США. М., 2003. 106 с.
3. Управление высшим административным персоналом (опыт Голландии и США), В. Лобанов; №2/00, http://vasilieva.narod.ru/25_2_00.htm
4. Управление персоналом: Учебник. Изд. 2-е, доп. и перераб. / Под общ. ред. А.И. Турчинова. - М.: Изд-во РАГС, 2008. - 608 с. 282-289გვ

რეზიუმე

სახელმწიფო აპარატის ეფექტურ მუშაობას დიდწილად განსაზღვრავს მაღალი რანგის თანამდებობების მოხელეთა კომპეტენტურობა და პროფესიონალიზმი. ისინი ხელმძღვანელობენსახელმწიფოპროგრამებისგანხორციელებასდაუშუალოდმონაწილეობენ სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის შემუშავებაში, მათზეა დამოკიდებული სახელმწიფოს ადმინისტრაციული პოტენციალი, რაც აისახება მკაფიო მიზნების და პრიორიტეტების დასახვასა და მიღწევაში. ეს ყველაფერი განსაზღვრავს სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობის და ეკონომიკის განვითარების დონეს. მაღალი რანგის მოხელეთა პროფესიული საქმიანობის ეფექტურობისადმი განსაკუთრებულ ინტერესზე მიანიშნებს ის გარემოება, რომ ბევრ ქვეყანაში შექმნილია სპეციალური სტრუქტურა - „უმაღალეს ხელმძღვანელთა სამსახური“, რომელიც პასუხისმგებელია მმართველობითი დონის მოხელეების მუშაობის ხარისხზე და უზრუნველყოფს ამ პოზიციებისთვის კანდიდატების შერჩევას, მათ პროფესიულ განვითარებას და შესრულებული სამუშაოს შეფასებას. მოხელეთა ამ ჯგუფის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი, ბევრ ქვეანაში, დაკავშირებულია სახელმწიფო საქმიანობის პირდაპირი ადმინისტრირების მეთოდიდან მეცნიერულად დასაბუთებულ მართვაზე გადასვლასთან. ჩვენს ქვეანაში მიმდინარე ფართომასშტაბიანი რეფორმების ფონზე, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების შესაბამისი მუშაობის შესწავლა და მათი გამოცდილების გათვალისწინება.

SUMMARY

PROFESSIONAL DEVELOPMENT SYSTEM OF SENIOR GOVERNMENT OFFICIALS IN FOREIGN COUNTRIES

Zazashvili Lia

PHD student of GTU

The efficient work of the state apparatus is largely determined by the competence and professionalism of high ranking officials. They are guided by the implementation of state programs and are directly participating in the development of different aspects of state policy, depending on the administrative potential of the state, reflecting the clear goals and priorities of the state. All this determines the level of competitiveness and economic development of the state. The special interest of high-ranking officials is to highlight the fact that in many countries a special structure is created by the «Superior Leaders» Service responsible for the quality of the management level and ensures the selection of candidates for these positions, their professional development and Full work evaluation. Particular interest in this group of people in many subjects is related to the transition to scientifically justified management from the direct management method of state activities. On the background of large-scale reforms in our suburbs, it is important to study the relevant work of other countries and take their experience.

სიღარიგის ანთროპოლოგიური თეორია

გიორგი კეპულაძე

ეკონომიკის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სიღარიბე წარმოადგენს გლობალურ პრობლემას, რომელსაც შეისწავლის სხვადასხვა მეცნიერებანიანუ სიღარიბის შესწავლა ეფუძნება მულტიდისციპლინარულ მიდგომას. სოციალურ მეცნიერებებში სიღრმისეულადაა განხილული სიღარიბის პოლიტიკური თეორია, სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორია [13], სიღარიბის სოციალური თეორია [15], სიღარიბის ეკონომიკური თეორია [14]. მოცემულ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ სიღარიბისანთროპოლოგიურთეორიას.

სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია იღებს სათავეს მე-20 საუკუნის 60-ან წლებში ანუ მაშინ, როცა ანთროპოლოგიური მეცნიერების წარმომადგენლები შეეცადნენ შესწავლათ სიღარიბე, როგორც გამოცალკავებული მოვლენა. ანთროპოლოგ-თეორეტიკოსები შეეცადნენ განეხილათ სიღარიბე, როგორც ადაპტიური, თვითშენარჩუნებადი სისტემა, რომელიც უკვდავყოფს საკუთარ მდგომარეობას.

სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია ეფუძნება სხვადასხვა სოციალურ დისციპლინებს და ადგენს კავშირს ადამიანთა ქცევისა და ადამიანის არსებობის კულტურული (ხელოვნური!) გარემოს შორის. ის შეისწავლის სიღარიბეს სხვადასხვა გარემოცვის პირობებში ადამიანთა შორისჩამოყალიბებული ურთიერთობებიდან გამომდინარე. სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია ეფუძნება სხვადასხვა კულტურების ურთიერთშედარებას და ცალკეული კულტურების პირობებში სიღარიბის თავისებურებათა ანალიზს.

ანთროპოლოგიური მიდგომის ზოგადი დახასიათება

ანთროპოლოგიური კვლევები იძლევიან მნიშვნელოვან ინფორმაციას სიღარიბის მიზეზების შესახებ და იკვლევენ სიღარიბესთან დაკავშირებულ განსხვავებულ გამოცდილებას. ანთროპოლოგიური მეცნიერება ადგენს სიღარიბის სტრუქტურას და განიხილავს მას, როგორც აზროვნების კატეგორიას

და როგორც სოციალურ კატეგორიის, რომლის შესწავლა ხორციელდება სიღარიბის ეთნოგრაფიული კვლევისა და კლასიფიკაციის საფუძველზე.

სიღარიბის ანთროპოლოგიური კვლევა ეფუძნება განსხვავებულ კულტურულ პირობებში ადამიანთა ქცევაზე დაკვირვებას და ურთიერთშედარებას, ეთნოგრაფიულ შესწავლასადა ადამიანთა მიერმიღებულ გამოცდილებაზე დაკვირვებას რთულ სოციალურ-პიროვნულ ურთიერთობათა საფუძველზე და, ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე, ადამიანთა მდგომარეობის (მ.შ. მატერიალური) გაანალიზებასა და გაგებას.

ანთროპოლოგიური მეცნიერების მიერ შემუშავებულ კონცეფციებზე დაყრდნობით სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია ყურადღებას ამახვილებს ადამიანის ქცევაზე განსხვავებულ სოციალურ-კულტურულ გარემოში, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან მიდგომას სიღარიბის პრობლემის გაგებისათვის და ხელს უწყობს სხვა სოციალურ მეცნიერებებს სიღარიბესთან დაკავშირებულ პრობლემების შესწავლაში.

ანთროპოლოგიური კვლევები გამომდინარებენ სიღარიბის არა აბსოლუტური შეფასებიდან, არამედ განიხილავენ სიღარიბეს, როგორც სოციალურ ურთიერთობას. სიღარიბისადმი ანთროპოლოგიური მიდგომისათვის მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ როგორ მივიღნენ ადამიანები სიღარიბის მდგომარეობამდე და როგორ ხდება სიღარიბის კლასიფიკაცია, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ ორგანიზაციებისათვის, რომლების მიზნად ისახავენ სიღარიბესთან ბრძოლას [7].

ანთროპოლოგიურ კვლევებში სიღარიბე არის ადამიანთა შორის სოციალური ურთიერთობები, რომლებიც ცვალებად ხასიათს ატარებენ და არა აბსოლუტური მდგომარეობა, რომელიც არ ექვენდებარება ცვლილებებს [7; 10].

სოციალური ურთიერთობებისა და გან-

1 კულტურულ გარემოში იგულისხმება არა ბუნებრივი გარემო, არამედ ადამიანთა მიერ ხელოვნურად შექმნილი გარემო, რომელიც ატარებს გარკვეული საზოგადოების ნიშან-თვისებებს.

სხვავებული საზოგადოებების, როგორიცაა განსხვავებული სოციალური ჯგუფები, კასტები, სოფლის საზოგადოებების და სხვ., ეთნოგრაფიული კვლევები იძლევიან ადამიანთა უთანასწორობისა და სიღარიბის მრავალმხრივ გაგებას [5; 8].

ანთროპოლოგების კვლევის არეალში მოქცეულია ქონებრივი ურთიერთობათა ჩამოყალიბების პრობლემები, ადამიანთა შორის უფლებების განაწილების საკითხები და სხვ. ანთროპოლოგიური კვლევები თანმიმდევრულად ავლენენ მოვლენების, და მათ შორის სიღარიბის, სოციალურ ბუნებას და სოციალური ურთიერთობების მნიშვნელობას საზოგადოებაში უთანაბრობის განვითარების შემცირების მიზნით [2; 3].

სიღარიბე, როგორც მდგომარეობა და როგორც სტატუსი, ეს არის სოციალურ ურთიერთობათა გამოვლენა და მეცნიერული კატეგორია, რომლის მეშვეობით სოციალური აგენტები ახორციელებენ სიღარიბის კლასიფიკაციასა და სამყაროზე ზემოქმედების შესწავლას.

ანთროპოლოგები განიხილავენ კატეგორია „სიღარიბის“ გენერალოგიას ადამიანთა განსხვავებული კატეგორიებისა და განსხვავებულ ისტორიულ და სოციალურ პირობებთან მჭიდრო კავშირში.

სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორია იძლევა პასუხს კითხვებზე თუ ვინ არის ლარიბი, რატომ არის ის ლარიბი და რა შეიძლება გაკეთდეს სიღარიბის შემცირებისათვის [1, გვ. 1].

ემიკური და ეთიკური მიდგომა, როგორც სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორიის მეთოდოლოგიის საფუძველი

ანთროპოლოგიური მიდგომა ხასიათდება კარგად განვითარებული ტერმინოლოგიით და მნიშვნელოვანილად ეფუძნება ე.წ. ემიკურ მიდგომასა (emic standpoint) და ეთიკურ მიდგომას (etic standpoint) [9, გვ. 8].

„ემიკური მიდგომა“ ანუ „ხედვა, შეფასება შიგნიდან“ დამახასიათებელია ისეთი შეხედულებებისათვის, რომელთა წარმომადგენლები უშუალოდ არიან ინტეგრირებული გარკვეულ სოციალურ-კულტურულ სივრცეში, ხოლო „ეთიკური მიდგომა“ ანუ „ხედვა, შეფასება გარედან“ დამახასიათებელია სოციალურ-კულტურულ სივრცის გარეთ მყოფ პირებისათვის და ვარაუდობს შეხედულებების ობიექტურობას, ნეიტრალურობასა და

უნივერსალურობას. ემიკური და ეთიკური მიდგომა წარმოადგენენ სოციალური გამოცდილების განსხვავებულ მხარეებს, რომელთა შორის ურთიერთობები წარმოადგენენ ეთნოგრაფიული მიდგომის ამოსავალ წერტილს. სწორედ ასეთი მიდგომების საფუძველზე ავითარებს სიღარიბის კულტურის თეორიას ცნობილი ამერიკელი ანთროპოლოგი ოსკარ ლუისი.

სიღარიბის (სუბ)კულტურის ანთროპოლოგიური თეორია

ტერმილი „სიღარიბის კულტურა“ მეცნიერების ცნებათა აპარატში შემოილო ამერიკელმა ანთროპოლოგმა ოსკარ ლუისმა (Oscar Lewis, 1914-1979) 1959 წელს. თავის ცნობილ ნაშრომში „ხუთი ოჯახი: მექსიკური საქმის კვლევა სიღარიბის კულტურის საკითხებში“ (Oscar Lewis, Five Families: Mexican Case Studies in the Culture of Poverty) [6; 7], რომელიც იყო გამოქვეყნებული 1969 წელს, ო.ლუისის განიხილავს ლარიბებს, როგორც სამართლის სუბიექტს, რომელთა ცხოვრებამ (და ხასიათმა) სიღარიბის ზეგავლენით განიცადა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია. ო.ლუისის შეხედულებით, ლარიბი ადამიანები მუდმივად განიცდიან სიღარიბის ზენოლას, რაც ქმნის კულტურის განსაზღვრულ ტიპს ანუ ავტონომიურ კულტურას¹. ეს იმიტომ ხდება, რომ ადამიანები იბადებიან ან/და იზრდებიან სიღარიბის პირობებში და ითვისებენ სიღარიბისათვის დამახასიათებელ ქცევის ნორმებს. ამასთან, ო.ლუისი აღნიშნავს, რომ ფიზიკური სიღარიბის დაძლევა არ არის საკმარისი სიღარიბის კულტურის დაძლევისათვის და, ამგვარად, სიღარიბის კულტურა გარდაიცევა დამოუკიდებელ ძალად, რომელიც არ არის დამოკიდებული მისი წარმომობის მიზეზებთან და ავლენს თვითშენარჩუნების უნარს.

ო.ლუისის შეხედულებით „სიღარიბე ავითარებს მექანიზმებს, რომლებიც მიისწრაფიან მის კვლავნარმოებისკენ, განსაკუთრებით იმის გამო, თუ როგორ უყურებენ სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები მსოფლიოს და ცხოვრებას, რა ფასეულობებს ირჩევენ, რისკენ მიისწრაფიან, როგორ ზრდიან შვილებს [7, გვ. 12], ვინაოდან ინგლისელი კიტ ს. ჟოზეფის (eith Sinjohn Joseph, 1918-1994) შეხედულებით, მშობლებს, რომლებმაც თვითონ ვერ მიაღწიეს წარმატებას ცხოვრებაში, არ შეუძლიათ განუვითარონ შვილებს

1 მომდევნოში ო.ლუისი ტერმინს „კულტურა“ შეცვლის ტერმინით „სუბკულტურა“.

წარმატებაზე მიმართული ქცევა.

ო.ლუისმა დაადგინა სიღარიბის კულტურის სამოცდაათი მახასიათებელი. მისი შეხედულებით, ადამიანები, რომლებიც დაქვემდებარებულნი არიან სიღარიბის კულტურას, განიცდიან მარგინალობის (ანუ ცხოვრების პერიფერიაზე ყოფნის), დაუცველობის, დამოკიდებულების, გარიყულობის და ა.შ. გრძნობას. ეს ადამიანები შეიგრძნობენ მხოლოდ საკუთარ გაჭირვებას და მათთვის უცხოა სხვისი პრობლემების გაზიარება, ისინი არ უკავშირებენ თავის გასაჭიროს სხვა ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთა მდგომარეობას.

ამგვარად, „სიღარიბის კულტურის“ თეორიის თანახმად, სიღარიბის პირობებში არსე-

ბობა დროთა განმავლობაში კვალს ტოვებს ღარიბ ადამიანთა ცხოვრების წესზე და აყალიბებს განსაკუთრებული პრიორიტეტების, ფასეულობების, ჩვევებისა და ქცევის სისტემის მქონე გარემოს, რომელშიც მუდმივად ცხოვრობენ ღარიბები.

„სიღარიბის კულტურის“ თეორიის კრიტიკოსი ანთროპოლოგი ქეროლ სტეკი (Carol Stack, დაბ. 1940წ.) თავის 1974 წელს გამოცემულ კრიტიკულ ნაშრომში „All Our Kin“ [11] აცხადებს, რომ სიღარიბის კულტურის თეორია არ უნდა სწამდეს პირველ რიგში თავად ღარიბ ადამიანებს, ვინაიდან ეს თეორია „მუშაობს“ მდიდრების ინტერესებში და გამოხატავს პოლიტიკური ჯგუფებისა და მეცნიერების იდეებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Booth David, Melissa Leach and Alison Tierney, Experiencing poverty in Africa: perspectives from anthropology, Background Paper No. 1(b) for the World Bank Poverty Status Report 1999, <https://wwwodi.org/sites/odi.org.uk/files/odi-assets/publications-opinion-files/6168.pdf>.
2. Douglas M., 1991, Witchcraft and Ileprosy: two strategies of exclusion, Journal of the Royal Anthropological Institute, Man, 26(4), გვ 723-735.
3. Dumont L., 1970,Homo Hierarchicus: An Essay on the Caste System, Chicago: University of Chicago Press.
4. Green Maia, 2006, Representing Poverty and Attacking Representations: Perspectives on Poverty from Social Anthropology, Q-Squared Working Paper No. 27, Centre For International Studies • University Of Toronto, June 2006.
5. Gudeman S., 1978, The Denise of a Rural Economy: FromSustenance to Capitalism in Latin American Village, Boston: Routledge.
6. Lewis Oscar, 1959, Five Families: Mexican Case Studies in the Culture of Poverty. 1969, New York: Basic Books, Inc.
7. Lewis Oscar, 1969, Culture of Poverty. In Moynihan, Daniel P. On Understanding Poverty: Perspectives from the Social Sciences. New York: Basic Books.1969.
8. Nash J., 1979, We eat themines and mines eats us” Dependancy and Explanation in Bolivia, New York: Columbia University Press.
9. Pike K.L., Language in relation to a unified theory of the structure of human behavior. Preliminary edition. Glendale, CA: Summer Institute of Linguistics, 1954.
10. Sahlins M., 1972, Stone Age Economics, New York, Aldine.
11. Stack Carol, 1974, All Our Kin. Harper & Row.
12. Беглова Е. И., 2012, Мировой опыт по преодолению бедности, полезный для России: опыт преодоления бедности в странах с различным уровнем экономического развития, Российское предпринимательство, № 11 (209)გვ 4-9.
13. გიორგი კეპულაძე, სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორია, საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული ურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“. 5, 2018, გვ. 181-184. <http://www.eugb.ge/uploads/content/N5/5-28.pdf>, <http://www.eugb.ge/uploads/journal/gb-N5.pdf>
14. არნანია-კეპულაძე თ., კეპულაძე გიორგი, სიღარიბის პრობლემა ნეოკლასიკურ ეკონომიკურ თეორიაში, უურნალი „ეკონომისტი“, 1987-66890, 2, გვ. 22-32, 2017. http://pgie.tsu.ge/contentimage/sxvadasxva/jurnali_ekonomisti/ekonomisti_2-2017.pdf
15. კეპულაძე გიორგი, სიღარიბის სოციოლოგიური თეორია, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-პრაქტიკული უურნალი, „მოამბე“, ISSN 2233-3606,

31, გვ. 17-21.
http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/292661/1/Saqartvelos_Biznesis_Mecnierebata_Akademiis_Moambe_2018_N31.pdf

რეზიუმე

აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ანთროპოლოგთა შეხედულებები სიღარიბის პრობლემასთან დაკავშირებით. შესწავლილია სიღარიბის ანთროპოლოგიური თეორიის ზოგადი დახასიათება, სადაც განხილულია გრინ მაიას, ჯ. ნეშის, და სხვათა ნაშრომები, ემიკური და ეთიკური მიდგომებში განხილულია კ.ლ. პიკეს ნაშრომი და სიღარიბის (სუბ)კულტურის ანთროპოლოგიური თეორია გაანალიზებულიალუის ოსკარის, კიტ ს. ჟოზეფის და ქ. სტეკის ნაშრომების საფუძველზე.

ნოტარიუსის როლი და მნიშვნელობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში

მედეა კოპალიანი სამართლის მაგისტრი

ნოტარიატის შექმნის ისტორია სათ-ავეს ძველი რომიდან იღებს. ის წარმოიშვა მაშინ, როცა კერძოაქტებისათვის საჯარო-ძალმოსილების მინიჭება აუცილებელი გახდა, ხოლო ნოტარიული დამოწმების შემდეგ, საჯარო აქტი მეტ ნდობას იმსახურებდა. უძველესი დროიდან, საკუთრების უფლების დადგენასა და კაცობრიობის ისტორიული მოვლენების დადასტურებაში, ნოტარიუსის როლი მნიშვნელოვანი იყო. არსებობს ცნობები, რომ ქრისტეფორე კოლუმბს მოგზაურობის დროს ახლდა სამეფო ნოტარიუსი ესკოვედო, რომელმაც შეადგინა კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის აქტი და ამგვარად დაადასტურა ეს ისტორიული ფაქტი.

ნოტარიუსის პროფესიის პირველად ჩანასახებს ვხვდებით რომში, ჯერ კიდევ რესპუბლიკის პერიოდში, „scribae“-სა და „exceptores et notarii“-ს სახით, რომლებიც დაკავებული იყვნენ იურიდიული მასალისათვის დოკუმენტური ფორმის მიცემით¹. თავად სიტყვა „ნოტარიუსის“ წარმოშობა დაკავშირებულია ტექსტის კარნახით ჩანერისას სპეციალური ნიშნების (notae) გამოყენებასთან².

თანამედროვე ნოტარიატი და ნოტარიუსი დაფუძნებულია საფრანგეთში 200 წლის წინ ცნობილი „25 ვანტოზის“ (16 მარტი 1803 წ., რომელიც შეესაბამებოდა 25 ვანტოზს, საფრანგეთის რევოლუციის მე-11-ე წელს) ორგანული კანონის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ლათინური ნოტარიატის მოდელი³.

დროთა განმავლობაში ამ პროფესიამ განვლო განვითარების ეტაპები და ამჟამად, მსოფლიოში ნოტარიუსის პროფესიის ორი მოდელი არსებობს: ლათინური (სამოქალაქო)

1 ბესერიონ სენიაიდე, მზია მაჩიტიძე, „ნარკვევები ნოტარიუსთა პალატის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“ #1 (თბილისი, 2001 წ. სტუ-ს სტამბა) გვ. 12.

2 იქვე გვ. 13

3 მარიკა გოგოლაძე, ნოტარიატის განვითარების ისტორიიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“. სამეცნიერო ჟურნალი ქ. თბილისი, მარტი, №1, 2014 წ.

4 Civil notary

5 Public notary

6 იბ. . Statutes of the UINL, Approved by the General Meeting on 2 October 2007

ხელმისაწვდომია :[http://www.uinl.net/DOCUMENTOS/ARCHIVOSWEB/EN520-%20Statuts%20\(approuv%A9s%20ANM%20Madrid%2020210707\).pdf\(08.07.720126\)](http://www.uinl.net/DOCUMENTOS/ARCHIVOSWEB/EN520-%20Statuts%20(approuv%A9s%20ANM%20Madrid%2020210707).pdf(08.07.720126))

7 საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ, მუხ. 2

ნოტარიუსი⁴ და საჯარო ნოტარიუსი⁵. საქართველო 2007 წლიდან ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის წევრია⁶. ნოტარიატთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება: საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, საქართველოს კანონით „ნოტარიატის შესახებ“, „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციით, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“⁷ მთავრობის დადგენილებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებით და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები⁷.

ქვეყნები, რომელთა ნოტარიატიც მიეკუთვნება ლათინურ ნოტარიატს, 1948 წლიდან გაერთიანებულნი არიან ლათინური ნოტარიატის საერთაშორისო კავშირში. აღნიშნულ კავშირს 2005 წლის ნოემბერში სახელწოდება შეეცვალა და დაერქვა ნოტარიატის საერთაშორისო კავშირი, რომლის წევრიც არის ასევე საქართველოს ნოტარიუსთა პალატა.

ნოტარიატის საერთაშორისო კავშირი შეიქმნა 1948 წელს არგენტინაში, ქალაქ ბუნების-აირესში. მისი მიზნებია: საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სამართლის იმ დარგების შესწავლა, რომელიც მიმართულია ნოტარიატის სფეროს სრულყოფისაკენ, ლათინური ნოტარიატის პრიციპების გავრცელება და კანონმდებლობის შესწავლა, ასევე, ურთიერთობის დამყარება იმ ქვეყნებთან, სადაც არ არის ნოტარიატის ორგანიზაცია. მისი საქმიანობის ძირითადი ნოტარიატის ისტორიიდან“, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“ #1 (თბილისი, 2001 წ. სტუ-ს სტამბა) გვ. 12.

1 ბესერიონ სენიაიდე, მზია მაჩიტიძე, „ნარკვევები ნოტარიუსთა პალატის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „საქართველოს ნოტარიატი“ #1 (თბილისი, 2001 წ. სტუ-ს სტამბა) გვ. 12.

2 იქვე გვ. 13

3 მარიკა გოგოლაძე, ნოტარიატის განვითარების ისტორიიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“. სამეც-

ნიერო ჟურნალი ქ. თბილისი, მარტი, №1, 2014 წ.

მიმართულებებია: ნოტარიატისათვის საინტერესო თემების შესწავლა, კანონითა სრულყოფა საერთაშორისო დონეზედა ეროვნული კანონმდებლობისათვის კონკრეტული ნინადადებების შეთავაზება, გამოცდილების გაზიარება, სანოტარო აქტების მიღების პროცედურების გამარტივება, მათი აღჭურვა მაღალი მტკიცებულებითი ძალით და ამით გარიგებათა იურიდიული უსაფრთხოების გარანტირება¹.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველო ამ ორგანიზაციის წევრია 2007 წლის 2 ოქტომბრიდან², რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ნოტარიუსი ახორციელებს ისეთ ფუნქციებს, რაც დამახასიათებელია ლათინური ტიპის ნოტარიუსისათვის, განსხვავებით საჯარო ნოტარიუსისაგან.

1989 წლიდან ლათინური ნოტარიატის სისტემა ფართოდ ინერგება ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. ლათინური ნოტარიატი აერთიანებს რომაულ-გერმანული სამართლის ქვეყნებს: ალბანეთს, ბელგიას, გერმანიას, ესტონეთს, საფრანგეთს, საბერძნეთს, იტალიას, ხორვატიას, ლიტვას, ლატვიას, ლუქსემბურგს, მალტას, მონაკოს, პოლანდიას, პოლონეთს, პორტუგალიას, რუმინეთს, რუსეთს, სანმარინოს, შვეიცარიას, სლოვაკეთს, სლოვენიას, ჩეხეთს, უნგრეთს, თურქეთს და სხვ.

ლათინურ ნოტარიატს არ მიეკუთვნებიან ანგლოამერიკული სამართლის ქვეყნები, მათ შორის: დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და ამერიკის შეერთებული შტატები. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს, მაგალითად, ლონდონში კონტინენტური სამართლებრივი სისტემისგავლენით შექმნილი ე.ნ. ლათინური ტიპის ნოტარიატი და ლუიზიანას შტატი აშშ-ში, სადაც ნოტარიატი ფუნქციონირებს ლათინური სისტემის მიხედვით³.

ლათინური ნოტარიატის ძირითადი ნიშანია ნოტარიუსი, როგორც დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს სახელმ-

1 ბესიკ სენიაიძე, ნოტარიატი, ლექციათა კურსი (თბილისი, 2006 წ. მეორე გამოცემა) გვ. 320–322.

2 ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელიც შედგა 2007 წლის 2 ოქტომბერს, ქალაქ მადრიდში, ერთხმად აღიარებს საქართველოს ნოტარიატის უმაღლეს წარმომადგენლობას, იღებს მას ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის წევრად და მას ანიჭებს ყველა უფლებასა და პრივილეგიას, რაც ამ კავშირის წევრობისთვისაა დადგენილი⁴. – ამონარიდი წერილიდან გაგზავნილი საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარისადმი ნსკ-ის პრეზიდენტის მიერ, 10.10.2007 წ. (ხელმისაწვდომია სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის არქივში).

3 I.Dannenberg-Mletzko et al., Notariatskunde (Wiesbaden 2005).13

4 ევროპის ნოტარიუსთა 25-ე კონფერენცია.

5 იქვე

6 იქვე

წიფოს მიერ მასზე დელეგირებულ უფლებამოსილებებს, და მისი აქტები გათანაბრებულია საჯარო დაწესებულებებისა და სასამართლოს აქტებთან⁵. ორგანიზაცია „ნოტარიუსთა საერთაშორისო გაერთიანებამ“ განსაზღვრა და ჩამოაყალიბა ლათინური ნოტარიატის ძირითადი ნიშნები:

– ნოტარიუსი არის საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი პირი, რომელსაც სახელმწიფოსაგან უფლებამოსილების დელეგირების საფუძველზე შეუძლია დაამონიშოს, დაადასტუროს, შექმნას ოფიციალური ძალის მქონე დოკუმენტები; ასევე, კონსულტაცია გაუწიოს მოქალაქეებს სამართლებრივ საკითხებზე. იგი თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს თავისუფალი პროფესიის ფარგლებში;

– ნოტარიუსის საქმიანობა არის საჯარო, ნოტარიუსი არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი;

– სანოტარო დოკუმენტების მიმართ არსებობს კანონიერებისა და ნამდვილობის პრეზუმფცია, რომელიც მხოლოდ სასამართლოს მიერ შეიძლება იქნეს უარყოფილი;

– სანოტარო დოკუმენტებს აქვს მტკიცებულების ძალა და ისინი, სასამართლოს გადაწყვეტილებების მსგავსად, აღსრულებადია⁶;

– ნოტარიუსთა საქმიანობის მოქმედების სფერო/იურისდიქცია და ნოტარიუსთა დასაშვები რაოდენობა განსაზღვრულია ეროვნული კანონმდებლობით;

– ნოტარიუსის საქმიანობა ემსახურება პრევენციულ სამართლებრივ დაცვას, მხარეებს შორის შემდგომი დავების თავიდან აცილებას⁶.

ლათინური ნოტარიატის სახელმწიფოები, როგორც წესი, იუსტიციის სამინისტრო ასრულებს ზედამხედველობის ფუნქციას.

ნოტარიუსთა არჩევის წესი და კრიტერიუმები, ასევე, ნოტარიუსთა გაერთიანების პრეზიდენტის არჩევისა თუ დანიშვნის წესი

სახელმწიფოთა უმრავლესობაში მსგავსია, გარევეული თავისებურებების გათვალისწინებით. სახელმწიფოთა უმეტესობაში ნოტარიუსთა საქმიანობის განხორციელების ტერიტორიულ იურისდიქციას განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი და, როგორც წესი, იურისდიქცია ემთხვევა რეგიონში მოქმედი სასამართლოს იურისდიქციის. მაგალითად, პოლონეთში, საფრანგეთსა და რუმინეთში სანოტარო ბიუროს ტერიტორიული იურისდიქცია ემთხვევა ამავე ტერიტორიაზე მოქმედი სააპელაციო სასამართლოს იურისდიქციას¹, ხოლო ავსტრიაში, ჩეხეთში, ესპანეთსა და იტალიაში სანოტარო ბიუროს იურისდიქცია დამოკიდებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს იურისდიქციაზე².

ლათინურ ნოტარიუსებს, რომელთაც მეორენაირად „თავისუფალი ნოტარიატის“ წარმომადგენლებსაც³ უწოდებენ, აქვთ ჰიბრიდული სტატუსი, არიან როგორც საჯარო მოხელეები (მომსახურების განვისას ექსკლუზიური უფლებებით სარგებლობენ), ასევე, თავისუფალი პროფესიის პირები (სამართლებრივი მომსახურების განვისას სხვა სამართლებრივ პროფესიებთან კონკურენციაში იმყოფებიან). „საჯარო ფუნქცია განსაზღვრავს ნოტარიუსის საქმიანობის შინაარსს, ხოლო თავისუფალი პროფესიას საქმიანობის ფორმას“⁴.

მაგალითად, საფრანგეთში ნოტარიუსები, როგორც საჯარო მოხელეები, სარგებლობენ სახელმწიფოს მხრიდან დაცვითა და კანონით დადგენილი მონოპოლიით, ხოლო, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენლები, ისინი არიან თავისუფალი საქმიანობაში, სახელმწიფოს მხრიდან აქვთ ხელშეწყობა, რათა ჩაერთონ ეკონომიკურ საქმიანობაში

ლია ბაზარზე⁵. ისინი საკუთარი ფინანსებით, პრაქტიკითა და მუშახელით არიან ჩართულნი საქმიანობაში⁶, მაგრამ მიუხედავად ასეთი დამოუკიდებლობისა, იუსტიციის მინისტრი მაინც აკონტროლებს სანოტარო ბიუროების რაოდენობასა და მდებარეობას⁷.

ლათინურ ნოტარიატში რამდენიმე ძირითადი პრინციპი მოქმედებს: იუსტიციის მინისტრის მიერ თანამდებობაზე დანიშვნა, ნოტარიუსთა რაოდენობის სახელმწიფოს მიერ დადგენა, სანოტარო მოქმედებების შესრულებისათვის მთავრობის მიერ საზღაურის განაკვეთების დადგენა, თანამდებობაზე დანიშვნის წინაპირობა – ამ ქვეყნის მოქალაქეობა, თავისუფალი რეკლამირების აკრძალვა და სხვა⁸.

ვინაიდან ევროპის ყველა სახელმწიფოს გააჩნია საკუთარი კანონმდებლობა, შესაბამისად ნოტარიუსის როლიც განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. მაგალითად დიდ ბრიტანეთში სანამ ნოტარიუსს მიმართავენ მყიდველი და გამყიდველი, მანამდე მათი მხრიდან პროცესში ჩართულები არიან და მონაწილეობენ იურისტები, რომლებიც ათანხმებენ ერთმანეთში ნივთის ღირებულებას, სრულიად იცავენ რა მხარეთა ინტერესებს. გერმანიაში კი ასეთი წესი არ არსებობს, ამიტომ გამყიდველს და მყიდველს შეუძლიათ პირდაპირ წავიდნენ ნოტარიუსთან და მოახდინონ გარიგება, თუმცა ისეც უნდა აღინიშნოს, რომ გარიგების დასრულებამდე აუცილებლად უნდა მოხდეს ყველა დეტალის განხილვა უძრავი ქონების აგენტთან. აქ თვალნათლივ ჩანს სხვაობა ინგლისურ და გერმანულ მოდელებს შორის, შესაბამისად საჯარო ნოტარიუსთა და ლათინურ ნოტარიატს შორის. აქვე მოკლედ აღნიშ-

1. ამ დროისთვის რუმინეთში არსებობს 15 სააპელაციო სასამართლო. სასამართლოები მდებარეობს ყველა ოლქში და ბუქარესტში, მაშინ, როცა პირველი ინსტანციის სასამართლოები (ამ დროისთვის სულ 188) მდებარეობს ოლქებში და ბუქარესტის რაიონებში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ რუმინეთის სასამართლო სისტემა.

2. Bogdan CIUCA. Few Perspectives on the Comparative Law Concerning Notarial Activity. 2009 Acta U. Danubius Jur., 162

3. ვიტორიო დი კანიო, თავისუფალი ნოტარიატი: ორგანიზაციის ზოგადი პრინციპები და ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან, მთარგმ. ლელა ინწკირველი, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სამეცნიერო-პრაქტიკიული უურნალი – საქართველოს ნოტარიატი №1 (თბილისი, 2001 წ. სტუ-ს სტატბა) გვ. 23.

4. Roger Van den Bergh, Yves Montangie, Competition in professional services markets: are latin notaries different?“ ხელმისაწვდომია: http://www.cleis.unisi.it/site/files/040_Van_den_Bergh_Yves_Montangie.pdf(08.07.2012w.)

5. Gisela Shaw, Notaires in France – an unassailable profession. Or are they?, International journal of the legal professional, Vol. 13 No. 3 November 20069 published at Routledge, Taylor & Francis Group p. 244.

6. Gisela Shaw, Notaires in France – an unassailable profession. Or are they?, p.246.

7. Gisela Shaw, Notaires in France – an unassailable profession. Or are they?, p.252.

8. Gisela Shaw, “the German notariat and the European challenge”, p.39.

ნავთ, რომსაჯარო ნოტარიუსთა, რომლებიც გვხვდებიან მაგ: აშშ-ში, ინგლისში, სტატუსი სრულიად განსხვავებულია და განსხვავებულ პრინციპებზეა აგებული. ინგლისში ისინი ინიშნებიან არა მინისტრის, არამედ კენტერბერის არქიეპისკოპოსის მიერ¹. მათი რაოდენობა შეზღუდული არ არის, საქმიანობენ შეჯიბრებითობის პრინციპით, დაშვებულია რეკლამირება, სავალდებულო მოთხოვნა არაა გაერთიანებული სამეფოს მოქალაქეობა და არც მთავრობა ერევა მათ საქმიანობაში². საჯარო ნოტარიუსები ახდენენ მხოლოდ მხარეთა იდენტიფიცირებას, მათი ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებას და დოკუმენტზე ბეჭდის დასმას. მათ ეკრძალებათ კონსულტაციის გაცემა და დოკუმენტის შინაარსის ჩამოყალიბება, თუ, ამავე დროს, არ აქვთ ადვოკატის სტატუსიც. იმ ქვეყნებში, სადაც საჯარო ნოტარიუსის ინსტიტუტი არსებობს, სათანადო და სრულყოფილი ტრანზაქციის განხორციელებისათვის, საჭიროა, ადვოკატების მომსახურების გამოყენება და ურთიერთობებში სადაზღვევო სააგენტოების ჩართვა.

საქართველოში დიდი ხნის მანძილზე ნოტარიუსს უყურებდნენ როგორც უილბლო იურისტს, რომელმაც ვერ შესძლო ადგილის დამკვიდრება სასამართლოსა და პროკურატურაში თუ ადვოკატურაში.

1996 წლის 1 აგვისტოს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „ნოტარიატის შესახებ“. კანონმა სრულიად შეცვალა დამოკიდებულება ნოტარიატის მიმართ. ის გახდა პრესტიული, პრივილეგირებული, საპატიო და საპასუხისმგებლო საქმიანობა. ახალი კანონის მიღებამ დასაბამი მისცა სანოტარო სამართლის განვითარებასა და მუდმივ რეფორმირებას, რომელიც დღემდე გრძელდება. ნოტარიუსი ხელს უწყობს ადამიანებს გახდნენ სრულუფლებიანი მესაკუთრები; იღებენ აქტიურ მონაწილეობას სამართლებრივი წესრიგის გამყარებაში. საკუთრების ახალი სამართალურთიერთობის ჩამოყალიბებისას, ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების რადიკალურ ცვლილებებთან დაკავშირებით, სულ უფრო ხშირად დგება ნოტარიუსისთვის – როგორც იურიდიული პირებისა და მოქალაქეების უდავო უფლებებისა და კანონიერი ინტერე-

სების გარანტისთვის – მიმართვის საჭიროება. 1996 წლამდე ჩვენს ქვეყანაში არსებობდა მხოლოდ სახელმწიფო ნოტარიატი³.

დღეს კი ნოტარიუსის განმარტება მდგომარეობს შემდეგში:

ნოტარიუსი –არ არის საჯარო მოხელე, ის არის იურისტი, რომელიც მასზე სპეციალური საჯარო უფლებამოსილებით დაკისრებულ ფუნქციებს აღასრულებს თავისუფალი პროფესიის ფარგლებში. იგი უფლებამოსილია: დაამოწმოს კონტრაგენტების მიერ შედგენილი აქტებისა და კონტრაქტების ავთენტურობა (ნამდვილობა); შეადგინოს დოკუმენტები და მისცეს მათ საჭირო და მართებული ფორმა; იყოს იმ პირების მრჩეველი, რომელიც მიმართავენ მას სამართლებრივი დახმარებისთვის და განახორციელოს უდავო სუბიექტური უფლებების დაცვა სუბიექტის ნებაყოფლობის საფუძველზე.

რაც შეეხება იმას თუ რა შემთხვევაში და რა მოთხოვნით შეუძლია მიმართოს მოქალაქემ ნოტარიუსს თუ მოქალაქეს ესაჭიროება:

1. ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურება;
2. ასლის ორიგინალთან შედარება;
3. ასლის ორიგინალთან შესაბამისობის დადასტურება;
4. სამართლებრივი კონსულტაცია;
5. სამემკვიდრეო საქმის ნარმოება;
6. სამკვიდრო მოწმობის გაცემა;
7. თარგმნა დამოწმებით;
8. პირის ცოცხლად ყოფნის დამოწმება;
9. სააღსრულებლო ფურცლის გაცემა;
10. და ყველა სხვა დოკუმენტის დამოწმებული ასლების გაცემა.

ამ შემთხვევებში უნდა მიმართოს ნოტარიუსს, ვინაიდან სანოტარო დოკუმენტების დამოწმებულ ასლებს აქვთ ორიგინალის იურიდიული ძალა.

ზემოთხსენებული მომსახურებების მიღება უფრო გაადვილებულია, ვინაიდან უკვე ამოქმედებულია სანოტარო სერვისი ინლაინ რეჟიმში 2010 წლიდან და შესაბამისად ამავე წელს საქართველოში 7391 სანოტარო აქტი დამოწმდა ონლაინ რეჟიმში. გარდა ამისა ნოტარიუსთა პალატის იურიდიული სამსახური კონსულტაციას გასცემს ასევე ონლაინში. მაგრამ თუ მოქალაქეს ეს არ აკმაყოფილებს

1. Archbishop of Canterbury

2. Gisela Shaw, “the German notariat and the European challenge”, p.40.

3. მარიკა გოგოლაძე, ნოტარიატის განვითარების ისტორიიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“. სამეცნიერო ჟურნალი ქ.თბილისი, მარტი, №1, 2014 წ.

და სურს ნოტარიუსთან ვიზიტი მას ასევე შეუძლია, რომ ონლაინში წინასწარ დაჯავშნოს მისთვის სასურველ ნოტარიუსთან ვიზიტი, მისთვის სასურველ დროს.

რაც შეეხება სხვა სერვისებს, ერთ-ერთი ყველაზე ნოვატორული მომსახურება, რომელიც 2013 წლის 01 ოქტომბრიდან ამოქმედდა არის – სანოტარო მედიაცია, რაც გულისხმობს დავის მოგვარების ალტერნატიულ, გამარტივებულ და იაფ ფორმას. ვინაიდან საფასური არის საკმაოდ ხელმისაწვდომი და ამასთანავე მოქალაქემ წინასწარ იცის განეული სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის საზღაურის ოდენობა, რომელიც განისაზღვრება საქართველოს კანონით და რომელიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილზე სანოტარო ბიუროებში.

ვფიქრობ საზოგადოებისათვის საინტერესო იქნება ის ფაქტი, რომ სანოტარო მომსახურების განვის პროცესი აისახება ვიდეოფირზე და საჭიროების შემთხვევაში მისით სარგებლობა არის შესაძლებელი¹.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2007 წლიდან საქართველოს ნოტარიუსთა პალატა ნოტარიუსთა საერთაშორისო კავშირის წევრია და აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ღონისძიებებში, იზიარებს კავშირის რეკომენდაციებს. ქართული სანოტარო კანონმდებლობა ლათინური ნოტარიატის ძირითად პრინციპებს ეფუძნება.

2009 წლიდან ყველა სანოტარო აქტი ელექტრონულად რეგისტრირდება.

2010 წლიდან დაინერგა ონლაინ სანოტარო სერვისები და საქართველოს მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს, დოკუმენტი მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან დაამოწმოს.

2013 წლიდან სანოტარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით საქართველოს იუსტიციის მინისტრის ინიციატივით დაიწყო კომპანია „ნოტარიუსი ყველა რაიონს“.

2015 წლის დეკემბრიდან საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე სავალდებულო გახდა ნოტარიუსის სამი წლის ვადით დანიშვნა ისეთ მაღალმთიან დასახლებებსა და მუნიციპალიტეტებში, სადაც სანოტარო მომსახურება ხელმისაწვდომი არ არის.

2016 წელს იუსტიციის მინისტრმა ექვს ასეთ მუნიციპალიტეტებში ნოტარიუსები უკვე დანიშნა. სოფლების მოსახლეობისათვის სანოტარო სერვისებით სარგებლობა შესა-

ძლებელია საზოგადოებრივ ცენტრებშიც².

საქართველოში ნოტარიატის უმთავრესი პრინციპებია: კანონიერება, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ოპიექტურობა, პროფესიული საიდუმლოება, კოლეგიალურობა, ნოტარისუსის სამოქალაქო პასუხისმგებლობა და სხვ.

სანოტარო ბიურო – ესაა თანამედროვე, კლიენტზე მორგებული ძლიერი და მაღალკვალიფიციური იურიდიული მომსახურებისა და კონსულტაციების ადგილი (კომპეტენციის ცენტრი), სადაც საზოგადოებას გარანტირებული აქვს აბსოლუტური სანდონბა, დაცულობა და დაზღვეული მომავალი (ამას ყველაფერს იღებს უტყუარი, კანონის ძალის მქონე დოკუმენტაციით, საკუთარი ნების გაუყალებელობით, პროცესის სრული ინფორმირებით შესაძლორისკებისა თუ პოზიტიური შედეგების შესახებ და, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია – ამ ყველაფერს ადამიანი კომფორტში, მასზე ორიენტირებულ გარემოში იღებს).

ნოტარიატი წარმოადგენს საჯარო ფუნქციისა და კერძო ინიციატივის იღეალურ სინთეზს და იგი ხელმისაწვდომია ყველა სოციალური ფენისათვის. საქართველოში ნოტარიატის შესახებ არასაკმარისი თეორიული ცოდნის გამო მისი პოტენციალი არასრულად არის გამოყენებული. საქართველოს ნოტარიატში უკანასკნელ წლებში დანერგილმა საკანონმდებლო და ტექნოლოგიურმა სიახლეებმა დაგვანახა, რომ ნოტარიატი არის სისტემა, რომელსაც დინამიური განვითარებისა და სრულყოფის პირობებში გააჩნია ახალი, ჯერ კიდევ სრულად აუთვისებელი შესაძლებლობები. ნოტარიატი მუდმივ განვითარებასა და დახვეწაზე უნდა იყოს ორიენტირებული.

ტრადიციული მიდგომა, რომ ლათინური ტიპის ნოტარიატი იძლევა საიმედო პროდუქტს, მაგრამ ამას აკეთებს ნელა და აფერებს სამოქალაქო ბრუნვას (ეს მოსაზრება განსაკუთრებით გაბატონებულია ეკონომისტთა წრეებში). თანამედროვე ელექტრონული სერვისებისა და ახლებური სტრატეგიული მიდგომის პირობებში რადიკალურად უნდა შეიცვალოს. საჯარო რეესტრების საინფორმაციო ბაზებთან პირდაპირმა ელექტრონულმა წვდომამ, ონლაინ სერვისების დანერგვამ შესაძლებელი გახადა სანოტარო პროცედურების სისწრაფის გაზ-

1. <http://legalclinic.iliauni.edu.ge/notarius-danishnuleba-da-sanotaro-phunqtsia-thanamedrove-saqartveloshi/>
2. <http://www.notary.ge/geo-2920-saqartvelos-iusticiis-ministrma-notariusta-saertashoriso-konferencia-gaxsna>

რდა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს განხორციელდა არა სამართლებრივი უსაფრთხოების შემცირების, არამედ პირიქით – უსაფრთხოების ზრდის ხარჯზე. დღეს, ნოტარიუსთან გაცილებით სწრაფად და იმავდროულად, უფრო უსაფრთხოდ არის შესაძლებელი გარიგების დადება და რეგისტრაცია, ვიდრე ეს ხდება ნოტარიუსის გვერდის

ავლით¹.

საქართველოს ნოტარიატის განვითარების სტრატეგიაში გამოთქმული მოსაზრებებით ზუსტად, ნათლად და თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი განვითარების სამომავლო პერსპექტივები, რასაც სრულიად ვიზიარებთ და ვეთანხმებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი ნოტარიატის შესახებ
2. ე. დეკერსი, „სანოტარო საქმე, დეონტოლოგია და სტრუქტურები“
3. მარიკა გოგოლაძე, ნოტარიატის განვითარების ისტორიიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“. სამეცნიერო უურნალი ქ.თბილისი, მარტი, №1, 2014 წ.
4. ბესერიონ სეხნიაიძე, მზია მაჩიტიძე, „ნარკვევები ნოტარიატის ისტორიიდან“, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სამეცნიერო-პრაქტიკული უურნალი „საქართველოს ნოტარიატი“ №1 (თბილისი, 2001 წ. სტუ-ს სტამბა) გვ. 12.
5. სეხნიაიძე, მაჩიტიძე, „ნარკვევები ნოტარიატის ისტორიიდან“. გვ. 13.
6. მიშელ მერლოტი, „ზოგადი მოსაზრებები ლათინური ნოტარიატის როლის შესახებ და თავისუფალი ნოტარიატის ძირითადი პრინციპები“
7. Civil notary
8. Public notary. Statutes of the UINL, Approved by the General Meeting on 2 October 2007 ხელმისაწვდომია: :[http://www.uinl.net/DOCUMENTOS/ARCHIVOSWEB/EN520-%20Statuts%20\(approuv%A9s%20ANM%20Madrid%2020210707\).pdf](http://www.uinl.net/DOCUMENTOS/ARCHIVOSWEB/EN520-%20Statuts%20(approuv%A9s%20ANM%20Madrid%2020210707).pdf) (08.07.72012 წ.)
9. ბესივ სეხნიაიძე, ნოტარიატი, ლექციათა კურსი (თბილისი, 2006 წ. მეორე გამოცემა) გვ. 320–322.
10. ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელიც შედგა 2007 წლის 2 ოქტომბერს, ქალაქ მადრიდში, ერთხმად აღიარებს საქართველოს ნოტარიუსთა პალატას, როგორც საქართველოს ნოტარიატის უმაღლეს წარმომადგენლობას, იღებს მას ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის წევრად და მას ანიჭებს ყველა უფლებასა და პრივილეგიას, რაც ამ კავშირის წევრობისთვისაა დადგენილი“. – ამონარიდი წერილიდან გაგზავნილი საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარისადმი ნსკ-ის პრეზიდენტის მიერ, 10.10.2007 წ. (ხელმისაწვდომია სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის არქივში).
11. I.Dannenberg-Mletzko et al., Notariatskunde (Wiesbaden 2005).13
12. Bogdan CIUCA. Few Perspectives on the Comparative Law Concerning Notarial Activity. 2009 Acta U. Danubius Jur., 162
13. ევროპის ნოტარიუსთა 25-ე კონფერენცია.
14. ვიტორიო დი კანიო, თავისუფალი ნოტარიატი: ორგანიზაციის ზოგადი პრინციპები და ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებთან, მთარგმ. ლელა ინწკირველი, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სამეცნიერო-პრაქტიკული უურნალი – საქართველოს ნოტარიატი №1 (თბილისი, 2001 წ. სტუ-ს სტამბა) გვ. 23.
15. Roger Van den Bergh, Yves Montangie, Competition in professional services markets: are latin notaries different?” http://www.cleis.unisi.it/site/files/040_Van_den_Bergh_Yves_Montangie.pdf(08.07.2012წ.)
16. Gisela Shaw, Notaires in France – an unassailable profession. Or are they?, International journal of the legal professional, Vol. 13 No. 3 November 20069 published at Routledge, Taylor & Francis Group p. 244.
17. Gisela Shaw, Notaires in France – an unassailable profession. Or are they?, p.246.
18. Gisela Shaw, Notaires in France – an unassailable profession. Or are they?, p.252.
19. Gisela Shaw, “the German notariat and the European challenge”, p.39.
20. Archbishop of Canterbury

1. საქართველოს ნოტარიატის განვითარების სტრატეგია. გვ. 2

21. Gisela Shaw, "the German notariat and the European challenge", p.40.
23. <http://legalclinic.iliauni.edu.ge/notariusis-danishnuleba-da-sanotaro-phunqtsia-thanamedrove-saqartveloshi/>
24. <http://www.notary.ge/geo-2920-saqartvelos-iusticiis-ministrma-notariusta-saertashoriso-konferencia-gaxsna>
25. მარიკა გოგოლაძე, ნოტარიატის განვითარების ისტორიიდან, „ახალგაზრდა ადვოკატები“. სამეცნიერო ჟურნალი ქ.თბილისი, მარტი, №1, 2014 წ.
26. საქართველოს ნოტარიატის განვითარების სტრატეგია 2014.
27. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ნოტარიატის სისტემები: საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა. 2013
28. Статья «Некоторые тенденции эволюции нотариата и нотариальной формы в мире» / Медведев И.Г. // «Нотариальный вестник», май 2014 года
29. Статья «Нотариальное право Германии» / статья подготовлена Германским Фондом международного правового сотрудничества совместно с Федеральной нотариальной палатой // «Нотариальный вестник», сентябрь 2012 года
30. Статья «Юридические профессии в Соединенном Королевстве (Англия и Уэльс)» / А.В. Ястребов, Ю.И. Руденко // «Нотариальный вестник», июль 2012 года
31. Code notarial — Edition 2017, Conseil Supérieur du Notariat, LexisNexis / Code Bleu, 1316 P.
32. Economic impact of regulation in the field of liberal professions in different Member States. Iain Paterson, Marcel Fink, Anthony Ogu. Study for the European Commission, 2003, URL: http://ec.europa.eu/competition/sectors/professional_services/studies/executive_en.pdf
33. Европейский Кодекс Нотариальной этики», принят Конференцией нотариусов Европейского Союза 3–4 февраля 1995 года в Неаполе, изменен 20–21 октября 1995 года в Граце, 17–18 марта 2000 года в Брюсселе и 9 ноября 2002 года в Мюнхене

რეზუმე

ნაშრომში განხილულია ნოტარიუსის როლი და მნიშვნელობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ყურადღება გამახვილებულია ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორიცაა: ნოტარიატის შექმნის ისტორია, ნოტარიუსის პროფესიის პირველადი ჩანასახები, სიტყვა „ნოტარიუს“ წარმოშობა. აღნიშნულია, რომ მსოფლიოში ნოტარიუსის პროფესიის ორი მოდელი არსებობს: ლათინური (სამოქალაქო) ნოტარიუსი და საჯარო ნოტარიუსი. ვინაიდან საქართველო ნოტარიატის საერთაშორისო კავშირის წევრია ძირითადი ყურადღება ნაშრომში ეთმობა ლათინური ნოტარიატის სისტემას და მიმოხილვას, თუმცა მცირე ფორმატში განხილულია საჯარო ნოტარიუსის მოდელიც.

ნაშრომში ასევე საუბარია საქართველოს ნოტარიუსთა მომსახურების სერვისებზე, დავის მოგვარების აღტერნატიულ, გამარტივებულ და იაფ ფორმებზე და ასევე ელექტრონულ და ინოვაციურ მიდგომებზე.

ჩვენ სრულად ვეთანხმებით „საქართველოს ნოტარიატის განვითარების სტრატეგიაში“ გამოთქმული მოსაზრებებს, რომელშიც ზუსტად, ნათლად და თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი განვითარების სამომავლო პერსპექტივები.

SUMMARY

NOTARY ROLE AND SIGNIFICANCE IN DIFFERENT COUNTRIES OF THE WORLD

Medea Kopaliani – Master of Law

In the work there is discussed Notary Role and Significance in Different Countries of the World. The focus is on the very important themes such as: History of Notary Creation, Primary Germs of the Notary Profession, Derivation of the word “Notary”. It is denoted, that there are two models of Notary in the world: Latin (civil) Notary and Public Notary. As Georgia is the member of Notary International Union, the work mainly focuses on the System of Latin Notary and its review, though there is discussed a model of Public Notary in a small format too.

Also Services of Georgian Notaries are considered in the work, as well as alternative, simplified and cheap forms of the dispute settlement, including electronic and innovative methods.

We completely agree with the views stated in “The Strategy of Georgian Notary Development”, in which the future development perspectives are exactly, clearly and consistently presented.

ტერორიზმი და პოლიტიკური ქალაუფლება

ნინო ზაალიშვილი, სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

ტერორიზმი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საშიში გამოხატულებაა. თანამედროვე ეპოქაში მისი გავრცელება კიდევ უფრო შორს წავიდა ვიდრე ეს წინა საუკუნეებში იყო შესაძლებელი. ტერორიზმი შიშთან, საშინელებასთან, აფეთქებასთან და სიკვდილთან ასოცირდება. იგი დიდი ხანია გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს, ეფექტური იარაღი გახდა ქვეყანათა შორის საშინელ და დამამცირებელ ომებში.

აღნიშნულმა მოვლენამ, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანას გააცნო თავი და მილიონობით დაზარალებული ადამიანის სტატუსი დაამკვიდრა. თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მრავალ სხვა გადაუჭრელ პრობლემათა შორის ტერორიზმით გამოიწვეულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ადამიანურ დანაკარგებს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტებმა კაცობრიობა უდიდესი პრობლემის წინაშე დააყენა. იგი პოლიტიკური ძალაუფლებისათვის ბრძოლის ერთ-ერთ სახედაც იქცა, მაგრამ მიუხედავად ამ საშიშროებისა მეცნიერებამ აქამდე ვერ შეძლო შეემუშავებინა ამ დანაშაულთან ბრძოლის მოქმედი სისტემა და მეცნიერული დეფინიცია.

ტერორიზმი 21-ე საუკუნეში მრავალი სახელმწიფოს პრობლემაა, თუმცა მას გაცილებით დიდი ხნის ისტორია აქვს. ტერორიზმი დანაშაულებრივი ხელყოფის ერთ-ერთი საშიში ფორმაა, რომელსაც საფუძვლად უდევს სუბიექტის მისწრაფება (ლტოლვა), მიმართული გარშემომყოფთა დაშინებისაკენ, მოქალაქეთა სოციალური ქმედებების პარალიზებისაკენ, ხელსუფლების ორგანოების ნორმალური ფუნქციონირებისა და მართვის შეფერებისაკენ. ამ გზით ტერორისტი დამნაშავები აღწევენ თავიანთ ანტისაზოგადოებრივ ზრახვებს.

„ტერორიზმს“ არაერთგვაროვანი მნიშვნელობა აქვს. ძალზე ფართო გაგებით, ტერორისტულად შეგვიძლია მივიჩნიოთ ნებისმიერი ძალადობის თუ დაშინების აქცია. ყოველ შემთხვევაში, სიტყვის ლათინური ძირი, რომელიც შიშს და საშინელებას უკავშირდება, მისი ამგვარი გამოყენების საშუალებას იძლევა. მისდა მიუხედავად, თუ ტერმინის წმინდა

პოლიტიკური მნიშვნელობა გვაინტერესებს, მისი მოცულობა გარკვეული მიმართულებებით უნდა შევზღუდოთ.

ტერორიზმი პირდაპირი სახით არ შეიძლება გახდეს პოლიტიკური ძალის თეორიის განხილვის ობიექტი. პოლიტიკური ძალის თეორიის საკითხების ჩამონათვალში ძნელად თუ შევხვდებით პარაგრაფებს, რომლებიც ტერორიზმის არსებას და ბუნებას აანალიზებდეს. ერთ-ერთი მიზეზი ამისა გახდავთ ის გარემოება, რომ ტერორიზმი არ შედის პოლიტიკური ძალის მაკონსტიტუირებელი პოზიტიური ელემენტების სიაში. მეორე მხრივ, ვერც იმ ვითარებას დავტოვებთ ყურადღების გარეშე, რომ ტერორიზმი და ტერორისტულ ორგანიზაციები არა მხოლოდ ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ, არამედ ძალზე ხშირად კონფლიქტში არიან ხელისუფლებასთან და არა მხოლოდ ერთი რომელიმე ქვეყნის ხელისუფლებასთან, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობასთანაც კი. ტერორისტული ორგანიზაციების სხვა პოლიტიკურ ძალებთან ბრძოლის ძირითადი მახასიათებელი ნიშანი ტერორიზმის მარგინალურ, არალეგიტიმურ ხასიათში მდგომარეობს. ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას, ხელისუფლების სათავეებში მყოფ ძალებს შეიძლება დაუპირისპირდნენ სხვა პოლიტიკური ძალები ან პოლიტიკური პარტიები, მაგრამ დაპირისპირების ეს ფორმები პოლიტიკური თამაშის წესებს მიუყვება მაშინ, როდესაც ტერორისტული ბრძოლის ფორმები სრულიად განსხვავებულია და თვისი ბუნებით აპოლიტიკურად ითვლება. ტერორიზმის ერთ-ერთი გავლენიანი კონცეფციის მიერ მიჩნეულია, რომ ტერორიზმს გაცილებით უფრო მეტი აქვს კრიმინალთან, ვიდრე საკუთრივ პოლიტიკასთან.

კითხვაზე – „რა არის ტერორიზმი?“ – არ არსებობს მარტივი პასუხი. უმრავლესობისთვის მისაღები დეფინიციის მოძიება, არაერთი დისკუსიის ობიექტი ყოფილა. ტერორიზმი პოლიტიკური ძალადობაა მიუღებელი ფორმებით. ცხადია, ამგვარი თვალსაზრისი მთლად გამართული არ არის, რადგან ძნელია ვისაუბროთ იმის თაობაზე, თითქოს არსებობს ძალადობის მისაღები და მიუღებელი ფორმები. ტერორიზმი უდანაშაულო ადამიანების მიზანმიმართული, სისტემა-

ტური ხოცვა, დასახიჩრება და დაშინებაა იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნეს გარევეული პოლიტიკური შედეგები. არც ეს განსაზღვრებაა იდეალური.

ზოგიერთი ავტორი (ჰენსლინი) ცდილობს ტერორიზმი დანაშაულის კატეგორიის კონტექსტში კი არ განიხილოს, არამედ ომის კატეგორიის კონტექსტში. ის ფიქრობს, რომ ტერორიზმი. განსაკუთრებით კი მაშინ თუ საქმე ეხება პოლიტიკურ ტერორიზმს, ომის წარმოების ანალოგით უნდა გავიგოთ, რადგან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ტერორიზმი იგივე საშუალებებს იყენებს, რასაც ომი, ანუ მიმართავს დაშინებას, ძალადატანებას, სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნას და შეიარაღებულ ძალადობას. ტერორისტი საკუთარი მიზნების განხორციელებას ცდილობს შიშის ატმოსფეროს შექმნით და უბრალო მოქალაქეების სამხედრო სამიზნებად ქცევით.

რაც შეეხება მსხვერპლს, მათ შორის ყველაზე უფრო ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე პოლიციის თანამშრომლები, დიპლომატები, ოფიციალური პირები, სამხედრო პერსონალი, ბიზნესმენები.

ტერორისტული აფეთქებების ყველაზე უფრო ხშირი აბიექტებია ბანკები, ბიზნეს-ცენტრები და მარკეტები, სამხედრო დანიშნულების ობიექტები და სამთავრობო ოფისები. მძევლებად ყველაზე უფრო ხშირად პოლიტიკური მოთხოვნების გასაკეთებლად, აპყავთ ბიზნესმენები ან ოფიციალური პირები.

ძალზე ზოგადი სახით, პოლიტიკურ ტერორიზმს სამ ნაწილად ყოფენ. ეს არის რევოლუციური ტერორიზმი, რეპრესიული ტერორიზმი და ნარკო-ტერორიზმი. რევოლუციურ ტერორიზმს განსაზღვრავენ როგორც სახელმწიფო შიდა მტრების მიერ ხელსუფლების შეცვლის მიზნით მიმართულ ძალადობრივ საქმიანობას. ამისგან განსახვავებითო, რეპრესიულ ტერორიზმს უკვე თავად სახელმწიფო მიმართავს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ იმ მიზნით, რომ მიაღწიოს მათ აბსოლუტურ მორჩილებას. დაბოლოს, ნარკოტერორიზმი წარმოადგენს ნარკობიზნესის და საკუთრივ ტერორიზმის უცნაურ ჰიბრიდს.

რევოლუციური ტერორიზმის აქტივობა შეიძლება ოთხ ძირითად მიზანს ისახავდეს:

1. დაჯგუფების გახმიანება ფართო საზოგადოებისათვის;
2. ტერორისტების უკმაყოფილების-

მიზეზების და მოტივების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის;

3. მთავრობის უუნაროს დემონსტრაცია;

4. პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების მიღწევა ძალის გამოყენებით.

რეპრესიულს იმგვარ ტერორიზმს უწოდებენ, რომლის მოქმედი სუბიექტი ესა თუ ის პოლიტიკური რეჟიმია, ხოლო მსხვერპლი საკუთარი ქვეყნის მოსახლეობა. რა თქმა უნდა, შეიძლება სახელმწიფოს ამგვარ მოღვაწეობას „სახელმწიფო ტერორიზმი“ ან „რეპრესიული ტერორიზმი“ ვუწოდოთ.

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ტერორიზმი ასწლეულებს ითვლის, იგი სრულიად საფუძვლიანად ითვლება „ახალ გამოწვევად“. უბრალოდ, თუ ადრე, როგორც წესი, მისი სამიზნე კონკრეტული პიროვნებები (მონარქები და პოლიტიკოსები) იყვნენ, თანამედროვე საერთაშორისო ტერორიზმის სამიზნეს (სულ უფრო და უფრო მზარდი თანმიმდევრობითა და ფანატიკური დაუნდობლობით) მშვიდობიანი მოსახლეობა წარმოადგენს. თანამედროვე ტერორისტებისთვის ნაკლებად მიმზიდველი მსხვერპლია ესა თუ ის პოლიტიკური მოღვაწე, რომლის შეცვლით, უმეტეს შემთხვევაში, პოლიტიკური ეფექტი არცთუ შთამბეჭდავია. ცათამ-ჯენების დანგრევა, ხალხმრავალ ადგილებში „ცოცხალი ბომბების“ აფეთქება და ათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღუპვა სულ სხვა რეზონანს იძენს. თანამედროვე ტერორიზმის მიზანია, შექმნას რაც შეიძლება მეტი ქაოსი და პანიკა, დანერგოს შიში. ამიტომ ძალზე დიდია იმის ალბათობა, რომ ჩაიგდებს რა ხელში საშიშ იარაღს, ტერორისტული ორგანიზაცია უმაღლ შეცდება გამოიყენოს იგი თავისი მიზნების მისაღწევად.

როგორც აღვნიშნეთ, ტერორიზმი არის ძალადობრივი მეთოდებით ან ძალადობის მუქარით წინასწარ განზრახულად შიშის „შექმნა“ და გამოყენება პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ყველა ტერორისტული აქტი შეიცავს ძალადობას ან ძალადობის მუქარას. ტერორიზმს სურს სპეციალური შორის მიმავალი ფსიქოლოგიური ეფექტის გამოწვევა. ტერაქტები მიზნად ისახავენ შიშის დანერგვას და რაც შეიძლება მეტი ადამიანის დაშინებას. ის შეიძლება მიმართული იყოს ეთნიკური ან რელიგიურ ჯგუფებისკენ, ქვეყნისკენ, მთავრობისკენ. პოლიტიკური პარიისკენ, საზოგადოებრივი აზრისკენ...

ტერორიზმი ერთი მხრივ, წარმოადგენს

საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტს, მეორე მხრივ, თვითონ ახდენს ზემოქმედებას საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. სარგებლოს რა ტერორისტული აქტის ჩადენისათვის მოსახერხებელი სოციალური, პოლიტიკური და სხვა პირობებით, ტერორიზმი მიზანდასახულად გარდაქმნის გარემოს დანაშაულის

ასაცლენად, ამიტომ ტერორიზმის პრობლემა უნდა შეისწავლონ და გადაჭრან არა მხოლოდ იურისტებმა, სისხლის სამართლის სპეციალისტებმა, კრიმინალისტებმა და ა. შ., არა ამედ სოციოლოგებმა, ფსიქოპათოლოგებმა, ფსიქოლოგებმა და ფსიქიატრებმაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Хольше Р., Тероризм, жестокость и насилие, СП-б., 2005;
2. Королев А. Л., Террор и Терроризм и современность, М., 2007;
3. James Henslin "Social Problems", Prentice Hall, 1990;
4. ზურაბიშვილი დ., ტერორიზმი – ე აზროვნების სახეა, გამოცმ. „თობალისი“, 2002.

რეზიუმე

ტერორიზმი 21-ე საუკუნეში მრავალი სახელმწიფოს პრობლემაა. დასახელებულ ნაშრომში აღნიშნულია, რომ ტერორიზმი პოლიტიკური ძალადობაა მიუღებელი ფორმებით. ეს არის უდანაშაულო ადამიანების მიზანმიმართული, სისტემატიკური ხოცვა, დასახირება და დაშინება იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას გარკვეული პოლიტიკური შედეგები. ტერაქტები მიზნად ისახავენ შიშის ჩანერგვას და, რაც შეიძლება მეტი ადამიანის დაშინებას. ამიტომ, ტერორიზმის პრობლემა უნდა შეისწავლო და გადაჭრან არა მხოლოდ იურისტებმა, სისხლის სამართლის სპეციალისტებმა, კრიმინალისტებმა და ა. შ., არა ამედ სოციოლოგებმა, ფსიქოპათოლოგებმა, ფსიქიატრებმაც..

SUMMARY

TERRORISM AND POLITICAL POWER

Terrorism in 21st century is a problem of many countries. In this article is mentioned that terrorism is political violence in unacceptable form. This is the deliberate and systematic slaughter, mutilation and intimidation of innocent people in order to achieve certain political results. Terrorist attacks aimed at the more human bullying. Therefore terrorism problem must be solved not only by lawyers but also psychologists, sociologists and psychiatrists.

ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობ- ბის XVII—XVIII საუკუნეებში

მარინა მესხია

ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობები ერთ- ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ამ რეგიონის ისტორიისათვის. ამიერკავკასიის ქალაქებში ხელოსნური წარმოების განვითარებამ თავის მხრივ ხელი შეუწყო საგარეო ვაჭრობის აღმავლობასაც. ამიერკავკასიის მსხვილი ქალაქები (თბილისი, გორი, შემახა, განჯა, ერევანი, ბაქო და სხვ.) მნიშვნელოვანი სავაჭრო ურთიერთობებით იყვნენ დაკავშირებული როგორც ერთმანეთთან , ასევე მეზობელ ქვეყნებთან (თურქეთი, ირანი, დაღესტანი, რუსეთი, ინდოეთი....). რეგიონის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა, სადაც მნიშვნელოვანი სავაჭრო მაგისტრალები გადიოდა , კიდევ უფრო მეტად უწყობდა ხელს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ეს საქართველოზებისაერთაშორისო სავაჭრო მარშრუტების მნიშვნელოვან მონაკვეთებს წარმოადგენდნენ. ისინი ირანისა და თურქეთის ტერიტორიაზე გამავალ სავაჭრო არტერიებს უკავშირდებოდნენ და მათი მეშვეობით უერთდებოდნენ, როგორც სპარსეთის უურეს, ისე თურქეთის, სირიის სავაჭრო ქალაქებს, რომლებიც ევროპის და აზიის საერთაშორისო ვაჭრობის მნიშვნელოვან ცენტრებს წარმოადგენდნენ (1,81).

აღსანიშნავია, რომ სავაჭრო მაგისტრალების მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ადგილობრივ ხელისუფლებსაც. ისინი საგანგებო ზომებსაც მიმართავდნენ მათ კეთილმოსაწყობად: ანახლებდნენ ძველს, აგებდნენ ახალ ქარვასლებს, აშენებდნენ ხიდებს, აწყობდნენ წყალსაცავებს. გარდა საგზაო მშენებლობისა ადგილობრივი ხელისუფალნი ცდილობდნენ ცალკეული მსხვილი ფეოდალების მარბეველი რაზმებისა და ყაჩაღების თარეშის ალაგ-მვას სავაჭრო გზებზე (1, 86).

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად XVII-XVIII საუკუნეებში ამიერკავკასიის დიდი ქალაქები საერთაშორისო ვაჭრობის მსხვილ ცენტრებად იქცნენ.

წყაროების მონაცემებით ირკვევა, რომ XVII-XVIII საუკუნეებიმა მიერკავკასიის ქალაქების საგარეო ვაჭრობაში შესამჩნევი

ადგილი ეკავა აღმოსავლეთ საქართველოს, აღმოსავლეთ სომხეთისა და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ქალაქებს შორის ვაჭრობას. ისინი ერთმანეთს დიდი სავაჭრო- სატრანზიტო გზებით უკავშირდებოდნენ , რომელთა შორის აღსანიშნავია შემდეგი სავაჭრო მარშრუტები: 1. განჯა-თბილისი - ახალციხე - ერზერუმი - სტამბოლი; 2. ბაქო - ნუხა- კახეთი - თბილისი - ერევანი - თურქეთი (2, 257-258).

ჩვენ ხელთ არსებული მასალა უხვად გვაწვდის ცნობებს იმ საქონელ ბრუნვის შესახებ , რომელიც ამიერკავკასიის ქალაქებს შორის არსებობდა. XVII-XVIII საუკუნეებში აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებთან საგარეო ვაჭრობაში მრავალფეროვან საექსპორტო საქონელში განსაკუთრებული ადგილი ეკავა საფეიქრო ნანარმს, რომელზედაც დიდი მოთხოვნილება იყო საქართველოს (განსაკუთრებით თბილისის) მოსახლეობაში(2, 258).ქართულ საბუთებში ხშირადაა დასახელებული შემახური აბრეშუმის ქსოვილები. „შემახიას რეჟანი მოვი“, „ნიმთანა შემახი(ი)ს დარაია“, „ ყვითელი მოვი შემახის“(3,I, 172, 173, II, 202, 303, 524).

ჩრდილოეთ აზერბაიჯანი ქალაქებიდან საქართველოში ყველაზე მეტი ქსოვილი განჯიდან შემოდიოდა .ამას როგორც კ. კუცია აღნიშნავს , საქართველოს საზღვრებთან განჯის სიახლოვე უწყობდა ხელს. თბილისა და სხვა ქალაქებში იყიდებოდა განჯაში წარმოებული აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილები: დარაია, ფარჩა, მოვი და სხვა(3,III, 61, 197, 200, 2017 316; 4,III, 301). განსაკუთრებით ხშირადაა დასახელებული დარაია და მოვი. გვხვდება ყასაბაც, მაგა., „განჯა ყასაბი ხასყირმიზი“(1, 102)

საქართველოში, გარდა საფეიქრონაწარმისა, შედიოდა იაფფასიანი ქსოვილებიც(„შემახის ყუთანი“, „ურდუარის(ორდობედფის-კ.კ.) ჩითი“(2, 259) . ამავე დროს საბუთებში ხშირადაა მოხსენებული აბრეშუმისა და ბამბის სხვადასხვა ხარისხისა და მატყულის ქსოვილები, დიდი და მცირე ზომის აბრეშუმის თავსაფრები და სხვა საფეიქრო პროდუქცია. კ.კუციას ვარაუდით, თბილისში საღდებოდა

აგრეთვე ბაქოში წარმოებული ყუმაში, ნახ-
ჭევანის „ბაჟრამ-გური“ (ხელით მოხატული
ქსოვილი) და ჩითის სუფრები (1, 102)

XVIII საუკუნის II ნახევრსა და XIX საუ-
კუნის დამდეგს ქსოვილების ექსპორტი წარ-
მოებდა აღმოსავლეთ სომხეთის დედაქა-
ლაქიდანაც. მაგ., მარიამ დედოფლის
შემოსავლის ნუსხიდან (აღნიშნულია მისი
შემოსავალი ერევნიდან)ირკვევა, რომ ის
ყოველწლიურად იღებდა 500 თუმანს. ეს
თანხა მას მოსდიოდა „ნახევარი თეთრად
და ნახევარი ფარჩით“ (3, III, 389). ერევნის
საფეიქრო ნაწარმის საქართველოს დედაქა-
ლაქში იმპორტი მტკიცდება ერთ-ერთი ქა-
რთული საბუთიდანაც, რომელშიც მოხსენე-
ბულია „ერთი ერევნული საბნის პირი“ (იქვე).

გარდა საფეიქრო ნაწარმისა, თბილისა
და აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში
იყიდებოდა ჩრდილოეთ აზებაიჯანის ქა-
ლაქებში წარმოებული ხალიჩები. XVIII საუ-
კუნის ერთ-ერთ მზითვის წიგნში დასახელე-
ბულია ყარაბაღული „ორხუა“ (ორპირიანი
ხალიჩა) წყუილი ა“ (1, 104). ხალიჩების წარ-
მოება საკმაოდ გავრცელებული იყო ამ პერი-
ოდის სომხეთშიც. ამდენად საფიქრებელია,
რომ სომხური ხალიჩების გარკვეული ნაწილი
მეზობელ ქვეყნებში (საქართველო, თურქე-
თი) საღდებოდა (1, 104)

აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში
ხდებოდა ექსპორტირება ხმლების, სატევ-
რების, საოჯახო ჭურჭლის (2, 259). XVIII საუ-
კუნის დამდეგის ერთ-ერთ ქართულ საბუთ-
ში აღნუსხულია განჯიდან შემოტანილი
საოჯახო ჭურჭლი: „ქვაბი სამი , საცხრე,
ტასტი, სა(ა)ბანოე ერთი, წრილი ტასტი ორი,
საძროხე თეფში ორი, დიდი ჯამი ორი“ (3, II,
154).

სოფლის მეურნეობის პროდუქციათა შო-
რის უწინარეს ყოვლისაუნდა აღინიშნოს ბამ-
ბა. XVII საუკუნეში არარატის დაბლობიდან
საქართველოში გადიოდა ბამბა (2, 259). XVII-
XVIII საუკუნეების აღმოსავლეთ ამიერკავკა-
სიის ქალაქების საგარეო საქონელ ბრუნვაში
დიდი ადგილი ეკავასურსათ-სანოვაგესაც.
ჩრდილოეთ აზერბაიჯანში ქრისტიანული
მოსახლეობის მიერ დაყენებული ღვინო
გარკვეული რაოდენობით საქართველოშიც
(კერძოდ თბილისში) შემოდიოდა. მაგ., 1779
წლის ერთ-ერთი ქართული საბუთის თანახ-
მად, ბატონიშვილმა ღვინომა 200 „თუნგიღვი-
ნო განჯიდან მოატანინა“ (1, 111). სავრაუ-
დოდ, როგორც მართებულად აღნიშნავს
კაუცია, აზერბაიჯანული ღვინოების შემო-

ტანას საქართველოში შემთხვევითი ხასიათი
ჰქონდა, რადგან საქართველო თვითონ იყო
ღვინის მწარმოებელი და ექსპორტიორიც (1,
111).

სურსათ-სანოვაგით ვაჭრობდა ქალაქი
ერევანიც. კერძოდ, სომხეთიდან შემოდიო-
და ხორბალი, ბრინჯი, ზეთი, ყველი, არაყი (1,
112). დიდი მოთხოვნილება იყო თბილის-
ში სევანის თევზზე, ე.წ. გელაქნურზე (5, II,
393, 394).

ჩრდილოეთ აზერბაიჯანიდან, კერ-
ძოდ შემახიდან და განჯიდან შემოდიოდა
შაბი, ბაქოდან ტბაზე მოპოვებული მარი-
ლი (1, 108). „ბრინჯი, რკინა ან შაბი, რომ ეკი-
დოს აქლემზედ სამი შაური, ცხენზე ორი შაუ-
რი“ (5, II, 285, 6, 75), „მარილის საპალნეზედ
შაური არის“ (5. იქვე, 6, 75, 76).

აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების
ექსპორტის განხილვისას ნათლად გამოჩნდა
, სომხურ და აზერბაიჯანულიქალაქების
მჭიდრო სავაჭრო- ეკონომიკური ურთიერ-
თობები აღმოსავლეთ საქართველოს ქა-
ლაქებთან, განსაკუთრებით თბილისთან.
თბილის უცხოეთიდან შემოტანილ საქონ-
ლის მარტო საწყობი და გასაღების ბაზარი
როდი იყო. იგი თავის ნაწარმით აქტიურ
მონაწილეობას იღებდა აღმოსავლეთ ამ-
იერკავკასიის ქალაქებს შორის ვაჭრობაში.
ქართლის დედაქალაქი XVII საუკუნიდან
ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა. „მის
აღმავლობას აპირობებდა, ერთი მხრივ,
ირანთან დამოკიდებულების შედარებით
ხელსაყრელი პოლიტიკური ფორმა, ხოლო,
მეორე მხრივ, ირან- სომალეთის 1639 წლის
ზავი, რომელმაც ბოლო მოუღო დაუს-
რულებელ ომებს ამიერკავკასიის ტერიტო-
რიაზე და თთქმის 90 წლით უზრუნველყო
მშვიდობიანი ცხოვრება აღმოსავლეთში“ (7,
183). ყოველივე ამის შემდეგ „თბილისა....
აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ერთ-ერთი
მნიშვნელოვანი ქალაქი გახდა... ეს ქალაქი
მარტო ფეოდალური ქვეყნის მმართველის
სადგომი კი არ იყო, არამედ მნიშვნელოვანი
ეკონომიკური ცენტრიც“ (8, 270).

XVII-XVIII საუკუნეებში აღმოსავლეთ
საქართველოს, უპირველეს ყოვლისა
თბილისა და აღმოსავლეთ ამიერკავკა-
სიის ქალაქებს შორის სავაჭრო- ეკონომი-
კურ ურთიერთობებში დიდი მნიშვნელობა
ჰქონდა ქართულ საქონელსაც, რომლის ეს-
პორტირებას აწარმოებდნენ თბილელი და
უცხოელი ვაჭრები.

ჩრდილო აზერბაიჯანის ქალაქებში და

სომხეთის დედაქალაქ ერევანში დიდი რაოდენობით გადიოდა სახელგანთქმული ქართული ღვინოები. შარდენი საუკეთესო ღვინის ფასაც კი იძლევა. მისი მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ღვინის ფასზე დამოკიდებული იყო სხვა სურსათ სანოვაგის ფასებიც. “მეფეთა სასმელად თბილისიდან ღვინო დიდი რაოდენობით გააქვთ სომხეთში, მიდიას და ისფაპანში. ერთი ცხენის საპალნე, რომელიც წონით 300 ფუთს უდრი, მხოლოდ და მხოლოდ რვა ფრანკი ღირს... საშუალო ღვინის ფასი ამისი ნახევარია. ყველა დანარჩენი სურსათი ამის შესაბამისად ფასობს” (9,297). საქართველოდან ექსპორტის საგანს აგრეთვე მაღალხარისხოვანი კახური კაკალიც წარმოადგენდა, რომელიც დაახლოებით ოთხი ათასი აქლემის საპალნე გადიოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში (იქვე). კახური კაკალი გაჰქონდათ ერევანშიც. ამაზე უნდა მიუთითებდეს XIX საუკუნის პირველ ნახევარში ერევანში იმპორტირებული ქართული საქონლის ნუსხა, რომელშიც ხელოსნური ნაწარმისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გვერდით დასახელებულია კაკალიც (1,120). საქართველოდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებში გადიოდა აგრეთვე წითელი ფერის მცენარეული სალებავი - ენდრო, ბოსტნეული და ხილი. „ნესვი და საზამთრო საპალნეზედ (3)... კიტრი ცხენის, ჯორის, ხარის, საპალნეზედ (12) ვირისაზედ (6)(6,76) ქართული ხილის ექსპორტირება წარმოებდა არა მარტო მთელ ამიერკავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც (1,121). აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაჰყავდათ შესანიშნავი ჯიშის ქართული ბედაურები, რომელიც „გურჯის“ ანუ „ქართული ცხენის“ სახელით იყო ცნობილი (იქვე).

აღსანიშნია, რომ კახური ხამი აბრეშუმი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ტრანზიტით გადიოდა ევროპისა და აზიის ქვეყნებში (იქვე).

აღმოსავლეთ საქართველოს, განსა-

კუთრებით თბილისის საგარეო ვაჭრობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხელოსნურ ნაწარმისაც. აზერბაიჯანის ქალაქების ბაზრებში იყიდებოდა თბილისიდან შემოსული ვერცხლი და სპილენძი. საქართველოდან ლითონი გადიოდა ერევანშიც (იქვე). ხელოსნური ნაწარმიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებში ასევე გადიოდა ქსოვილები და სხვადასხვა ნაქსოვი პროდუქცია, მაგ., წინდები: “წინდის საპალნე აქლემზე ათი შაური, ცხენზე ხუთი შაური” (6, 75; 5,284). ჩრდილოეთ აზებაიჯანისა და აღმოსავლეთ სომხეთის ქალაქებში იყიდებოდა ქართული ნაქარგობაც. ამაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, აღნიშნავს კ. კუცია, რომ ქართველი ხელოსნების ნახელავი მაღალმხატვრული ნაქარგობა დიდი პოპულარობით სარგებლობდა ირანში, თურქეთსა და საერთოდ მთელ აზიაში, სადაც ფრიად მაღალფასებში უყიდებოდა (1, 121).

გარდა ზემოდასახელებული პროდუქციისა, თბილისიდან აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქებში გადიოდა ცვილი, ბენვეული და სხვ.. აღმოსავლეთ საქართველოდან და უნინარეს ყოვლისა თბილისიდან ერვანში, თავრიზშა და ერზერუმში ყოველწლიურად იგზავნებოდა 150-160 ურემი (1, 122).

მოტანილი მასალიდან ირკვევა, რომ აღებული ხანის ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო საქონელი მეტად მრავალფეროვანი იყო. იგი უმთავრესად შეიცავდა ხელოსნურ ნაწარმისა და სურსათ -სანოვაგეს. დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ XVII – XVIII საუკუნეების ამ ქალაქების სავაჭრო საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საგარეო ვაჭრობა, რომელიც ძალიან დადებით გავლენას ახდენდა ხელოსნური წარმოების აღმავლობასა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დარგების განვითარებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კუცია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI – XVIII სს., თბ. 1976;
2. კ. კუცია, თბილისისა და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობა XVII – XVIII სს., ძიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976;
3. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, მასალები შეარცია და გამოსაცემად მოამზადა 6. ბერძენიშვილმა, ნ. I, ნ. II, თბ. 1953, ნ. III, თბ. 1955;
4. საქართველოს სიძველენი, ტ. III, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, თბ. 1910;
5. ქართული სამართლი ძეგლები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, ნ. II, თბ. 1965;
6. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, გამოსცა შ. მესხიამ, მსკი, ნაკვ.

- 30, თბ. 1954;
7. ვ. გაბაშვილი, XVI- XVIII სს. საქართველოს ქალაქები მახლობელი აღმოსავლეთის სავაჭრო ურთიერთობის შუქზე, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიაში, I, თბ. 1966;
 8. ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XI – XVIII სს., საქართველოს ისტორიის საკითხები, ნ. VI, თბ. 1973;
 9. შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბ. 1975

SUMMARY

TRADE - ECONOMIC RELATIONSHIPS OF TRANSCAUCASIAN CITIES IN 17-TH – 18-TH CENTURIES

Marine Meskhia

The article reviews trade-economic relationships of Transcaucasian cities in 17-th- 18 th centuries according to Georgian and oversea resources and scientific literature.

Based on the existing material the article reveals the significance of Georgian cities in foreign trade with Northern Azer and Eastern Armenian cities. The emphasis is put on the big trade- transit routes which linked Eastern Georgian cities with Eastern Transcaucasian ones.

The article proves that in the 17-th- 18-th centuries in Eastern Transcaucasian and Eastern Georgian cities the major part of the goods consisted of crafts and grocery. It had a great impact on developing craftsmanship and a number of fields in agriculture.

ქართული ფიდაობის მსოფლივი და ეთიკურ-ესთეტიკური პური ასპექტები

ვაჟა დანელია

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: ქართული ჭიდაობა, ეროვნული საუნჯე, სული, სხეული, პანკრატიონი, დეციმუს იუნიუს იუვენალისი, ჯონ ჰალი, ანტიკური ოლიმპიური თამაშები, ალავერდის ტაძარი, ქართული ჭიდაობის ფრესკა, აგონი, გლადიატორი, სპორტსმენი, ეთიკა, ესთეტიკა, მუსიკა.

წარსულის მატიანე, ისევე, როგორც დღევანდელობის ისტორიული გააზრება, უდიდესი შემეცნებითი, აღმზრდელობითი, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისაა. ამიტომაც წინა ეპოქების ფიზიკური კულტურის ისტორიის შესწავლა აუცილებელია იმისთვისაც, რომ ფიზიკური აღზრდის სახალხო ფორმებში ადამიანთა ეთიკური და ესთეტიკური იდეალების, კულტურის გამოხატულებას პოულობ.

ყაცობრიობისთვის უხსოვარი დროიდან თანამდევი პრობლემა საკუთარი თავის შეცნობა იყო. მის გადასაჭრელად იქმნებოდა აღმოსავლური თუ დასავლური რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრებები, რომლებიც ყველაზე ნათლად ვლინდებოდა ორთაბრძოლებში - უძველესსა და უნივერსალურში, რაც კი მსოფლიოს განვითარების პროცესში ჩასახულა. ყველა ხელჩართული ბრძოლის ხელოვნება დღესაც განიხილება როგორც სულიერი აღზრდის გზა, რადგან მათი მთავარი პრინციპი ძლიერი სულის ზეობაა.

საბრძოლო ხელოვნება, ჩვეულებრივ, ძალმომრეობად მოიაზრება, თუმცა მისი ნამდვილი არსი მშვიდობისა და ჰარმონიის მოპოვება, შინაგანი რწმენის განვითარება-განმტკიცება, ხასიათის სიმშვიდე, თვითკონტროლი და ჰუმანურობაა. ის, ჩვეულებრივ, ადამიანის ჰარმონიული განვითარებისთვის - მისი სხეულისა და სულის სრულყოფილებისთვის არის გამიზნული. აი, მაგალითად, იაპონური „ვადო რიუს“ იეროგლიფების კომბინაცია იშიფრება, როგორც „მშვიდობის გზა“, „თანხმობის გზა“, „ჰარმონიის გზა“.

ამ მხრივ განსაკუთრებულია ქართული ჭიდაობა. ცხადია, ისიც ემყარება ჰუმანურ ეთიკურ-ესთეტიკურ პრინციპებს, ასევე, ზოგადად, ჩვენს რელიგიასა და ფილოსოფია-

ში განვითარებულ სულისა და სხეულის ჰარმონიის იდეალს, სადაც უმთავრესი სულიერი დისციპლინაა, ანუ საკუთარ თავთან დაპირისპირებული „მეს“ დამარცხება.

ქართულ ჭიდაობაში, როგორც ადამიანში, ორი საწყისი იყრის თავს - ზეციური, ღვთიური, ანუ სული და მატერიალური - მიწიერი სხეული. მხოლოდ სხეულის წრთობით დიდ გამარჯვებას ვერ მიაღწევ. წარმატება სულისა და სხეულის ჰარმონიული განვითარებით არის შესაძლებელი.

რომაელი ფილოსოფოსი და ღრამატურგი, პოეტი, პოლიტიკური მოღვაწე ლუციუს ანეუს სენეკა (ძვ. წ. აღ. 4 - ახ. წ. აღ. 65) უმცროს მეგობარ ფილოსოფოს ლუცილიუსს სწერდა: „ივარჯიშო იმისთვის, რომ ხელები გახდეს უფრო ღონიერი, მხრები - განიერი, გვერდები - ძლიერი, ამგვარი მეცადინეობა სულელურია და განათლებული ადამიანისთვის შეუფერებელი. რამდენიც უნდა დააგროვო ცხიმი და გაიზარდო კუნთები, სულერთია, ვერც წონითა და ვერც ძალით ნასუქ ხარს ვერ გაუტოლდები. თანაც სხეულის მასის ზრდა სულს ამძიმებს და მოძრაობის საშუალებას არ აძლევს მას. ამიტომ, რითაც შეგიძლია, სხეული შეზღუდე და სულისთვის ადგილი გამოათავისულე“.

არც ის არის შემთხვევითი, რომ მე-10 საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ერთგვარი სიამაყით აცხადებს - სულით ძლიერთა კაცთა ხორცითა ძლიერ კაცთა სძლიერო, როცა აშოტ კურაპალატმა უძლურების ნიშნად თქვა: „ნეტარ მას კაცსა, ვინც ცოცხალ არღარა არსა“.

საგულისხმო ფაქტია, რომ ალავერდის ტაძრის კედელზე მე-15 საუკუნეს განეკუთვნება ქართული ფრესკა, რაც უნიკალური შემთხვევაა - ეროვნული საუნჯე წმინდანების დონეზეა აღზევებული. თუმცა მსოფლიოს ისტორიაში ეს არ არის იშვიათი გამონაკლისი, რადგან ჭიდაობის სცენები არის აღნუსხული უნგრული და უკრაინული ტაძრების კედლებზე, შუასაუკუნეების ინგლისისა და ისლანდიის ეკლესიების ბარელიეფებზე.

ალავერდის ფრესკაზე პერსონაჟთა სახეები, სამოსი და მოძრაობის პლასტიკა ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს ქართულ ტრადიციულ საჭიდაო ხელოვნებაზე. ამას-თანავე, მას იდეოლოგიური დატვირთვაც აქვს: წმინდანების გვერდით გამოსახვა მე-ბრძოლებისთვის სტიმული უნდა ყოფილიყო სულიერი განწყობის, ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. მსგავსი შეჯიბრებები ხომ საქართველოში თან სდევდა რელიგიურ დღე-სასწაულებს და ეს რელიგიურ-ფილოსოფიური ბირთვი, რომელიც მორკინალს ღმერ-თის დონემდე სრულყოფილებისკენ ორიენ-ტაციის საშუალებას აძლევდა, ქართულმა ჭიდაობამ დღემდე შეინარჩუნა. ის სპორტის ამაღლებული, ვაჟკაცური სახეობაა, რო-მელიც ლაზათით, მიმზიდველობით, ფორმი-თა და შეჯიბრების წესებით არსებითად გან-სხვავდება სხვა ორთაბრძოლებისგან.

ქართული ჭიდაობისთვის დამახასიათე-ბელია რაინდული სული: „კატეგორიულად მიუღებელია სარბიელიდან გაქცევა, ჭიდ-აობა მიმდინარეობს დგომში, იკრძალება წაქ-ცეულ და დაჩინქილ მეტოქეზე შეტევა, მასზე მიწოლა ან გადაგორება, მტკიცნეული და მახრჩინებელი ილეთების ჩატარება, შებოჭვა, ხელის მუცელში მიბჯენა, მაჯის, თითებისა და მკლავის მოგრეხა, ფეხებში ხელის წავ-ლება, მოწინააღმდეგის განზრახ დაშავების მცდელობა. ქართული ჭიდაობა პირდაპირია - ხელი ხელს ებრძვის, ფეხი-ფეხს, თეძო-თეძოს. აქ გამორიცხულია მიპარვა ან მზა-კვრული მოქმედება. ფალავნები ჭიდაობის დაწყებისას მუდამ ერთმანეთის პირისპირ უნდა იდგნენ, თუკი ჭიდაობის პროცესი-სას რომელიმე დაეცემა, მეორე მოშორებით ელოდება მის წამოდგომას. ილეთები სრულ-დება მაღალ ტემპში, საჭიდაო მუსიკასთან ერთად, სწრაფად და ელვისებურად“.

მოკლედ რომ ვთქვათ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული ჭიდაო-ბის წარმატების საიდუმლო სულის, გონისა და სხეულის ჰარმონიულ ერთიანობაშია. ამიტომაც არის ის ჩვენი ერის იდენტო-ბის განმსაზღვრელი და თვითმყოფადობის გამოხატულება. სწრაფ ეს გახდა საბაბი იმისა, რომ იუნესკომ ქართული მრავალხ-მიანობის, ქვევრის ღვინის დაყენების უძვე-ლები ქართული ტრადიციული მეთოდისა და ქართული ანბანის 3 სახეობის გვერდით, ქა-რთული ჭიდაობა მსოფლიოს არამატერიალ-ური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.

ჩვენს ეროვნულ საუნჯეს არა მარტო

აღმზრდელობითი და ეთიკური მნიშვნ-ელობა აქვს, არამედ უდიდესი ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელიცაა. ესთეტიკა, მოგეხსენებათ, ბერძნული სიტყვაა და ფი-ლოსოფიურ მოძღვრებას ნიშნავს, საერ-თოდ, მშვენიერების შესახებ. მშვენიერია ის, რომელშიც ფორმა და (შინა)არსი ჰარმონი-ულ ერთიანობაშია, ის, რაც მიზანშენონილი და სრულყოფილია.

საუკუნეთა განმავლობაში ესთეტიკა მხ-ოლოდ ხელოვნების სფეროთი შემოიფარ-გლებოდა. მაგრამ დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ათლეტებისა და მაყურებლები-სთვისაც სპორტი ესთეტიკური სიამოვნები-სთვის ფართო შესაძლებლობებს იძლევა, ხე-ლოვნება სპორტში ხედავს ესთეტიკური ტკ-ბობის წყაროს. სასპორტო ესთეტიკა ერთ-ერთი მსოფლმხედველობითი პრობლემაა.

ბოლო წლების გამოკვლევებმა აჩვენა, რომ სპორტთან დაკავშირებულია ესთეტი-კური მოვლენების ფართო სპექტრი. კერძოდ, სპორტსმენები, როგორც მხატვრები, სი-ლამაზის კანონებით მოქმედებენ; სპორტს-მენები და ხელოვნების წარმომადგენლებიც შემოქმედებითი ადამიანები არიან; სპორ-ტისა და ხელოვნების მეშვეობით სილამაზესა და სრულყოფილებას ეხებიან, შეიმეცნებენ და აფასებენ მათ.

ამიტომ სასპორტო საქმიანობას უზარმაზარი ესთეტიკური პოტენციალი აქვს. ნიმუშად მირონის „პადროსმტყორც-ნელიც“ გამოდგება, რომ არაფერი ვთქვათ ნახერხმოყრილ სარბიელზე დატრიალებულ ქართული ჭიდაობის ელვისებურ ფანდებზე, რომლებიც დასაბამიდანვე მუსიკის თანხლე-ბით სრულდება.

ის ფაქტი, რომ მუსიკას ადამიანის არა მარტო ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე შეუძლია უდიდესი ზემოქმედება, არამედ გარკვეული დოზით მის მსოფლმხედველო-ბასა და იდეოლოგიასაც რომ აყალიბებს, ანტიკურ ეპოქაშიც იყო შემჩნეული. აი, მაგ-ალითად, პითაგორა დარწმუნებულია, რომ „მიწიერი“ მუსიკა სფეროების კოსმოსური ჰარმონიის გამოვლინებაა და ამ მიზეზით ამა-ღლებული „ადამიანური“ მუსიკის ულერადო-ბას შეუძლია ადამიანის შინაგან სამყაროში ისეთივე ჰარმონიული წესრიგი დაამყაროს, როგორსაც „მსოფლიო მუსიკა“ ქმნის კოს-მოსში.

კონფუცის აზრით, „თუ გინდა გაიგო, რომელიმე ქვეყანას მმართველობის საქმე როგორ მისდის და მისი ზნე-ჩვეულებანი ჯანსაღია თუ არა, მაშინ მოუსმინე მის მუსი-

კას“.

არისტოტელე მუსიკის ეთიკური ზემოქმედების ფენომენს ხსნიდა იმ ვითარებით, რომ მუსიკის სულიერ საფუძველში დევს „ზნეოპრივი მდგომარეობის ჩანასახები“. „მელოდია შეიცავს მოძრაობას, ეს მოძრაობები აქტიურია, ქმედებები კი ეთიკური თვისებების ნიშანთა არსია. მუსიკას სულის ეთიკურ მხარეზე გარკვეული ზემოქმედება შეუძლია“.

გვჯერა, ჩვენი წინაპრები ქართული ჭიდაობის ილეთებს რომ ხვეწდნენ, უპირველესად, მოხერხებულობასთან ერთად, სილამაზეზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ცხადია, ამ მიზანს ემსახურებოდა ქართული საჭიდაო მუსიკაც, რომელიც ხელს უწყობდა „ზნეოპრივი მდგომარეობის ჩანასახების“ სამზეოზე წარმოჩენას. შევვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ ჭიდაობაში ორთაბრძოლა და კულტურა ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს.

ქართული ჭიდაობის მუსიკა საკუთრივ სპორტის ამ სახეობისთვის არის ოდითგანვე შექმნილი. მისი სამშობლო ქართლ-კახეთია. ცნობილმა ქართველმა კომპოზიტორმა რევაზ ლალიძემ ქართულ საჭიდაოზე სიმფონიური ორკესტრისთვის ნაწარმოები შექმნა. ამით მან, ქართველ ერს შემოუნახა საკუთრივ ჭიდაობისთვის შექმნილი მელოდია, რომ წლების შემდეგ რომელიმე სხვა ტომის შვილებს მასზე პრეტენზია არ გამოეთქვათ.

უხსოვარი დროიდან ხალხთა ზოგადი მორალურ-ეთიკური შეხედულებები რელიგიურ ასპექტებში იყო გამოხატული და სპორტის განვითარების ფაქტორებად ევლინებოდა კაცობრიობას. ამიტომაც ეროვნულ თამაშებსა და შეჯიბრებებში წარმოჩენილი ხალხთა ეთნოკულტურული ტრადიციების რელიგიური კონფესიების მხრიდან მთარველობის პრაქტიკა მსოფლიოში ფართოდ იყო გავრცელებული. თვალსაჩინოდ გამოდგება ქრისტიანობასა და ისლამთან დაკავშირებული ჭიდაობისა და ცხენოსნობის სხვადასხვა სახეობა კავკასიისა და აზიის ხალხებში, ინდუიზმთან - ინდური იოგას საკრალური ვარჯიშების კომპლექსი, ბუდიზმთან - ჩინური, კორეული და იაპონური ორთაბრძოლები.

ჩვეულებრივ, ამა თუ იმ საქმიანობის ფუნქციური მიზნები, როგორც ეს მიღებულია მსოფლიოში, რელიგიურ ცნებებს უკავშირდება. თვით ელინური თამაშებიც რელიგიური რიტუალებიდან წარმოიშვა: პირველი შეჯიბრება იყო ზევსის საკურთხევლამდე (სამსხ-

ვერპლომდე) რბენა - ღმერთისთვის ენერგიის რიტუალური შენირვა. თანაც ასპარეზობის დაწყებამდე ერთი დღე რელიგიურ განწმენდასა და დალოცვა-დარიგებას ეძღვნებოდა. ათლეტები შეცყავდათ საკურთხევლის შესაკრებელთან, სადაც ზევსის ქანდაკება იდგა ელვით ხელში. ღმერთის მკაცრი მზერის ქვეშ ქურუმი ხარის გენიტალიების შენირვას რომ მორჩებოდა, შეჯიბრების მონაწილეები ზევსის წინაშე ფიცს დებდნენ, რომ პატიოსნად იბრძოლებდნენ და წესებს დაიცავდნენ.

ცნობილია ისიც, რომ აღმოსავლური ორთაბრძოლების სისტემების მაღალეთიკური, ზოგადსაკაცობრიო პრინციპები, ფიზიკური და ზნეობრივი სრულყოფილებისაკენ სწრაფვა, კრიტიკულ სიტუაციებში გრძნობების კონტროლი და თავდაცვის ილეთების ცოდნაც სულიერად და ფიზიკურად ძლიერი, ფსიქოლოგიურ-ინტელექტუალურად მომზადებული ადამიანის აღსაზღდელად იყო გამიზნული, რადგან, უმთავრესად, სულიერებაზე დაფუძნებული. მათში გადაწყვეტილია სულიერი, ფილოსოფიური და ზნეობრივი საკითხები.

იაპონელ სამურაებს მოწინააღმდეგეს-თან შებრძოლებისას, უპირველესად, სულის უშფოთველობა უნდა შეენარჩუნებინათ, მსგავსად წყლის მშვიდი ზედაპირისა, რადგან ქარის დაბერვისას წყლის ზედაპირი ირევა. ასევე, განრისხებულსა და შემინებულ ადამიანს თავის დაცვა და ელვისებურ იერიშზე გადასვლა არ შეუძლია. ამიტომაც იაპონურში „დო“ (კარატე-დო) და ჩინურში „დაო“ გზას წიშავს, ადამიანის სულიერი სრულყოფილებისკენ სავალს.

საუკუნეთა განმავლობაში, სამწუხაროდ, ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა. რუს მკავლევარ ალექსეი პერედელსკის მიაჩინა, რომ ოკინაველი ოსტატების მიერ იაპონური ესტეტიზმისა და რიტუალიზმის შესაფერისად გადაკეთებული კარატე დღეს მოხეტიალე მეომარი ბერების სულიერ-ფსიქოფიზიკური სისტემის მხოლოდ აჩრდილს წარმოადგენს, ძიუდო გადაკეთებული ჯიუ-ჯიცუს მიზანმიმიართული კომერციალიზებული პროექტია, უშუ კი საკრალურ-იზოთერული სისტემიდან საბრძოლო ხელოვნებად იქცა.

რაც შეეხება დასავლურ ორთაბრძოლებს, აქაური სკოლებისა და სტილების ერთგვარი აღორძინების მიუხედავად, ისინი ფილოსოფიური დოქტრინების დონეზე ვერ ამაღლდა. მეტიც, დასავლური სამყარო საუკუნეების განმავლობაში აგრესიული სტილის ორთაბრძოლების სამჭედლო იყო. დასტურად, შეგვი-

ძლია დავასახელოთ რუსული სამბო, ელინ-ური ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შემავალი პანკარტიონი ან გლადიატორების სისხლიანი ორთაბრძოლები.

ჩვენ ახლაც მკაცრ ეპოქაში ვცხოვრობთ. პუბლიკას დღესაც უფრო მძაფრი პაექრობები უნდა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს თანამედროვე გლადიატორების დაპირისპირებას უყურებ. 1998 წელს კიევში საერთაშორისო ტურნირზე (ბრძოლა წესების გარეშე) ხარკოველმა ზოლოტარიოვმა ამერიკელ დუგლასს აჯობა, უბრალოდ, კი არ მოუგო, არამედ მოკლა იგი. არადა, შეეძლო ნოკაუტით დაკმაყოფილებულიყო. ქართულ ჭიდაობაში კი, ძლიული მეტოქისთვის ხელუხლებლობის პრინციპი რუსთაველის ეპოქაში „ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოკლავ დაიყოვნეს“ ფილოსოფიამდე რომ ამალლდა, ასეთი რამ დაუშვებელია.

რენესანსის ეპოქის მხატვრები და მოაზროვნეები ანტიკურ პერიოდს „ოქროს ხანად“ წარმოგვიდგენენ. კერძოდ, ძველი საბერძნეთის ეთიკურ-ესთეტიკურ ეტალონად გვისახავდნენ პიროვნებას, რომელშიც თითქოს ჰარმონიულად იყო შერწყმული ფიზიკურ-სხეულებრივი და სულიერ-ინტელექტუალური სრულყოფილება. ალექსეი პერედელსკის აზრით, შესაძლებელია, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის მსგავსი იდეალი ნამდვილად არსებობდა, მაგრამ როგორც იდეალი, უმთავრესად, ფილოსოფიათა აზროვნებაში, ვიდრე კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილეში.

ცნობილია, რომ ძველი ბერძნები სპორტის ძლიერებითა და სილამაზით აღთვალისწილებული იყვნენ, თუმცა მათ ველურობა და ძალადობაც იტაცებდა, რადგან ამაში ცხოვრების მეტაფორას ხედავდნენ.

„ბრძოლას“, „შეჯიბრებას“ ბერძნულად „აგონი“ (აქედან მომდინარეობს სიტყვა აგონია - ორგანიზმის სიკვდილისწინა მდგომარეობა, სიცოცხლის უკანასკნელი წუთები) ჰქვია. ელინური თამაშების სახელწოდებაც „აგონი“ იყო, რადგან უფრო გვიან პუბლიკას სულთმობრძავობად ეჩვენებოდა გლადიატორთა ბრძოლები, რომლებშიც აგონისტები მონაწილეობდნენ. ასპარეზობის კონტექსტში „აგონი“ ნიშნავდა შეჯიბრებას ტკივილის, წამების, მწვავე კონკურენციის შეგრძნებით. ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების მონაწილეები არა მარტო სისხლს ღვრიდნენ, არამედ სიცოცხლესაც სწირავდნენ დიდებისა და პირველობისთვის, მარცხისა და სირცხვილის თავიდან ასაცილებლად. სისხლიანი

ხელჩართული ორთაბრძოლებისა თუ ეტილებით რბოლებისას ძალინ ცოტა თუ აღწევდა ფინიშამდე.

ჩვენს ერამდე 688 წელს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში მუშტი-კრივი შეიტანეს, მოგვიანებით (648 წელს) კი უფრო სასტიკი სახეობა პანკრატიონი - უძველეს სპორტში ძალადობის განსახიერება. ორთაბრძოლა მანამ გრძელდებოდა, სანამ ერთეული ათლეტი არ დანებდებოდა, მაგრამ მებრძოლები ამგვარ დამამცირებელ წაგებას სიკვდილს ამჯობინებდნენ.

პანკრატიონში ნებადართული იყო ცემა, ხელის კვრა, მოხრჩობა, ძვლების გადამტვრევა, კენისა და თვალების ამოთხრის გარდა, ყველაფერი, რასაც მოისურვებდნენ.

მიზანი ნებისმიერ საშუალებას ამართლებდა.

ქართული ჭიდაობისთვის ამგვარი ფილოსოფია მიუღებელია, რადგან ჩვენს საუნჯეში ერის თვითშემეცნების გზაა ასახული ისევე, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის შედევრებში, განსაკუთრებით - „აბოს წამებასა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, აღარაფერს ვამბობთ „ვეფხისტყაოსანზე“, რომლითაც შოთა რუსთაველმა სულით ძლიერთა მსოფლმხედველობა სამზეოზე გამოიტანა.

ელინურ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვება ადამიანის ფიზიკურ ღირსებებს გონებრივ შესაძლებლობებზე მაღლა აყენებდა. მუშტი-კრივიცა და პანკრატიონიც ბრძოსთვის სპორტის საყვარელ სახეობად იქცა, რადგან სიკვდილის რისკი ძალიან მაღალი იყო.

ზემოაღნიშულიდან გამომდინარე, ცოტა არაბუნებრივად გვეჩვენება იმის მტკიცება, რომ მოარული ფრთიანი ფრაზა - „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ (Mens sana in corpore sano), თითქოს ანტიკური ეპოქიდან იღებდეს სათავეს, რადგანაც ციტირება ლათინურად ხდება. ზოგის აზრით, ის ძველ ბერძნებს ეკუთვნის.

ღვთაებრივი პლატონი ბრძანებს: „ვფიქრობ, რომ ადამიანს როცა სხეული წერიგში აქვს, არა მგონია, ის თავისი კეთილი თვისებებით საუკეთესო სულიერ მდგომარეობას იწვევდეს. მიმაჩნია, რომ პირიქითაა, კარგი სულიერი განწყობა კეთილი თვისებებით სხეულის საუკეთესო მდგომარეობას განაპირობებს“.

მაშ, საიდან მომდინარეობს ეს აფორიზმი თუ დევიზი - „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“!

მეცნიერთა ვარაუდით, ეს გამონათქვამი

არის ამოგლეჯილი, დამახინჯებული ფრაზა პირველი საუკუნის (დაახლ. 60 – 170 წ.წ.) რომაელი პოეტის - დეციმუს იუნიუს იუვენალი-სის მე-10 სატირიდან (გთავაზობთ რუსული ტექსტის ჩემეულ თარგმანს):

„უნდა ვილოცოთ, ჯანსაღ სხეულში
რომ დაიბუდოს საღმა გონებამ,
ჰკითხე კეთილ სულს: მან რად არ იცის
სიკვდილის შიში და დამონება,
რომ საზღაურად ნიჭის წყალობის რას
გაიმეტებს სიცოცხლის ბოლოს.
რომ ისევ ძალუძს, კვლავ დაითმინოს ესე
სიმუხთლე ნებისმიერი,
სულს, განუტევოს, უცს, მრისხანება და
მრავალგვარი ვნება ცბიერი“.

როგორც ვხედავთ, აქ ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულის არსებობაზე სიტყვაც არ არის თქმული. მეტიც, ავტორს სპორტი არც უგულისხმია. პოეტის კადნიერ სტილს თუ გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ ის ამგვარ ბანალურ განაცხადს საკუთარ თავს ვერც აკადრებდა.

ზოგიერთი ევროპელი მეცნიერის მტკიცებით, ზემოთ ნახსენები აფორიზმი პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც ის ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა (1632-1704, შრომაში - „აზრები აღზრდაზე“) და ფრანგმა მნერალმა-განმანათლებელმა უან უაკ რუსომ (1712-1778) გამოიყენეს.

სხვათა შორის, ens sana in corpore sano საყვარელი, გამორჩეული ფრაზა ყოფილა ამერიკის შეერთებული შტატების 33-ე პრეზიდენტი (1945-1953) პარი ტრუმენისა, არადა, სწორედ მისი ბრძანებით 1945 წლის აგვისტოში პიროვნიმა და ნაგასაკში ატომური ბომბები ჩამოყარეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პლატონი, „სახელმწიფო“, 2003
2. გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, 1982,
3. აბრამიშვილი შ. ალავერდის ახლად გახსნილი კედლის მხატვრობა; „ძეგლის მეგობარი“, X-XI, 1967
4. დეციმუს იუნიუს იუვენალისი, მე-10 სატირა
5. ლუციუს ანეუს სენეკა – მორალური წერილები ლუცილიუსისადმი (ლათინურიდან თარგმნა ლალი კოჭლამაზაშვილმა), „არილი“, 2003
6. იური ყეინაშვილი, რაინდულო საქართველოვ, აღსდექ! 2012
7. უცხო სიტყვათა ლექსიკონი (შეადგინა მ. ჭაბაშვილმა), 1964
8. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთგომეული (არ. ჩიქობავა), 1986
9. ვ. ელაშვილი, ქართული ჭიდაობა, 1975
10. ს. მაისურაძე, ქართული ჭიდაობა, 1984
11. 11. Питер Дж. Арнольд, Эстетические аспекты спорта. Философия спорта. Хрестоматия/Сост. Пешков А.И. 2005
12. 12. Алексей Передельский, Двуликий Янус. Спорт как социальный феномен. Сущность и онтологические основания, 2016

ამ გამოთქმის დამკვიდრებაზე უფრო მართებულ მოსაზრებად სხვა ვერსია მიგვაჩნია: 1861 წელს იუვენალისის ტექსტიდან ხუთი სიტყვა ამოუღია ინგლისელ ჯონ ჰალის თავისი ლიტერატულის სასპორტო კლუბის დევიზად („ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული“!), რაც, თურმე, სრულიად შეესაბამებოდა მე-19 საუკუნის სპორტის ელიტურ ხედვას. ინგლისურ სკოლა-ინტერნატებში შეძლებული ოჯახების შვილები არა მარტო ინტელექტუალურ განათლებას იღებდნენ, არამედ საფუძვლიან ფიზიკურ მომზადება-საც გადიოდნენ, რაც ადამიანის ჰარმონიულ აღზრდაზე იყო ორიენტირებული.

ამდენად, ტრადიციული გაგება ამ ფრთიანი გამონათქვამისა („ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“) სრულიად საპირისპიროს წარმოადგენს იმისას, რაც თავიდან ყოფილა მასში ჩადებული: ადამიანები წინადადების მეორე ნაწილს პირველის შედეგიდან გამომდინარე აღიქვამენ. არადა, ჯანსაღი სხეული ჯანსაღი სულის არსებობის გარანტიას არ იძლევა. პირიქით, უნდა მივაღწიოთ ამ ჰარმონიას, რადგან ის რეალობაში იშვიათად გვხვდება. გამონათქვამის ავტორის მიზანი იყო, აზრი ჩამოყალიბებინა ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანზე, ანუ ფიზიკურად და ინტელექტუალურად სრულყოფილ პიროვნებაზე.

„ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სული“! უფრო სწორად, „საღი გონება საღ სხეულში“ - უნივერსალურობის იდეალია, რომელიც ქართული ჭიდაობის ეთიკურ-ესთეტიკურ პრინციპებს ემისანება და ამიტომაც უნდა ვესწრაფოთ მას.

რეზიუმე

ქართული ჭიდაობა სპორტის ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი სახეობაა. იგი საუკუნეების ქარტეხილებში, თავდასხმებსა და ბრძოლების ქარცეცხლში გამოწრობილი ხალხის მიერ დახვენილი ეროვნული საუნჯე და კულტურული მემკვიდრეობაა. მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართველ მეომართა ბრძოლისუნარიანობის ამაღლებასა და ფიზიკურ წრთობაში, რადგან ეს არის მთელი სისტემა, ბუნებაში, სულიერებასა და საზოგადოებაში ადამიანის ცხოველქმედობის პარმონიზაციისკენ მიმართული. ქართულმა ჭიდაობამ, რომლის ფილოსოფიაც ცხოვრების ფილოსოფიაა, საუკუნეთა განმავლობაში ფიზიკური, სულიერი და გონებრივი განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია. მისთვის ზნეობის ნორმები და ამ ნორმების შესაბამისად ქცევა უმთავრესია.

SUMMARY

GEORGIAN WRESTLING WORLD VIEW AND ETHICAL-AESTHETIC ASPECTS

**VAJA DANELIA,
PHD STUDENT GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY**

Georgian wrestling is one of the oldest and most beautiful sports. It is a sophisticated national treasure and cultural heritage by people trapped in ages in ages, attacks and fights. He has played an important role in raising the combat capabilities of the Georgian warriors and physical training, because it is the whole system, aimed at harmonizing human life in nature, spirituality and society. Georgian wrestling whose philosophy is a philosophy of life has reached the highest point of physical, spiritual and mental development for centuries. The norms of morality to him and the behavior are the most important.

МУЛЬТИКУЛЬТУРАЛИЗМ И ПРИНЦИПЫ МЕЖНАЦИОНАЛЬНЫХ ОТНОШЕНИЙ

МАРИНА ИЗОРИЯ

доктор политических наук, профессор

Мультикультураллизм является политикой, которая предполагает культурный плорализм и способствует его развитию. Это связано с уважением прав всего населения любой страны независимо от этнических, расовых и религиозных различий людей. В мультикультуралистическом обществе все граждане страны имеют равные права в развитии своей культуры, языка, традиций, этнических и религиозных ценностей. В таком обществе открывают национальные школы, выпускаются газеты и журналы на национальном языке. Кроме того, принципы мультикультурализма широко поддерживаются не только политической элитой, но также другими представителями нации, не занимающими высоких должностей.

Теоретической базой мультикультурализма является либерализм, особенно такие его ценности, как свобода, равенство и братство. Кроме того, мультикультуралистическое общество является либеральным обществом, при котором возможно победить не только социальную несправедливость, но также несправедливость, связанную с расизмом. Однако в отличие от либерализма, мультикультурализм занимается правами этнических и культурных групп, а не отдельных индивидуумов.

Мультикультурализм является политикой, очень близкой по своей сущности с политикой толерантности. Важнейшей чертой толерантного общества является параллельное существование различных культур. В толерантном обществе мультикультурализм способствует взаимному обогащению культур, и это связано с процессом проникновения одной культуры в другую в целях дальнейшего культурного объединение людей.

Мультикультурализм является одной из разновидностей культурного многообразия, проявляющегося в обществе. Кроме него, мы можем отметить и другие явления, связанные с культурным многообразием, такие, как изоляционизм, ассимиляция и апартеид.

Мультикультурализм как общепотребимое в науке и массовой культуре понятие относится к политике, стратегии управления обществом, государством, включающим разные

этнонациональные группы с различающимися ценностями и моделями поведения. Мультикультурализм следует отличать от термина «мультикультурность», который идентичен поликультурности, и указывает на многонациональный, полигетнический характер государства.

Усиление полигетнического, мультикультурного характера в Европе приходится на период после Второй мировой войны. Это связано с рядом причин. Во-первых, в массовом сознании начало преобладать состояние отвращения к нацизму, ксенофобии и колониализму, что дало толчок к формированию толерантного к разным культурам отношения. Во-вторых, мир, Европа понесли огромные человеческие утраты. В период экономического роста рабочих рук не хватало. Так, для работы в Германии, в частности, были приглашены рабочие (гастррабайтеры – «работающие гости»), в основном из Турции, которые вскоре в Германии и остались. В-третьих, развитие постиндустриального общества, усиление интеграционных процессов в Европе и мире способствовали более свободному перемещению трудовых ресурсов и капиталов. Этническая картина Европы менялась: здесь появлялись не свойственные ей ранее этнические общности, отличные по ментальности и культурным паттернам. Все эти причины-факторы инициировали необходимость выстраивания новых принципов национально-этнической политики и межкультурных отношений в Европе и мире, формирования новой концепции взаимоотношений между титульными нациями и этническими меньшинствами, позволяющей сохранять их культуру и самобытность. Так, в 1957 г. государственная политика Швейцарии получила статус мультикультурной.

Начался пересмотр и политики «плавильного котла» в Соединенных Штатах Америки, предусматривавшей ранее формирование единой нации на основе общих принципов и ценностей (английский язык, протестантская вера и протестантская трудовая этика). Правда, следует отметить, что в США, «плавильный котел», или «плавильный тигль» не привел к

потере многочисленными культурами своего «лица»: мексиканцы, афроамериканцы, индузы, ирландцы, русские, украинцы, евреи не забывали о своей этнокультурной идентичности. Разразившиеся в 1960-х гг. массовые социальные движения против расовой дискrimинации, антиоевые выступления также диктовали необходимость разработки новой стратегии. Появились сторонники так называемого мультикультурализма, который придерживался позиции признания права каждой этнической и национальной группы сохранять свою культурную принадлежность и поддерживать собственные культурные традиции. Сторонники мультикультурализма рассматривали увеличение потока иммигрантов не как угрозу американской англо-саксонской идентичности, а как возможность трансформации американской культуры «снизу» – прибывающими и живущими в США иммигрантами. Поэтому к культуре США стали применяться определения «мозаика», «оркестр», «миска с салатом» («salad bowl»). При этом в американском майнстриме продолжала существовать так называемая ассимиляционистская позиция, согласно которой этнические меньшинства должны были быть максимально инкорпорированы в модель американского образа жизни и фактически растворены в ней. Несмотря на понимание сложности межэтнического взаимодействия в США, новое его измерение в виде мультикультурной парадигмы не приобрело в них статус официальной политики.

Впервые мультикультурализм как закрепленная на государственном уровне политика межкультурной коммуникации возникла в Канаде. События 1960–70-х гг. в Квебеке свидетельствовали о нарастании франкофонного национализма. Королевская комиссия по билингвизму и бикультураллизму, занимающаяся вопросами взаимодействия англофонного (англоговорящего) и франкофонного (франкоговорящего) населения Канады, стремилась достичь англо-французского компромисса. Комиссия обратила внимание и на неправомерность указывать лишь на бикультурность страны, поскольку издавна на ее территории проживало как минимум три многочисленных этноса: иммигрировавшие в страну англо- и франкоговорящие европейцы, а также коренное население, которое долгое время не рассматривалось как часть культурной картины государства.

В 1971 г. федеральное правительство Канады

во главе с Пьером Трюдо сделало официальное заявление об избрании мультикультурализма политическим курсом страны. Его лозунгом стал призыв: «Одна нация, два языка, много народов и культур». Это означало исключение расовых, этнических или культурных характеристик групп населения при решении вопросов общегосударственного характера. Наряду с критерием общеканадской политической идентичности, для самоидентификации групп была предложена лингвистическая характеристика. Канадское правительство отказалось от использования таких терминов, как «англоканадец» и «франкоканадец», заменив их на «англофон» и «франкофон». Это способствовало формированию идентичности граждан прежде всего по языку, а не на основе этнической принадлежности. Правительством делался также акцент на переходе от понимания Канады как бикультурного государства к модели мультикультурного общества, в котором обеспечиваются условия сохранения культурного наследия этнических меньшинств, улучшения межэтнических отношений в виде поддержки равных возможностей для всех групп населения, независимо от их расовой и этнической принадлежности.

Избранная в 1971 г. канадским правительством политика мультикультурализма была закреплена в «Декларации прав и свобод», принятой в 1982 г. В ней, в частности, говорилось: «Таким образом, политикой правительства Канады провозглашается признание и поддержка сознания того, что мультикультурализм отражает культурное и расовое разнообразие канадского общества и подтверждает право всех его членов сохранять, увеличивать и распространять их культурное наследие» [1].

Постепенно в США, западноевропейских государствах мультикультурализм стал официальной политикой. Однако понимание его сущности оставалось тогда и остается в настоящее время дискуссионным. Наиболее распространенными являются две версии (стратегии) мультикультурализма. Первая предполагает взаимодействие и взаимопроникновение этносов и культур на основе активной межкультурной коммуникации индивидов в поликультурном государстве, обществе. Мультикультурализм видится в таком случае политикой обеспечения этнокультурным группам условий для независимого саморазвития в рамках индивидуального способа организации и функционирования.

При этом индивиды, этнические группы сохраняют свою идентичность, но принимают или вынуждены принимать ценности и нормы, «правила игры», сложившиеся в данном мультикультурном обществе, активно коммуницируют с представителями разных этнокультурных образований.

Вторая версия мультикультурализма опирается на принцип sandwich-цивилизации («бутербродной цивилизации»). Фактически она представляет собой разновидность концепции национально-культурной автономии. Ее суть состоит в признании существования в рамках определенного общества (государства) тех групп населения, которые обладают абсолютной независимостью. Они входят в состав единого государственного образования, но при этом не смешиваются и не проникают друг в друга, лишь соприкасаясь как части одного многослойного бутерброда. Государство же в этом случае призвано решать лишь некие общие административные вопросы.

